

ლიტერატურული გაზეთი

№5 (333) 17 - 30 მარტი 2023

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ქეთევან ნათელაძე

სარკე

ყინულად ქცეულს დრო აღნობს წამებს,
თითქოს სიცოცხლის ჩამქრალა ვნება,
იძინებ გვიან და ყოველ ღამეს
ათასნაირი შიშებით კვებავ.

ვარსკვლავებისკენ ისროდი ანკესს,
უსაგნო დღეებს აგდებდი არად,
სად არის შენი ასი წლის სარკე,
შენ იმ სარკეში იქეცი ქალად.

მზის შუქი ათბობს ნაზამთრალ ახოს,
ზამთრის მზე ფრთებით ყვავებმა ზიდეს,
შენ ცეცხლი იყავ და ცეცხლთან ახლოს
თბებოდნენ კიდევ, ინვოდნენ კიდევ...

სად არის სარკე, შემორჩა ნიშად
მის აღმასს დღენი კენტი და ლუნი,
შენ იმ სარკის წინ დგებოდი შიშვლად,
და საკუთარ თავს სწავლობდი უწინ.

დღეს იმ სარკეში მოწყენა სახლობს,
დარჩა ყოველი შორეულ ამბად,
შენ ცეცხლი იყავ და ცეცხლთან ახლოს
დიდხანს ვერავინ გაძლებდა ალბათ.

IV


გაგა ნახუცრიშვილი

ნათურები

ოდნავ მბჟუტავი ნათურები,
სინათლე ვერ აღწევს... არც ჩემთან
ალარ მეძახიან სადგურები,
ცხოვრება უეცრად გაჩერდა,
ვერც წავალ, ვეღარც დავბრუნდები,
აზრი აქვს?! წასვლას ან დარჩენას.

ოდნავ მბჟუტავი ნათურები
მაინც მოელიან არჩევანს.

VIII



ინფლუენცია

თავი იყო მოჭრილი! თითქოს ხმლით, ერთი მოქნივით. ჯალათი რომ ორივე ხელს დაუშვებს და თავიც გაგორდება, თითქოს იყოს საზამთრო ან ნითელი კვერცხი, „კრასნაია გორკაზე“ რომ დააგორებდნენ და იმაზე ყომარობდნენ ტფილისში და აბაზს ჩამოვიდოდნენ — აბა, გასკდება თუ არა, გატყდება თუ არა, რომელი უფრო შორს ჩაგორდება.

აქ ის არ გაგორებულა და სხეულის გვერდით ეგდო, ჭლადი თმაც კი მოუჩანდა, გაპარსული ლოყები და თმები, როგორსაც ვარსკვლავის საპარიკმაბეროში შეგჭრიან. იმისთვის რომ დაგესუნა, იქნებაც „ვერა ვიოლეტის“ სურნელიც კი ავარდნოდა, თუმცა — არა. ივნისის სიცხე თავისას შვრებოდა და მოჭრილ თავს მკვდარი ძალის სუნი მისცემოდა.

ხრიპლის, ზემელის აფთიაქთან მთავრულს, თავმოჭრილი ბევრი ენახა, მითუმეტეს ახლა, როცა იმატა მკვლევლობამ და არეულობამ, მას კი რატომღაც წლების წინ მუსულმანთა სასაფლაოზე ნაპოვნი თავმოჭრილი კაცი მოაგონდა. ეს როდის იყო. ბარე თორმეტი წლის წინ, არადა, თითქოს გუშინ იყო, რომ ხედავდა მოკლულის გულმკერდს და ზედ დიდ სვირინგს, ტარიელი როგორ კლავს ვეფხვს, და თითქოს გუშინ იყო, რომ ჩაესმოდა თათარი ისმავლას მოთქმა და იმას თოხლის ნაჭერი თითქოს ჯერ ისევ პირში ჰქონდა.

ახლა სხვაა. ყველაფერს რომ თავი ანებო, გაჩნდა ტფილისში სინემატოგრაფი და იმის ტაპიორების კლავიშებზე ტანცაობას უსმენს იმის მაცქერალი.

თან პაპიროსის ბოლები, შეძახილები, და ბარიშნებთან ბოლო რიგში კოცნაობით ხვდებოდა ტფილისი ახალ დროებს.

ხრიპლიმ დახუჭა თვალები და გაახსენდა ორი დღის წინ ნახული როზეტის სინემატოგრაფში პარიჟის სურათები. თითქოს ასე შორსაა იმის მერიდიანი, აქ კი ამოყრის ნაირგვარ სენ-ჟერმენსა და ბულვარ კლიშის, საცა „ქერივი კლიკო“ იხსენება ხმაურით, კარუსელი ტრიალებს და ბანტიან ბავშვს კი ბუშტი უჭირავს.

პარიზის მანსარდებისა და თუნუქის სახურავების ცქერა ხრიპლის პარიჟელად აქცევდა და ქილაშეების ნაცვლად ანკეპილ ულავაშს ამოუყვანდა და ის ამ წმინდა ჟენევიევას ქალაქის კომისარიც კი შეიქნებოდა.

ერთია, რომ სი-ბე-მოლის ნაცვლად დაკრული ხმა ჩავარდნილი შავი კლავიშისა ხრიპლის უკან, ტფილისში, მოაბრუნებდა. ისევ გაისმოდა სროლის ხმა, ბომბის აფეთქება და ეს ხმა სინემატოგრაფის შიგნითაც შემოვარდებოდა და თითქოს ეს იყო აკომპანემენტი პარიჟული სურათებისა.

უკვე დაესწავლათ შიგ მყოფთ ზუსტად — ეს „ცენტრალკას“ ხმა იყო თუ „სმიტ-ვესონის“. ხოლო „ნაგანისა“ და „მაუზერისა“ ისე განსხვავდებოდა ერთი მეორისაგან, როგორაც ნოტი ფა დოსაგან და ამათი მოსმენისას მთელ კანტატას ჩამოწერდი. ტფილისის ქუჩებზე გაჩაღებულ სროლის კანტატას.

ტაპიორი კი შეშინებული წამოხტებოდა ბომბის ყოველი გასკდომისას და რევოლვერის გასროლისას. იქნებ ამის გამოც ერეოდა ნოტები და არა იმიტომ, რომ ბავშვობიდან ზარმაცი იყო, ოროსანი და ის ყურით მოათრიეს კუთხიდან და დასვეს პიანინოსთან.

თვლით რომ გააღო ხრიპლიმ, პარიზი გაქრა, მუსიკაც და მკვდარი კი გაჩნდა მოჭრილი თავით. ისეთივე მოჭრილით, როგორც მაშინ — სასაფლაოზე.

თითქოს იგივეა, ოღონდ იგივე არაა. ის ღონე სადღაც წავიდა. ძვლების ჭრაჭუნიც გაჩნდა, რაც იფიქრა, აჰა, ეს რაღაც დროებითია და გადავიდეს როგორც შეყრილი ინფლუენცია. ასე არ გამოდგა. თვალის ჩინიც მოაკლდა. დიდად არა, თუმცა ის მიმინოს თვალი სადღაც გაქრა. სიზარმაცეც სულ უფრო მატულობს. მიძინარებაც, და მთქნარებაც. ზედ ხელის მიდებაც კი ხდება საჭირო, რათა შიგ ბუზი არ შეფრინდეს, ან ოქროს კბილი არ მოპაროს კლდის უბნელმა „მარტიშკამ“. კი, კბილების მოფშვნა და კალცის გაპარვა დაწყებულია. ამიტომაც ასეთი, გადამდნარი ოქროს თუმნიანია ეშვის მაგიერ.

ისედაც ველარ იყო ღონეზე. ადრე რომ გამოეკიდებოდა ჯიბგირ

არშაკას და გინდა „კონკაში“, გინდა თათრის მეიდანზე დაიჭერდა, ღვინის აღმართზე აირბენდა და არც ავაზაკის გასროლილ რევოლვერს მოერიდებოდა.

სადღა ის ხრიპლი? ახლა, როცა სასახლის ქუჩაზე სპარსეთის კონსულს კავკასიაში გენერალ არნოლდ-ხან-ფერიდ-ოს-სულტანს ბომბი ესროლეს, ხრიპლიმ კაზლოვსკის გრაფიურების მალაზიამდე სდია ტერორისტს ქლოშინით და მერე თავი ანება.

ახლა სადღაც გულის სიღრმეში ინატრებდა და ბევრჯერაც ეფიქრა უკვე, სადმე სამარასთანის ქარხანა ჰქონოდა და მასვე მიადგმული სახლი მეზონინით. შიგ სამოვრებით და ზედ შემოდგმული ფაიფურის ჩაიდნით, შიგაც მუჭებით ჩაყრილი



„ძმები პოპოვების“ შავი ჩაით. მერე ჩაის დაისხამდა ლამბაქზე და კბილით, იმის ოქროს კბილით, იმას გაკვეთდა, თანაც აბანოს მერე, განითლებული სახით და სუფთა კარლსონებამოცმული რომ შემოუჯდებოდა მაგიდას და იქ ბუბლიკები დახვდებოდა დაუთვლელად მოყრილი და ლამბაქზე დასხმული ჩაი, ზედ ოხშირით.

ასეთი იყო ხრიპლის ოცნება. მან აქეთ-იქით გაიხედა, პარიზისა არ იყოს, სამარას სახლიც გამქრალიყო, მთელი იმის ავლა-დიდებითა და სამოვრებით. გარშემო კი ასე ნაცნობი მუნდირები მოხვდა თვალში, საპოლიციო „ბლიახით“ და იშვიათად რომელიმე ორდენით, წმინდა სტანისლავისა.

ორიოდე პოლიციის ჩინი ირეოდა მკვლელობის ადგილას. ერთი ჭალარა წვერულვაშით და ერთიც „კურდღლის ტუჩით“. ჭალარა ყვებოდა რალაცას, მეტად ამოვარდნილს ამ მკვდარი კვაცის ამბისგანაც და გარშემო ქუჩების ხმაურისგანაც.

— კინტოსთან, იარმუკაზე საზამთროს რომ ჰყიდდა, მყიდველი მივიდა, აირჩია საზამთრო და ხელი მოუჭირა, ამას კი ეუბნება, შენა ხმა რატო არ აქვს? ვა! აბლულ ბალი ხო არა ზის შიგ, რო ხმა ჰქონდესო, — ეუბნება ეს კინტო.

— ხო, ეს კინტოები. ამათ სინსილას რა განყვეტს, — კვერი დაუკრა „კურდღლის-ტუჩამ“.

ხრიპლიმ კი აქეთ მოიხედა. — შენ ვინ ხარ? — კითხა მან გვერდით მყოფს, რომ ვერ იცნო.

— ესენსონ, მეშვიდე განყოფილების გაზარდავოი პაველ ესენსონ! — გაიჯგამა პოლიციელი.

— კუზნეცოვი სადაა? — კითხა გამოუძინებელმა პრისტავმა.

— კუზნეცოვი ხო მოკლეს? — მოიმორცხვა პოლიციელმა, თითქოს თვითონ ერ-

ია ვორონცოვის ძეგლთან აზიურ ბუფეტში აკალადჩიკის მოკვლაში ხელი.

— ა, ხო, — თქვა ხრიპლიმაც. დიდი ბუნტი გადმოვარდნილიყო ტფილისის ქუჩებზე, ვორონცოვის ძეგლიც კი არ დაინდევს და თვალებს შუა შუბლში „მაუზერის“ ტყვია დააჭედეს და განა მარტო ტფილისში, რუსეთ-იაპონიის ომის მერე არეულობა გადმოსდებოდა სრულიად იმპერიას. მას მერე, რაც განამდვილდა რუსეთის მარცხი ომში და გაცხადდა, რომ იაპონიის ზარბაზნებმა და შიმოზას ტყვიის ნამალმა აჯობა რუსების არტილერიას და როზენი და ესაკახირა ერთი მეორეს შეხვდნენ ამის დასამონმებლად, არეულობა სულ უფრო მატულობდა. ის ნელი-ნელ გადმოსდებოდა ყველა გუბერნიას. იყო მც-

და არაა ფრანტის იერის. ამით ის ბარიშნასთან ვერ გამოცხადდებოდა, თან სახელოზე ცარცის კვალი ჩანს, ასეთი კი შეიძლება მარტო ქალაქის სათამაშო მაგიდაზე აგყვეს, — გაიქროლა ამ ყველაფერმა ალბრეს გონებაში.

თავი კი ტლაპოში ჩავარდნილიყო, ის სისხლით გაენითლებინა, თეთრი ლოყები იმით მოესვარა და იმავე ტლაპოში ჩექმები იდგა აკალადჩიკის და იმის პატრონი გამავალ ფაეტონს გასცქეროდა.

— ჰა, რას ფიქრობ, გასძვრება ამას ბორბალი გორამდე? — მეორეს შეეკითხა.

მეორემ მოიფხანა გოგრა, მცოდნე თვალი გააყვლა და წარმოთქვა: — არა, გორამდე არ გასძვრება.

— სურამამდე? — კი, სურამამდე უთუოდ გასძვრება... დილით, როცა ტელეფონზე ზარი გაისმა პოლიციიდან და ალბრემ გაიგონა, რომ ზემელის აფთიაქთან მოსულიყო, იფიქრა, ორ კურდღელს დაიჭერდა, მოკლულსაც ნახავდა და თავის ტკივილის მიქსტურასაც იყიდდა და მან რიხით გამოაბიჯა ველიამინოვის ქუჩაზე. ქუჩის კუთხის ყვავილების გამყიდველთან ქრიზანთემა იყიდა, იმის ღერი კბილით მოაკვნიტა და ლაცკანზე კოხტად დაამაგრა.

— როგორი მწარეა, ხრიზანტიმეა თუ პრასი, — ჩაილაპარაკა და როკუორის ყველის გემო პირში წაახსინდა.

მერე საკუთარ მანუეტებს დახედა, ამეთვისტოს ზაპონკებსაც. ჭადრის ბურტყელი მოიშორა თითების ნკიპურტით პიჯაკიდან. სულ ახალი კოსტიუმი ჩაეცვა. გულის ჯიბიდან კუბოკრული ნითელი პლატოკი ამოეყო, თეთრი ბანტი ყელზე. არაფერი დავიწყებოდა.

ამ დროს, ანანასის დაჭრაში რომ უნდა ყოფილიყო და თუნდაც ბერტა რის საკოსმეტიკო მასალის სახეზე წასამაში, მას ზემელის აფთიაქისკენ გამოენია.

— იზვოსჩიკ, — დასძახა მან გამავალ ეტლს, გულზე პირველი ხარისხის „ბლიახა“ რომ დაეკრა და ის რომ გაჩერდა, შიგ ფეხები ააღა და თავის ყვითელ შტიბლეტებიანად.

— სოლანლულისკენ გაურეკიათ, — გახედა მას იზვოსჩიკმა.

ალბრემ ოდენ შეხედა ამის მთქმელს. — „ახტა დუქანში“ ზნაკომები ჰყოლიათ და ჩემმა მერძევემ ნახა, ჰამაც ოსმალეთის სომხები არიანო. აი, სტამბოლის სასაფლაოზე რო მალავენ ბომბას, ეგ ყურუმსალეები, ეგ სულ ერთი ბობი-კამანდაა, — მეტლეთების ბირჟაზე გაგონილი მოყვა იზვოსჩიკმა და ორიოდე გამოვებული ჰაერის მერე ცხენებმა ალბრე ზემელის აფთიაქთან მიიყვანეს.

ალბრე გადმოვიდა და იქ მოტრიალე ხრიპლის მიმართულებით წავიდა.

თან უცქერდა იქ აყრილ, კუბიკებად დაწყობილ, ქვაფენილს და ამის აქეთ გვამს. გარშემო ქუჩასაც, ხაბაზების დილით გამოცხვარ პურს, შეძახილებს და გამვლელთა აღმოფოთებასაც, განა დაგდებული მოკლულით, კაპიკ ნამატებული პურით. აგიტატორებით ნაქეზებულთ ეგების რევოლვერიც კი ესროლათ მეპურეს მხარეს და იმის ფართუ კი გაეხვირტათ მის ბრმა ნანლავეთან ერთად. ქუჩაზე დაგდებული გვამი, გინდა თავით და გინდა უთავოდ, დიდი ხანია, მათი გაოცების საგანი აღარ ყოფილა.

მკვდარს ლაქის ტუფლები ეცვა და უთუოდ კიშელგოფთან შეკერილი მუჭი მაულის კოსტიუმი, ასეთი დილებს მარტო მასთან თუ მოძებნიდა.

კაცი იყო, შეიძლება ითქვას, დაკლული ზემელის აფთიაქის წინ. ის არ იყო აკუნული და შემდეგ კალოშების ყუთში ჩადებულ, როგორც ეს სწევოდათ ტფილისში და თავიც არ იყო ხურჯინში ჩამალული და შემდეგ მტკვარში მოსროლილი. ის მოკლულის ახლოს ეგდო, თითქოს და ნიკიტინის ცირკში რომ სჭრიდა დიდი ხმლით თავს თვალთმაქცი.

ახლა მოსაძებნია, ვინ იყო ამის ჩამდენი. იყო კი ამისი დრო?

გუშინ კახაკების პროცესიას დაცნენ ერივანსკი პლოშადზე, დიდი ბომბის აფეთქება და რევოლვერის სროლა გაჩაღებულყო შუა ქალაქში და ბლომად, ფოსტიდან წამოღებული, ფულიც წაელოთ. იზვოსჩიკი სწორედ ამ ამბავს უყვებოდა.

ეს აფეთქება თითქოს დაგვირგვინება იყო იმ არეულობისა, რაც ამ ახალ დროებას მოეტანა...

ალბრე იდგა ხრიპლის გვერდით და მოჭრილ თავს დაჰყურებდა. უკვე ბუზებიც დახვეოდნენ და ზედაც დასკუპებულიყვნენ. განა ხაშლამა იყო, ზედ ხელი აგექნია, ხოდა ესენიც ასე ხათრიჯამად ენებებოდნენ.

— „პოლუ ბოქსიც“ შეეჭრა, — გაიფიქრა ალბრემ, — თუმცა აქ დააკლო ვართანოვმა მაკრატელი, ვერც ბაკები ააჭრა სათანადოდ. იქ ხელი გაეცვა და ზედმეტი მოუვიდა. სარკით არ აჩვენა კეფა. მოკლულს კი დაავიწყდა მისთვის კეფა ეჩვენებიათ. ჩანს, ის რაღაც ფიქრით არის შეპყრობილი. ვითომ შეყვარებულია? არა, მისი პიჯაკის სახელოები ზედმეტად გაქექილია

ერთი ბირჟანა ანანასი

ალბრე იდგა ხრიპლის გვერდით და მოჭრილ თავს დაჰყურებდა. უკვე ბუზებიც დახვეოდნენ და ზედაც დასკუპებულიყვნენ. განა ხაშლამა იყო, ზედ ხელი აგექნია, ხოდა ესენიც ასე ხათრიჯამად ენებებოდნენ.

„პურ-ღვინო“

თუმცა ეს უკვე ორი წელია, ასე გრძელდება. ძარცვა და მკვლელობა გამხდარა რამ ყოველდღიური და არაფერი უჩვეულო ამაში არაა და ეს აღარ იყო მხოლოდ ინჟინერ-პოლკოვნიკ ლევიცკისთვის ტრამეაში მოპარული ოქროს საათი, არამედ იქცა ნამდვილ ტერორად. მარტო ამ ერთ კვირაში იმდენი რამ მომხდარიყო, სომხის ბაზარში შვიდი რევოლვერიანი კაცი შეცვივებულიყო არუთინოვის მალაზიაში და კასა წაეღოთ. ტოციაურის ბაღში, ვერაზე, რევოლვერის ბათქა-ბუთქი არ შემწყდარა. დესიმონოვის მოედანი და არსენალის გზატკეცილი ისევ გამხდარა სროლის ადგილი. ყველგან ეს სროლა და ფიზიკური დანის მუცელში დაკვრაა. „ვინი პოდომზე“ მოვაჭრე იაგორა ვართანოვი გაეძარცვათ, „შურდულის“ რედაქტორს შანტაჟისტების წერილი მოსვლოდა, კოლოკოლნი პერეულოკში მეორე გილდის ვაჭარ გიგო სუმბათოვს სამი ბოროტმოქმედი დასცემია, ბრეგვაძის სამიკიტნი დუქანში შევარდნილიყვნენ რევოლვერიანი ავაზაკები, მალაკუნების ქუჩაზე კი მალაზიიდან „ზინგერი და კ“ თოთხმეტი საკერავი მანქანა მოეპარათ, ავლაბარში სულაც შეიარაღებული ბრბო დასცემოდა ტრამეის ვაგონს, თითქოსდა სადმე ძველი დროის დილიჟანსს ძარცვავენ და განა მარტო ტფილისში? მთელ არე-მარეს ალი ავარდნოდა. სადგურ ძირულასა და ხარაგოლის შუა სახალხო მატარებელს თავს დასხმია სამოცამდე კაცი და გაუტაციათ ოთხმოცი ათასი მანეთი.

— გუშინდელი ამბავი არ ამომდის თავიდან, — თან მკვდრის თავს დაჰყურებდა ხრიპლი.

— აფეთქება მუშთეიდის ბაღშიც ისმოდაო, — დაეთანხმა ალბრე.

— როინაშვილის ფოტოგრაფიაშიც სულ ერთიანად ჩამსხვრეულია შუშები, თუმცა რაღა როინაშვილთან, მთელი ერივანსკი პლშადი რა დღეშია.

— ხო, ამ ტერორიზმის ქერტლისთვის ფლიზირ მელანჟი აღარ ყოფნის. აქ რა გვაქვს? — დახედა ისევ მოკლულს.

— ერთი მოქმეტი თამაშობილი.

— ასე ჩანს, — დაეთანხმა ალბრეც.

— თითქოს გეოგრაფიჩესკი საზოგადოების გამოფენა როა, ტანგანიკა და თეთრი ნილოსი, იქ მოკრებილი ბასრი დანებით, თითქოს იმითაა მოჭრილი, — ცოდნა გამოაჩინა მეოთხე განყოფილების პრისტავმა. ალბრემ ახედა ამის მოქმედს.

— რაღა თათრის მედიანი და ყლორთაღი და რაღა კონგო და ეკვატორული აფრიკა. შეილდისრები, ტომები აბაბუა, კოსანგო, მაპუელი, — კარგად დახსომებოდა პრისტავს აფრიკული ეთნოგრაფია, — ამდენი წელია, ვმსახურობ და ასეთი არაფერი მახსოვს. ნახალგვა და იმის ბასეინის ქუჩა ტფილისის საანატომო თეატრად იქცა და მარტო ნახალგვა? ვარდის მოედანი აიღეთ, სურბ-კარაპეტას ხევი ხომ ამოივსო გვამებით. ეს წერილები — გახსნი კონვერტს და შიგ მოქარაა, ბოლოს კი ბეჭედი დასმული ხელმოწერაა, „ოცდახუთი ტერორისტი“. არ არის ეს მონგოს ტომი და იმის შუბები? — დალილობას გუდა მოხადა ზოგადად გრძნობებში თავშეკავებულმა ხრიპლიმ.

— ვინაა ის კაცი, ვინც ეს იპოვა? — განტვირთა ალბრემ საუბარი და ამოიღო ხელები ჯიბიდან, რასაც ყალბი თუმნიანიც ამოჰყვა, ალბრეს წინა დღით რომ შეაპარეს, თან სად? გეკელერის ფოტო მალაზიაში.

— ის აღმოაჩინა ლეკმა ჯიბრაილ იბრაჰიმოვმა, დილით, თავის ვერცხლის დუქანში რომ მიდიოდა და უმაღ იცნო, ზემელის ფარმაცევტს უხმო, ქარცივაძეს და იმან ტელეფონით ჩვენ გვაცნობა.

— საიდან იცნო?

— თქვა, რომ მასთან ბლომად ვერცხლეული მოჰქონდა. ჯერ აგირავებდა და მერე, რაკი მაინც ვერ იხდოდა, პირდაპირ ფულში უცვლიდა, სულ ორიოდ უზალთუნში. ნასლედსტვა მივიღეო, დედაჩემმა დამიტოვაო და ასე ანიავებდა. ეს იყო ალბათ სახლიდან გამოტანილი ოჯახის ვერცხლეული.

— მოთამაშე იყო? — გაახსენდა ალბრეს პიჯაკზე ნანახი ცარცის ნაკვალევი.

— თან ფატი. რესტორანი „რომი“ კრუზენშტერნის ქუჩაზე იყო ხშირი ადგილი მისთვის და ამას გარდა ბევრიც სხვა, „საბანკო ბალი“, ბაუერის ღვინის დუქანი გოგოლზე... ცოტას გაგება უკვე მოეპასნარით.

— ისე ჰყვებით, ტფილისის პორტოსი

ყოფილა, ან რა ვიცი. მაგ იბრაჰიმოვისა რა ვიცი?

— დუქანი აქვს ვერცხლის რიგში, შემწენული არ ყოფილა რამე კანონდარღვევაში, თან მარჯვენა ხელში დაჭრილია. ვერც მოიქნევა, რომც სდომებოდა თან, ასე თავი მოეჭრა.

— მარცხენა?

— მარცხენა ხელი პარალიზებული აქვს.

— სხვა რა ვიცი?

— მოკლული იყო შვილი ექიმი სარდონ ჭავჭავაძისა, — აგრძელებდა ხრიპლი.

— სად ცხოვრობდა?

— უკუაზე, მამამისის სახლში.

— მამ, ვესტუმროთ კუკიას.

მარკიზ დე სადის ტომი

წარმოიდგინეთ შუა ტფილისის ერთი ტრიალი დაცემული ადგილი, კუკიას რომ იტყვიან იმ უბანში და იმ ადგილის შუა გულსა ორსართულიანი სახლი ქვითკირისა. იქ იდგა ექიმი სარდონ ჭავჭავაძე. იმას ბერლინში ესწავლა მედიცინა და სტუდენტობის მერე შვეიცარიამოც გახლდათ, კლინიკა „ბერგჰოფში“ ექიმ ბერენსთან და დოქტორ კროკოვსკისთან და იქ ეფულებოდა ჭლექის განკურნების ხელოვნებას. შინ გამობრუნების მერე კი უკვე აქ გაყო ნაირგვარ ამბებში თავი. იქნებოდა ეს მიხეილ გედევანიშვილის ელექტრო-თერაპიული კაბინეტი, თუ ექიმი მიწხოვების ცენტრალური კაბინეტი. მეტიც, პრინც ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ მყოფ ქუთაისის სამკურნალოსაც არ აკლდებოდა, რკინიგზას აირჩევდა სამგზავროდ და იცოდა ყველა კონდუქტორის ხველება და სწელება დაწვრილებით და ამ არეულ დროებაში, სროლით გაჩერებულ ვაგონში, გაეძარცვათ კიდევაც შორაპნის ახლოს და მისი „პატექ ფილიპის“ ოქროს საათი, შენევიდან ჩამოტანილი, ახლა სადღაც ღვანკითის განჯინაში ინახებოდა.

ტფილისში კი ის როგორც სიზიფე, შეჭიდებული იყო მედიცინის მიღწევების ფართო მასებში გატანას და არამიანცის ხარჯით აგებულ საავადმყოფოს კურთხევასაც დაესწრო და ჰქონდა შეპირებული იქ ერთი ფლიგელის ჩაბარება და თუ სიზიფესათი ქვა მწვერვალიდან არ დაუგორდა, შეეცდებოდა, აქ ჭლექის საქმეს მიმეყვებოდა.

დილაობით ის გადგებოდა ჰანტელებით აივანზე და ვარჯიშობდა.

— ერთი, ორი, ერთი, ორი, — თან გაჰყურებდა მტკვარს და ზედ გამავალ ტივებს და მეტივებს, დაბერილ ტიკებზე დამდგარ ტფილისის პეპოებს, ხასროლი ბადით რომ იჭერდნენ მურნას და იქნებ ოქროს თევზსაც.

იქნებ ვინმეს იმათაგან იმ გველეშაპის დაჭერაც კი ეოცნება, ახალ წელს შადნიოვის ქარვასლასთან რომ ამოყვინთავს და პირიდან ზურმუხტებსა და აგუნდებს ამოჰყრის.

სარდონი კი ამათი შემყურე მოიმარჯვებდა სავარჯიშო გირებს და ვარჯიშს მისდევედა. ექიმი „გიმნასტიკა“ დაერქვათ იმისთვის სწორედ ამ მეტივებს და კინტოებიც დიდად ხალისობდნენ, როცა ის ასე ჰანტელებით და ფოხანით გამოადგებოდა აივანზე. კინტოების ღრანჭში ჩემი მტერი ჩავარდეს, განა დაგინდობენ.

ახლა, როცა სიშჩიკებმა მისი სახლის კარი შეაღეს, სახალისო აქ არაფერი იყო. ექიმი დაუხვდათ სრულოდ ნამხდარი. წყლის ჭიქა ეკავა და აკანკალებული ხელით შიგ წამლის ფხვნილის ჩაყრას ცდილობდა. შვილის სიკვდილი მას უკვე მოახსენა უზნის აკალადნიკმა და ახლა ამას ეგუებოდა თუ ვერ ეგუებოდა.

— აქ დაბრძანდით, გისმენთ ყურადღებით, — არ დაეკარგა სარდონის პროფესიული უნარები.

— მესმის, რომ გეძნელებათ ამაზე საუბარი, მაგრამ ჩვენი პროფესიული მოვალეობა გვაიძულებს, კითხვები დაგისვით, — დაიწყა ხრიპლიმ რიხით.

— გისმენთ, — თქვა ექიმმა თავდაჭერილმა.

— დაგინწყით იმით, რომ ეჭვი ვინმეზე ხომ არ გაქვთ? — ამოეღო ხრიპლის ბლოკნოტი და ხიმიური ყარანდაში.

— ეჭვი ვისზე უნდა მქონდეს? თანაც ასე თავი მოეჭრათ, რომელი გიორგი სააკაძე მე ვარ.

— ამბობენ, ქალაქის თამაში უყვარდა, — განაგრძო ხრიპლიმ.

— ვეუბნებოდი, ჭირს და ხორველას მოიტანს, ვინ მისმენდა, — ამოიხრა ექიმმა, — ათას ლამის დუქანში დაეთრეოდა.

— ყველაზე ხშირად სად?

— მგონი, „პურ-ღვინოში“, მინა დავაყარე მაგას.

— თქვენ ბოლოს როდის ნახეთ?

— როდის ვნახე? სწორედ გუშინ. საღამო ხანს შემოიბრინა, მერე მალევე წავიდა, — თქვა ექიმმა.

— ეს, ჩანს, მისი ოთახია? — გახედა ამ დროს ხრიპლიმ გამოღებულ ოთახის კარს.

ეს იყო ფართო ოთახი. კედელთან ტახტიც მიედგათ და იმის თავზე ფარდაზე ორი ხმალი ჯვარდინად დაეკიდათ. ერთი უთუოდ გარდასული დროისა და ეგების ალა მაჰმად ხანის შემოსევისას ესხიპა იმას ყიზილბაშების თავები და მეორე რუსული შაშკა იყო, კაზაკებს როგორც შეებათ. ამათ გარდა იქვე ეკიდა მცირეკალიბრიანი შაშხანა „მონტეკრისტოს“ სისტემისა და ტახტზე კი ორი მოქარგული მუთაქა სპარსული ხლართით.

მოკლედაც ეს იყო ქართველი თავადმშვილის ტახტი და იმის თავზე დაკიდებული ავლადიება, საუკუნიდან საუკუნემდე რომ გადასდიოდა ანდერძად და თუ ადრე აქ უფრო ფილთა ეკიდა, ახლა ახალი სისტემის თოფი გაჩენილიყო.

ტახტის წინ იდგა მაგიდა აბაჟურს ქვეშ და იყო კიდევ ტახტის თავთან ტუბო, ზედ ორიოდ წიგნიც მოელაგებინათ და ხრიპლიმ გაავლო თვალი იმასაც. იყო ქართულად „ხალხის მტერი სოციალ-დემოკრატია“ და იყო სომხურადაც წიგნი, ჰოვანესიანის „დამნაცვითი და მისი მონინალმდეგენი“. იყო რუსულად წიგნი პეტროვისა „ორი პროგრამა“ და ერთიც ფრანგულად — დედი და ლაფარჟის „ეკონომიკური განვითარება და სოციალიზმი“. მოკლედ, ეს ტახტზე მოკოტრიალებული კაცი ამჟღავნებდა რამდენიმე ენის ცოდნას.

— კითხვის მოყვარული ყოფილა, — აღმოხდა ხრიპლის, როცა, ამათ გარდა, აკრძალული ლიტერატურა შენიშნა და კიდევ მეოთხე ტომი მარკიზ დე სადის მემუარებისა.

— შუქი შეგიძლიათ აანთოთ, აი, მანდ კართან არის, — მიაშველა ექიმმა.

ოლონდ ხრიპლიმ ამის გარეშეც გადაავლო თავისი პოლიციური თვალები მაგიდასაც, საცა ორიოდე ფურცელი იდო. ფურცლები ცარიელი იყო, თუმცა ხრიპლიმ თავფურცელი მაინც აიღო და უბეშიც შეინახა, რაკი შენიშნა, ზედ დადებული სხვა ბართის გაკანრულობის კვალი და ის, რაც წესით ალბრეს თვალს არ უნდა გამოეჩინებოდა, ახლა ხრიპლისაც არ გამოეჩინებინა.

— ხო, წიგნის მალაზია „გუტემბერგის“ მომხმარებელი ის ამკარად არ ყოფილა, — გამოისროლა ხრიპლიმ ოთახიდან, თან აეღო მარქსის „კაპიტალი“ და იმის სიმძიმეს ხელით წონდა, სანიშნესთან ეგშვალა, სადაც ჩადეთ ქალბატონ ივანიცკაიას სინემატოგრაფის ყუამოხეული ბილეთი.

ასე ეკავა ხელში „კაპიტალი“ ხრიპლის და დასძახა:

— რაც ამის დამწერს ალბათ ბავშვი მოუკლავს?

— ჰა?

— ესენი, ებრაელები, ბავშვებს იპარავენ და მერე იმის სისხლს იყენებენ თავიანთ ლოცვებში, — გაახმოვანა ხრიპლიმ ის, რაც საუბრეების მანძილზე ებრაელთა დარბევას და აკლუბას ხელ-ფეხს უხსნიდა.

— ის დარვისის მოტრფილავა, — თქვა ალბრემ, თუმცა გაჩერდა, რაკი სახელმწიფო სამსახურის კაცი მისი გამგონი მაინც ვერ იქნებოდა.

— თქვენში უფრო არის რაღაც ცივილური, ვიდრე ამ „როტმისტრში“, — თქვა ამ დროს ექიმმა დაბალ ხმაზე და ხრიპლის და იმის ბოქაულის ყვითელ ეპოლეტებს თუ გულისხმობდა, რაკი არავითარი როტმისტრი ოთახში და არც იმის გარეთ არა ჩანდა.

ალბრემ ჩაახველა.

— ხო, თქვენ ამკარად უკეთესი პაციენტი იქნებოდით, — აგრძელებდა სარდონ ჭავჭავაძე, — აიღეთ, — გაუნოდა ალბრეს პორტსიგარი, — ნაზარბეგოვის მალაზიაში ნაყიდი არ გეგონოთ, ვითომდა ჰავანური და სინამდვილეში კი სადღაც რუმინებში დაგრეხილი. ესაა ნამდვილი „მარია მანჩინი“, შვეიცარიიდან გამოყოლილი.

დუქან „პურ-ღვინოს“ შუაში იდგა გოცის ფაბრიკის ბილიარდი. იმის ხავერდზე ორიოდე პაპიროსის ნამწვს შეამწვევდი და მეცხრე შარს ველარ ამოცნობდი დანამდვილებით, რაკი ის სამიანს ჰგავდა, მეექვსე შარი კი ცხრიანს. სხვა კი ყველაფერი რიგზე იყო. ცარციც კი დაედოთ მაგიდის კიდებზე.

— ჰა, ამ შარით სულ იონღრები უნდა მაგიშალო, — დაუმიზნა ლუზას კია პოსლიკა კინტომ.

დუქანი ცნობილი იყო როგორც ტუზემცური სამზარეულოთი, რაც მოითვლიდა ნაირგვარ ბოლოკჩადებულ გოჭსა და ინდაურებს დაბრანულს და ხარის ბეჭსა და ნაირგვარობებს, რომ დაყრიდნენ დაუთვლელად მაგიდაზე და მოხარულ ყვერულებს და რძეში მოხარულ ხბოს, ძვლებიანად რომ იჭმეოდა და იყო კიდევ ევროპული ნაირგვარი ფარმეაკი და შნიცელი დიდი ზომისა და გარგანწყუც და მისი მამა გრანგუზიეც კმაყოფილი დარჩებოდნენ ნახულით. ამიტომაც ის მეტად განთქმული ადგილი გახლდათ დროს ტარებისა. ამას უწყობდა ხელს ის ოთახებიც, საცა ეულად და სხვათა შეუწუხებლად შეგედლო მოთავსება და მთელი ჯარი მეპანდურებისა, მოკრივეებისაგან რომ მოეკრიბა იაგორა მამინაშვილს და ყოველ მთვრალსა და აყალმაცალის ნამომწყებს უმაღ მოაშობდნენ და ამაღ ეტანებოდა ტფილისელობა აქაურობას.

იმ ეულ ოთახებში კი მსხვილად ქალაქის თამაშიც იმართებოდა და ლაქები ამაზე თვალს ხუჭავდნენ. თვალს სხვაზეც ხუჭავდნენ, როცა ექსპროპრიატორები მოიყრიდნენ აქ თავს რომელიმე მილოვის მოპარვის შემდეგ იმისათვის წართმეული ფულის გასაყოფად. „სარაჯევის“ ნაპიტოკის მოსმისას იყოფოდა ის და ეს ხორხოცი და კმაყოფილება რას გამოეპარებოდა ლაქიებს.

— ეს „კატოს ბილეთები“ სიფთაა, — ამბობდა ერთი შეტრუსული წვერით და მაგიდაზე ბლუჯას ყრიდა.

— ვაჰ, ვაჰ, ამას ერთი ალავერდიც მოუხებდა.

— ჰა, დაილოცე, არტემ-ჯან, — თვალი ჩაუკრა ლაქიას და ოქროს თუმნიანიც გადაუგდო.

ასეთ დღეებში ექსპროპრიატორები გამოჩვევით ხელგამლილი ხდებოდნენ და ფულსაც ზომავს მეტს იმეტებდნენ ლანგრიან ლაქითათვის. კაპიტალისტური წყობის რღვევა „პურ-ღვინოს“ ოთახებშიც გაჩაღებულიყო და არა მარტო მსხვილი კაპიტალისა, არამედ რომელიმე ბამბის რიგის დუქნისა თუ ვერცხლის რიგის სახელოსნოს პატრონისთვის წართმეული ფულის, ანაც გოლდლიუსტის სპიჩკის ქარხნიდან ნაძარცვი თანხისა, ლაქიების ფართუეს ქვეშ რომ ხვდებოდა.

— არა, როგორ არ უნდოდა ფულის მოცემა იმ მკვდარძალს.

— დედისერთა იქნებოდა, — ჩაიციხა მეორემ.

— მაგის ოჯახი დაიქცა, როგორ მიკბინა.

ეს არ იყო მამინდელ ტფილისში პირველი კლასის რესტორანი, როგორც „ლონდონი“ ან „ორიანტი“, გინდაც „ანონა“ და „ანგლეტერი“, თუმცა არც ტრაქტორი „მოსკოვი“ იყო ავლაბარში ან გავრილიანცის დუქანი მეტეხის ქუჩაზე, საცა სამ-სამი შაურის აკრეფით შეგედლო ჯდომა და ნაირგვარი კერძების ყმის ქვეშ მოგედება.

ეს არ იყო ადგილი, სადაც სტატუს-სეკრეტარ ნოლდეს ნახავდი, ან თუნდაც პრინც მორის საკსონსკის, თუმცა არც იზგოსნიკების დილის ხაშის ხვრეპის ადგილი იყო, განეპილი მაგიდებით და ცარიელი სამარილეებით.

თამბაქოს ქარხანა „მირის“ არტელშიკებს ნახავდი აქ ბლომად და ისეც მოხდებოდა, რომ სხვაგან დაწყებულს აქ აგრძელებდნენ და ფაეტონი, შიგ ჩასხმული არღნით, გაჩერდებოდა გალაგინსკზე და კარტუზების მოუხდელად შემოლაგდებოდნენ მოქიფენი, რომ გაეგრძელებინათ ღვინის სმა და თან წამოღებული ჩხუბიც აეტიხათ და გირიც ჩაერტყათ, დახლიდან ალებული, შუა დავიდარაბაში, თუმცა როგორც ვთქვით, მეპანდურები კარგი მოეკრიბა დუქნის პატრონს და „ორიანტის“ მეპანდურებს არაფრით დაუვარდებოდნენ.

დასასრული მე-6 გვერდზე



ქეთევან ნათელაძე

კუდიანების სიმღერა

კუდიანები რომ ვიყავით, ხომ გახსოვს, გოგო? ელოდებოდნენ საესე მთვარეს ჩვენი ბალები, ჩვენ ცეცხლს ვუნთებდით ტყის ბნელ სულელებს და ბნელ სიყვარულს, გვესმოდა ენა ხეებისა და ბალახების.

გახსოვს? ცა როგორ გაიმჭვარტლა, როგორ გაშავდა, ტყეც, ვარსკვლავებიც უცხო შიშის გახდა საფარი, მდინარის პირას სიყვარულის წამალს ეხარშავდით და ღრმად მიწაში გულის სწორთა ბედი დავფავლით.

იმ ფორიაქის ყრუ ყიჟინა წარსულს მიბარდა, ცხოვრება ახლა უსიცოცხლო წყლებში გვაგუბებს, გახსოვს? ვიცნობდით ბედისწერას და ვინც გვიყვარდა, ისე ძლიერად შევიყვარეთ, კიდეც დავლუპეთ...

და ზოგჯერ ახლაც, ღამის ბანგით როცა ვბრუნდებით, მოგონებები გვედებთან ტანზე ალუბად... ვერც ჩვენს მაგიურ სამყაროში ველარ ვბრუნდებით, ვერც არსებობა ვერ გამოგვდის მოკვდავ ქალებად.

მიგვაქროლებენ ჩვენი სიზმრის ლურჯი რაშები, იმ დროში, სადაც ენა გვესმის მთების, ლოდების, სიცოცხლის ცეკვას სადაც ცეცხლავთ ცეცხლის გარშემო და ველოდებით, ველოდებით, ჰო, ველოდებით

მათ, ვინც ტკივილად დაკრისტალდა, ველარ მოვიდა, და ვეღარც მოვა... დრო სიზმარ-ცხადს ერთად ამინებს, ჩვენი სიმღერა გადაუფლის მძინარ სამყაროს, ჩვენგან ნამღერი და მკვდარ გულელებს გამოაღვიძებს.

ზოგჯერ ხომ ხდება, როცა წუთს აქვს ფასი სიცოცხლის, მისი ნათება სიკვდილამდე უნდა ატარო, კუდიანები რომ ვიყავით, ხომ გახსოვს, გოგო?! ის დრო არაფერს არ შეადარო...

*** დრო ხომ ყველაფერს კურნავს, ალაგებს, იქნებ არ ღირდეს მიეთმოეთად, ხეებს რომ ქარზე ელაპარაკე, მაშინ იქეცი ალბათ პოეტად.

როცა დარდებმა სული გახედნეს, ღამე ჩამონვა გრძელ საათებად, როცა პირველად ზეცას ახედე, და გაუღიმე ვარსკვლავთ ნათებას.

მთვარე ყვითელი, როგორც მონეტა, სხვა ისტორიას, სხვა გზას განახებს,

მაშინ იქეცი ალბათ პოეტად, მკვდარი ჩიტები როცა დამარხე.

იქ ნამიყვანე

ჩამაცვი კაბა, კაბა ჩამაცვი ლელვის ფოთლების, თავზე დამადგი — დამინანი ბალახის ჯილა, შორს წამიყვანე, ვიყო მხოლოდ გრძნობის, ოცნების, გადვიკარგები, ტყე-ულრანში მომაცნებს ვინლა?

იქ წამიყვანე, მომანოვონ ძუძუ დევებმა, იქ წამიყვანე, დამივარცხნოს თმები ნიაგმა, იქ წამიყვანე, იქ ამიგე სახლი-კარავი, შენს გარდა ჩემი მომკითხველი იყოს არავინ!

ყაყაჩოების დამიფინე რბილი ლოგინი, ზღვებს მასიზმრებდეს ღამით ძილი მისგან მოგვრილი... ბნელ მღვიმეებში წამიყვანე სადმე, შორეულ, ყველგან ვეძებდი, იქ გიპოვნი სატრფოს, ორეულს.

იქ ვგრძნობდით ვენებას მწველს, შუადღის მზეში დახალულს, მაღალ ხეებში მღერდეს ქარი, როგორც ნალარა. იქ წამიყვანე, სადაც ჟამი არ სცნობს მანძილებს, სადაც სიყვარულს სიკვდილამდე გაავახანგრძლივებთ.

ლურჯი დილები მოიტანონ კართან შაშვებმა, დავრჩეთ ბოლომდე შეყვარებულ, ველურ ბავშვებად; თუ ვერ მხედავდე, ჩემს ნაჩუქარ ლექსებს ეფერე, ჩემამდე ქალი არ გახსოვდეს, აღარც ჩემს მერე!

ჩამაცვი კაბა, კაბა ჩამაცვი ლელვის ფოთლების...

იღბლის ზარი Capri bell

კაპრიდან ზარი წამოვიღე — იღბლის ზარი. ღმერთო, რა საოცრად წკრიალებდა, გარედან ღიმნებით და მწვანე ფოთლებით მოხატული, როგორი მიმზიდველი იყო მისი წკრიალი, რამდენ ოცნებას აღვიძებდა.

ეს მაშინ მოხდა, როცა კაპრი უნდა დამეტოვებინა, როცა კოკისპირულად წვიმდა, როცა კუნძული რძისფერ ნისლში იძირებოდა, როცა ნეაპოლისკენ გამავალი ბორანი მარინა გრანდეს პორტში იცდიდა.

მე ზარს ვყიდულობდი — იღბლის ზარს, სულ რაღაც თორმეტ ევროდ.

სწორედ ისეთს, როგორიც მრავალი წლის წინ კაპრის კლდეებში ცხვრების სამწყემსად გასულ ბიჭუნას უსახსოვრა წმინდა მიშელმა, არამინიერი სინათლით გახსივოსნებულმა, ოქროსფერ საბურველში გახვეულმა, რათა სასონარკვეთილებაში ჩავარდნილ პატარა მწყემსს დაკარგული ცხვრები ეპოვნა.

წმინდა მიშელის ზარი ვიყიდე თორმეტ ევროდ, ეს ხომ უკვე იღბალია? — ვფიქრობდი გულში. შეხედე კაპრის, რა საოცარია, ზღვაში დაყუდებულ მცოვან პოეტს ჰგავს და ყველაფრისგან პოეზიას ქმნის. აქ პაბლო ნერუდამ სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა, და აივაზოვსკი დიდხანს ხატავდა, მე კი კაპრიმ იღბლის ზარი მაჩუქა, მისი ხმის გახსენებას ახლაც ფრუანტელი მოაქვს, მისი ხმა ძილში ახლაც ჩამესმის.

დავტოვე კაპრი ნეაპოლისკენ მიმავალი ვეება ბორნით, ეს მაშინ მოხდა, როცა კოკისპირულად წვიმდა, როცა კუნძული რძისფერ ნისლში იძირებოდა, და გვიანლა აღმოვაჩინე ერთი შეხედვით შეუმჩნეველი ბზარი იღბლის ზარზე, ღმერთო, როგორი სევდიანი იყო იმ ბზარის აღმოჩენა, ღმერთო, როგორი უშნო იყო ასეთი იღბლის ზარი. ხმა კი მაინც ისეთი ჯადოსნური ჰქონდა, და იმდენ ოცნებას აღვიძებდა, და იმდენ შეგრძნებას აღვიძებდა, და ისეთ სიყვარულს აღვიძებდა...

იქნებ არც ღირდა მისი ყიდვა, იქნებ ჯობდა, ზღვაში გადამეგდო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, სად იქნება, სასაჩუქრე ყუთში, თუ ზღვის ფსკერზე, თუკი იგი გაბზარულია, იქნებ არც უნდა ვანიჭებდე ამხელა მნიშვნელობას, იქნებ არც არაფრით განსხვავდება სხვა დანარჩენი ზარებისგან, იქნებ შეუძლებელია, სადმე არსებობდეს იღბლის ზარი სულ რაღაც თორმეტ ევროდ, თუნდაც კაპრიზე; იქნებ მხოლოდ მას შეუძლია ასეთი ზარის ჩუქება, ვისაც თან არამინიერი სინათლე ახლავს, ვინც ოქროსფერ საბურველშია გახვეული, ვინც მთელი გულით მინდოდა, შემხვედროდა, ვინც არასდროს შემხვდა...

მამის საფლავი

სიკვდილზე თოვლი სხვაგვარად ჰყვება, სხვა ღრმა ჭრილობებს აღვიძებს მტკივნას, ატირდებიან საფლავის ქვებიც, თოვლში რომ მამის საფლავზე მივალ.


თოვაში დიდხანს არ დავრჩე, ის სურს, იხუტებს გულზე თოვლის თეთრ ჭილოფს, ჩამესმის მამის საფლავზე მისულს ხმა უტკბილესი — „მოხვედი, შვილო?..“

ცის ნალვლიანი სინათლე ადგას, დავტირი მწუხრით შემოსილ არეს, არაფერია ამ ქვეყნად რადგან მამის დათოვლილ საფლავზე მწარე.

გარს თოვლის თეთრი ფიჭვები სდუმან, და ზამთრის ქარი ერთგულად სტუმრობს, არაფერია ამ ქვეყნად თურმე მამის საფლავზე ძვირფასი უფრო.

როდესაც თოვა, ვით უცხო ლანდი, თეთრ მოჩვენებად იქცევა ღამის, მევსება გული თოვლით და დარდით და მენატრება საფლავი მამის.

*** ახლა მოწყენა წამით არ მტოვებს, სიჩუმის ყვითელ ფოთლებში ვწევარ, ვისხენებ ზღაპრულ ხილვებს — მარტორქებს, კლიმანჯაროს თოვლიან მწვერვალს. შენ კი, შენ ისე ხშირად მტოვებდი, გიყურებ უკვე შიშით და იჭვით, რატომ მომეცი ნიჭი პოეტის, ღმერთო, მოგეცა ცხოვრების ნიჭი! მე ახლა უკვე ნაკლებ გენდობი, და ვიძირები შენივე ქაოსში, რატომ მომეცი გული დედოფლის ამ ბაყაყებით სავსე ჭაობში. განა მე შენი რამე მმართებდა, გულს მეტი ყინვა ველარ აკაჟებს, შეჭრილი ფრთების ლურჯი ნათება შენს ბნელ ღამეებს გააკამკაშებს.



პაატა აბაშიძე

მამაჩემი

ერთ დღესაც ავდექი და მამაჩემი გავხდი.
 მივდექი, მოვდექი და მამაჩემი გავხდი.
 მამა მომენატრა და მამაჩემი გავხდი.
 გავიხადე ბავშვობა, ჩავიცვი მამაჩემის სული და
 მამაჩემი გავხდი.
 სახლის კარები შევალე, მზე ზურგს მითობდა და
 ჩრდილმა შემასწრო ოთახში.
 ჰოდა, ადგენენ ჩემი მამამონატრებული შვილები და
 ჩრდილს დააცქერდნენ, იცოდნენ, რომ
 ჩრდილის ბოლოს მიწებებული
 მე ვიქნებოდი და
 ჩრდილს შევყვებოდი ოთახში.
 ადგენენ და შემოეხვივნენ ჩრდილს.

მეც შევყვივი.
 მომეხვივნენ ჩრდილზე. ჩრდილიც ჩემია.
 ალერგიულ მინას კენჭები გამოაყარა,
 სადაც ჩემი ჩრდილი მოხვდა.
 ოთახში ვეძებე
 ჩემი ჩრდილის მოსასვენებელი ადგილი
 და მოვისვენე. წყალი დამალევიანეს,
 თვალსაც დავაღვიანე წყალი.
 ავდექი და მამაჩემი გავხდი. სხვა რა გზა მქონდა და,
 გავხდი.

ასეთ დროს რას არ გაიღებენ შვილები,
 როცა მამა მიდის სახლში.
 რას არ გაიღებენ ქმარმკვდარი ცოლები.
 ჰოდა მამაჩემი გავხდი.

მამაჩემი გავხდი და გავიხადე რეზინის ჩექმები.
 თოვლის ნესტისა და
 ოფლის ოხშივარი მოდიოდა ჩექმებიდან.
 ჰოდა მონატრებოდათ ეს სახლში ჩემებს.
 ჩრდილს ვანიშნე და
 ბავშვები კალთაში ჩაისვა,
 მოეფერა, მითხრა,
 არ აითვალცრემლო.
 ჰოდა,
 არ ავთვალცრემლებულვარ.

ავდექი და წამოვედი.
 დავტოვე ჩრდილი.
 მას აქეთ მამაჩემი გავხდი...
 რა მოკლავს კაცს!

რალაც უაზრო ფიქრის მფლობელი
 ვალაგებ უშნო და შავ ჩემოდანს.
 მერე ვუყურებ ფოტოს, რომელიც
 ვერ გადავიღეთ, რომ დამრჩენოდა.
 კარებს ვრაზავ და ვინ რას გაუგებს
 კარებს — ამ შავს და (მე არა მიშავს)...
 გზაზე გავდივარ, ნიშანს ვაუქმებ —
 ჩემთან მოსასვლელ საგზაო ნიშანს.
 და უშენობა შენი ღიმილით
 დამყვება მერე გვერდით (ან გვერდზე).

გამახსენდები მსუბუქად, თითქოს
 მამის პიჯაკი მესუროს მხრებზე.

მე შენს ფოტოებს
 ვუყურებ და ვზივარ ბუხართან
 (ბუხართან-მეთქი,
 უფრო სწორად, ვზივარ ეკლებზე),
 შენ ალბათ მთვარის
 დაბნელებას გაურბიხარ და
 მე უფრო მეტად
 მეშინია თვალის ეკლიპსის...
 ბოლო დღეებში
 ეს წვიმები სულ მიმძიმებს სულს,
 მინის კი არა,
 ისე ვფიქრობ — დამისძვრები
 და ღამით, როცა
 გამეპარე ღრმად ჩაძინებულს —
 დამიჯერე, რომ
 მას შემდეგ არ გამღვიძებია.
 სხვებმა იცინონ,
 რა ანალვლებთ, რა ენალვლებათ,
 ჯანდაბას სხვები! —
 შენ ჩემთვის ხარ სხვათაშორისი.
 შენ კარის ღრეჭოს
 არასდროს არ შემოაღებ და
 მე ხის საწოლს ვწვავ
 (ბუხარში ვწვავ) — ერთდროს, ორისთვის.

დღესაც

დღესაც დავთვერი და ქუჩაში ლოთი მიწოდეს...
 გულმავიწყი ვარ გამხდარი და ვუძლებ ცხოვრებას.
 ხომ ყველაფერი მავიწყდება, მაგრამ იცოდე,
 შენი ფერმკრთალი თითები სულ მემახსოვრება.
 დღესაც გიჟურად იწვიმა და ეს საგიჟეთი
 აივსო წვიმით. მე თვალს ვხუჭავ და ვთვლი ასამდე.
 თვალს გავახელ და გამოჩნდები, მაგრამ ისეთი
 ვედარ, როგორც ერთ დროს მყავდი (ანუ წასვლამდე).
 სიზმრებშიც უკვე ვერ გნახულობ, დავრჩით შორიშორს,
 არაფერი არ აკავშირებს ახლა ორ სადგურს
 და დამიჯერე, ისე ფრთხილად ვსუნთქავ, რომ ვშიშობ,
 შენი სახელი არ ამოჰყვეს ჩემს ამონასუნთქს.
 ეზოში ჩვენი ჰამაკია, ისიც ძველი და
 სახლთან ახალი, მაგრამ სველი კიპარებია.
 მე მახსოვს, ისე გაიპარე საძინებლიდან,
 როგორც მძინარე ბავშვებს ხშირად ეპარებიან.

ღანსუქობანა

გუშინ ჩემებს ჩავუარე.
 ბავშვებს ეზოში ბურთი ეთამაშნათ.
 ლობესთან ეგდო ტალახიანი და დაჩუტული ბურთი.

მზეს შეუხმია ტალახი...
 ვერავინ მხედავდა.
 იქვე ლობესთან ჩემი ნათრევი ჩრდილი ამოვსვარე,
 ტალახში ავზილე, ამოვგრაგნე ბინძური ღორივით,
 ბურთის ტალახი ზედ დავასრისე და
 სახლის კარისკენ თვალი გავაპარე,
 ხომ არავინ მიყურებს-მეთქი.
 ეზოს თვალი მოვავლე — თვალი გავაძლე.
 წამოვიკიდე ჩემი ნათრევი ჩრდილი,
 მდინარეზე მივიტანე, გულის მხარე, პატარა ადგილი —
 აი, სამი თითით რომ აიღებს კაცი,
 იმხელა ადგილი ამოვრეცხე და უკან დავბრუნდი.
 სახლში შევიპარე და
 ცოლს სარეცხ მანქანასთან გავუგდე.
 ყოველთვის გულის მხარეთი უყვარს
 სამი თითით ტანსაცმლის აღება...
 მე უბავშვებო ეზოში „დახუჭობანა“ ვითამაშე,
 სანამ გაირეცხებოდა ჩრდილი.
 გავერთე...
 აელო ჩემი ჩრდილი ჩემს ქვრივს და
 ლობეზე გამოეტანა გასაშრობად.
 მე მოვრჩი თამაშს.
 ჩავიცვი და მოვშორდი იქაურობას.

თითქოს

მე ცხოვრებას უფრო პერანგივით ვიცვლი,
 თითქოს გამიხუნდა, ძველი იყოს თითქოს.
 ტელეფონიც დღეში ერთხელ მხოლოდ (ისიც,
 რალაც ხათრის გამო) რეკავს და ფიქრს მიფრთხობს.

სიგარეტის ბოლი ნისლს ერევა ცაზე
 და ჩემს მაგიდაზე აზრების ბულია.
 რალაც ფილმი გადის მიტოვებულ კაცზე,
 მაგრამ ფილმი ჩემთვის არ გადაუღიათ.

მეგობრებიც... უფრო წამეგობრალეები
 მკითხულობენ, მაგრამ სხვისი პირით უფრო.
 ხშირად ვცივდები და ცოლს კი ვებრალები,
 მაგრამ ცოლიც უფრო ამინდზე საუბრობს.

და შვილები, ჩემზე მეტად უფრო pub-ის
 უგებენ და ჩემზე მეტად ენდობიან.
 ბიჭი ხარ და მიხვდი, რა გტკივა და რა გჭირს,
 რომ ტკივილში რალაც უკრავს მელოდიას!

ნეტა, მკვდარი გერქვას კაცს და იყო მკვდარი —
 დამიჯერე, მეტად მოგიგონებენ და
 ვილაც, ერთის გულში, რალაც მძიმე კადრით
 ღმერთი გაგიშვებს და შეგნყვეტს უცაბედად.

ვილაც „დივილაო“ მე კი, დიდილობით
 ყავისფერ ყავას ვსვამ და ჩემს ბუტაფორულ
 ლექსებს ვკითხულობ და (ადრეც ვკითხულობდი)
 გონებაში მერე ვესწრები დიდ ფორუმს.

დანოლამდე მთელ დღეს პერანგივით ვიცვლი,
 თითქოს გამიხუნდა, ძველი იყოს თითქოს.
 ტელეფონიც დღეში ერთხელ, მხოლოდ (ისიც,
 რალაც ხათრის გამო) რეკავს და ფიქრს მიფრთხობს.

წუხელის ქარმა დაანყვიტა ხეებს ძარღვები
 და სამუდამოდ ეს ფოთლები ხეებს გაცვივდა.
 და უშენობა მანანწალა ქუჩის ძალივით
 ნახევარმთვარეს მისტიროდა ჩემი ფანჯრიდან.
 ისეც ხდება, რომ ვილაც მოსვლას დააგვიანებს
 და შენ მიმავალ კვალს უყურებ — როგორ გშორდება.
 და ბაგა-ბაღში მიყვანილი იმ სევდიანი
 ბავშვივით უმზერ, მშობელი რომ ემშვიდობება.
 წუხელის ქარმა დაუარა ქუჩის ნათურებს
 და ეს ხეებიც გააშშვლა თითქმის მთლიანად.
 და ქარმა წუხელ ის საგზაო ნიშანი თურმე,
 ჩემს ეზოსკენ რომ მოდიოდა, შეატრიალა.

ნასვლა

არის ფიქრები, ტკივილივით რომ არ გაივლის
 და სიზმარივით წყალს უყვები შენც ყოველ დღით.
 ახლა ივლისიც ამ გვალვებით ივლის და ივლის
 და გადაივლის გზაზე შენი სილუეტით.
 მოცურავს დილა, დილა დგება — ცისფერი დილა,
 მე კი ლექსებმაც მიმატოვა — შენი არ იყოს!
 შენ რა განალვლებს, დიდი გზა გაქვს,
 აგერ — მე მკითხე,
 რომ ისე ვდგავარ,
 როგორც ლორკა ცხრამეტ აგვისტოს!
 ნასვლაზე უფრო მიზეზი გაქვს, ვიდრე — მიზანი.
 (წარმოვიდგინე, რომ სხვა ვილაც სახლის კარს გიღებს).
 მე ამდენ ხალხში რას მიმაგნებს შენზე სიზმარი,
 რომ დამესიზმროს და ნაწილი მაინც ამიხდეს.
 რთულია, თუმცა მარტო ყოფნას როგორმე შევძლებ,
 შენს მიტოვებულ იასამნებს ბოდიშებს ვუხდები.
 სიმართლე გითხრა! — უფლება მაქვს, ვიფიქრო შენზე,
 არარსებული კონვენციის მესამე მუხლით.

დასასრული

— რაფერ ვშვლიპე იმ ოჯახქორს, დე-ელლარჭა ღრანჭი, — ქამარზე დაეღაგე-ბინა ხელეპი, ჩანს, იმერეთიდან სამოვარზე ჩამოსულ მოზვერს.

პოლიცია კი იქ შუა დღის დამდეგს შე-ვარდა.

ეს იყო თითქოს ჰიდრა შავრაზმელთა რეაქციისა, დუქნების პოლიტიკურ თავი-სუფლებას რომ ახრჩობდა და ასეც იყო, როცა პოლიციის ჩინი ხელს სტაცებდა მა-გიდასთან მომჯდარ მოქალაქეს და უჩას-ტკისკენ გააქანებდა.

უხეში იყო ქცევა, თუმცა დროებაც უხ-ეში და ხისტი დამდგარიყო.

— სანიავეში თუ გაძვრებიან, თორე ყე-ელა სხვა ხვრელი დაცულია, — უპატაკა დაბალმა ჩინის პოლიციელმა ხრიპლის.

პოლიცია შევარდა თითქოსდა ჟიტო-მირში ურიათა აკლების დღეს, მაგრამ იყო კი ამის დრო? საცაა ლაქიების გაფიცვა დაინყებოდა და პოლიციის ასეთი ქცევა და უშვერი სიტყვები არ იქნებოდა ბოლო ადგილას მათი აღშფოთებისა და მოთხოვ-ნათა სიაში.

მოთხოვნა კი ბლომად ჩაენერათ, რომ გატეხილი თეფშის ფული ლაქიას არ ეხა-და, ბაზრიდან წამოღებული ბოხჩის წონა ოც გირვანქაზე მეტი არ ყოფილიყო და „კრუჟკის“ ფულის აგროვება, პატრონის სასარგებლოდ, სრულებით მოშლილიყო.

მოკლედ, ეს იყო ახალი დროების და-საწყისი.

დაჭერილები კი უჩასტკაში გადაჰყავდ-ათ.

„ხეჩოსაც“ მოჰკრა თვალი ხრიპლიმ, ასტრახანის ზანდუკში ჩაძრომას რომ ცდ-ილობდა, პოლიციას რომ დამალოდა. ოლ-ონდ მასაც მისწვდა პოლიციის ხელი.

— ყველა აქ არი? ის თითილბაზი ხომ არ გაგექცათ? — ხრიპლიმ ბოლოს იკითხა.

მერე ესენი საპოლიციო განყოფილება-ში გადაჰყავდათ, ზოგს ნეკნებში კონდახის მირტყმა ჭირდებოდა, სხვა კი ოდნავი ბუ-ზღუნით მოდიოდა.

უჩასტკას ოთახი იყო ფიცრით შეჭედ-ილი. აქედან იყო, ტატო ნულუკიძე რომ გა-ქცულა იმის ფეხსალაგში ჩაყვინთვით და ფეხსალაგი იმის მერე არაფრით გაუმჯო-ბესებულა.

შეჰყავდათ დაჭერილები და ზოგი იყო იშტაზე და ზოგი უკვე გამოცდილი ასეთ შუთრევაში და ჩაყოლას ამჯობინებდნენ, ახსოვდათ რა პოლიციის მუჯღუგუნე და სიავე.

ერთად შეყარეს ყველა საკანში და აქ ჯიბგირებმა უმალ დაიწყეს ახვრების ლა-პარაკით მტვრევა და ხან ტკბილი სიტყვ-ით, ხან დაშინებით იმათ წველას შეუდგნენ.

— გინდა, მაგ ფოლაქებზე ვითამაშოთ? — ამბობდა ერთი გასვრილი ნალებით.

დროდადრო კი კარი იღებოდა და ხან ვინ გაჰყავდათ დაკითხვაზე და ხან ვის შე-მოაპანლურებდნენ შიგ უკან.

ქეჩოში წაავლეს „ხეჩოსაც“ და გამოა-თრიეს გარეთ სწორედ მაშინ, როცა იდაყვ-ში ტუზსა მალავდა და ერთი სოლოლაკე-ლი ახვარი ამოეღო მიზანში.

გრძელი დერეფანი გაიარეს.

— ვაჰ, რა ნამესნიკის კარაულივით მა-მყვებით!

ის ოთახში შეაგდეს, საცა ახლა ხრიპლი დაუხვდა მაგიდასთან და მას წინ ედო არა სათამაშო ქალაღი, არამედ საქმეების შეკვრა და შიგ „ხეჩოს“ ბიოგრაფია ენერა და თათარი იახშიკებაკას სათავსოდან მო-პარული კატის ქურქი.

— ეს საიდან გავახსენდიო, ასე უნდა დაიწყო, — თქვა ხრიპლიმ და პაპიროსის ბოლის რგოლი გამოაგდო.

— შენა, უფალო პრისტავო, რო შემო-ვარდი ზახრუმალასავით, პირიდან ლუკ-მა გამაგდებო, პორტ-არტური გეგონა?

— შენი ნახვა მინდოდა. ვიფიქრე, ან-გელოზის დღეს მიველოცავ. შენ ხო ხარი-ტონი გქვია? — განაგრძო ტკბილი საუბა-რი ხრიპლიმ.

— რა ნეუნი ხარ, რა ბუზმა გიკბინა? აკალადრიკად გინდა, დამნიშნო?

— მერე არ გემინია აკალადრიკობის? აგე პანტა-პუნტილი კლავენ.


— შენ დამნიშნე და მე „ხეჩო“ არ ვიყო, ხარიტონ აკოფიჩი, თუ პოლიცმაისტერს ნითელი ნიფხავი არ მოვეუო „სემლისტოკ-ში“ და მერე იმას დროქის მაგიერ მიტინგ-ზე წავიღებ.

— ხმა ჩაიგდე! — დაჰყვირა ხრიპლიმ,

მოჰბეზრდა რა ხეჩოს ლათაიები, — მიხე-ილ ჭავჭავაძე დადიოდა აქ ხშირად.

ხეჩომ კი მართლაც ჩაიგდო ხმა, მერე კარგად გასინჯა ხრიპლი, წინაკა შაქრით შეცვალა და გამოჰყარა ფიანდაზად გან-ფენილმა.

— ეგაც არქიელი მყავდეს. სამკურნა-ლოდან იპარავს კოკაინს. ჰყნოსს და ქალა-ღდსაც თამაშობს. ოღონდ ოდენ სითამა-მე არაფერია, თუ არ იცი ყოზის გამოცნო-ბა. ეშმაკი კი ზუსტი გიკარნახებს, რომელ-ია ონა და ოინჯი? ოდენ ნამოგვიკიდებს, ამად არი, რო აგებს. სულ აგებს. აგე ასი



თუმანი აქ დღეის სწორს პოლკოვნიკი გი-ლენშმიტისთვის მისატანი, — წამოაყრან-ტალა ხეჩომ.

— ასი თუმანი? — ახედა ერთხელაც ხეჩოს, — დიდი ხანი მოუწევს ლოდინი. მერეედ მოსვლამდე. მოკვდა.

— ვაჰ, რას ამბობ, სავსემ მოკვდა? რო-გორ, კაცო, ერივანსკი პლოშადზე?

აფთქა პრივანსკი პლოშადზე

წინა დღით, 1907 წლის 13 ივნისს, ფოს-ტიდან მომავალ ეტლს, შიგ ორი ტომარა ფულით, ერივანსკი პლოშადზე ბომბი მოხ-ვდა.

ლენინი ელოდა ამ ფულს ფინლანდია-ში, ამ თავდასხმის აღმსრულებელი კი იყო „კამო“ და იმისი რაზმი.

— ესე ეტლი რო გაუსწორდება როტი-ნოვის მალაზიას და ვლენოთ, — გამოუშვა ფორალოვის პაპიროსი „სიმპათიდან“ ბო-ლი იასონა ცინცაძემ.

— ჯერ შენი ვესროლოთ თუ ჩემი? — აფრასიონ მერკვილაძემ იკითხა, „ყვირილ-ას რესპუბლიკის“ რეგკომის წევრმა და თან „ნაგანი“ ამოიღო და ბარაბანი გასინჯა უკ-ვე მერამდენედ.

ორი ეტლი მოემართებოდა სასახლის ქუჩაზე.

უკვე ლაპარაკიც ესმოდათ შიგ მომჯ-დარი სამხედრო ჩინების, თუმცა რას ლა-პარაკობდნენ, ამას ვერ გავარჩევდი.

— გვირაბის ბოლოში სინათლე გამოჩნ-და, — თქვა ისევ იასონამ და ეტლებს გახე-და, რომელთაც კაზაკები მოჰყვებოდნენ.

ოღონდ ეს არ იყო ბოტანიკური კლდის მუაში ახლად გაჭრილი გვირაბი, სოლოლ-აკში რომ გამოდიოდა და ბაღის პეპლებსა და ყვავილებს გამოყვრიდა.

ეს სხვა გვირაბი იყო. ამ სინათლის დან-ახვა სულ მალე დასჭირდებოდა თავად იასონას, როცა ქუთაისის საგუბერნიო ცი-ხიდან, სხვა მოაჯანყებთან ერთად, გვი-რაბით გამოიპარებოდა „სეკრეტიდან“ და ნახობილავი ჩულქების ატელიეს მიადგე-ბოდა.

გვირაბის ბოლოს თავისუფლების სინა-თლე იყო.

— ცოტაც მოცდაა საჭირო, — თქვა „ანონას“ რესტორნის ოფიციატმა, ოზურ-გეთის მაზრის გლეხმა რაჟდენ დოლიძემ და ბომბს მოუჭირა კარგად ხელი.

ახლა ერჩინა რენიეს საკონდიტროში ბილეთის ყიდვა და მერე იმით იპოდრომზე შესვლა. დიდუბის გაშლილი ველების ცქ-ერა, საცა ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ „ტრუბადურ“, „მის-მაგი“, „მარგარიტა-დე-ბურბონ“.

ამაზე თუმნის ჩამოდება და მერე ჯირი-თის ცქერა, თან ამამში საფრთხეც არაა, ვი-ატსკის გუბერნიამიც კი არ გაგასახლებენ. თუმცა ამ ფიქრებს როგორ გათქვამდა. ახლა სულ ორი ცხენის მოახლოებას ელოდა. როცა ისინი მალაზიის კარს გაუს-წორდებიან, ბომბი გასკდება.



— აბა რაფა ეგონათ, ეკზეუციის ჩაყე-ნება მამათში და „ჩერნომორეცის“ მოყენე-ბა ნაპირთან. გულზე დაადგებათ წალღე-ტილი ჯანჯუხა და თაფლის ჭამა, — თქვა ტერორისტმა სილოვან ქორიძემ.

— თაფლი ოფლი იცის, — თქვა კაცმა, ვინაც ჩანდა სხვა ჯიშისა იყო, ვინზე ესენი.

— კაი კი იქნებოდა „კონტინენტალის“ ფანჯრიდან პულიმოტის გადმოყოფა და მაგნების მასე დახოცვა ყველასი.

— თან სგუშონიე მალაკოს ფლურჩვა და ქე ხარ წამოპლაკული თითქოს რიონის პირას ჩეროში, ფეხი ფეხზე გაქ გადადე-ბული და ნაბაე თვალუბს, — თქვა კიდევ ერთმა კლასობრივი ბრძოლის ბომბით გამხეთქავმა.

— მაგას რაფა შევარჩენ, ხუთ-ხუთ საპნ-იანი ქვევრი რო მოხადეს სვირში და ხან ორშიმოთი, ხან ჩექმით ხვრიპეს, — ამბობ-და „ყვირილას რესპუბლიკის“ რეგკომის წევრი.

— ცეცხლი და ნავთი სვან მაგნებმა, — გახედა ისევ იასონამ სომხის ტერორისტს, რომელსაც ჯიბში ჰქონდა ავსტრიის ქვე-შევრდომის პასპორტი მირსკის გვარით და მელნის ლაქა არ დავარდნილიყო იქ დაბა-დების წელზე.

ამ პასპორტით ის მერე ბერლინშიც უნ-და ჩასულიყო და ერქვა „კამო“. ასე ეძახდ-ნენ და ნამდვილი სახელი და გვარი ეგების დავინყებოდათ კიდევაც.

დაუახლოვდა ეტლი როტინოვის მალა-ზიას და გადგა ნაბიჯი წინ იასონამ. სოლო-ლაკის ქუჩისა და ერევნის მოედნის გადაკ-ვეთაზე, საცა სწვევიათ ბავშვებს გავლა-გამოვლა, ხოლო მალაზიები სავსე იყო ხა-ლხით და მიუხედავად იმისა, რომ ტფილ-ისელთ უყვართ უფულობაზე ჩივილი, მუშ-ტარი იმათ არ აკლდა და ყიდულობდნენ ნაირგვარ შლაპასა თუ სოლომონ კაცის ოქროულობის მალაზიაში საათს, ფილეტის ჯიბში ჩასადებს.

ახლა პადიეზის ბაზრები აქ არ იყო, რომ იქაც ევლო ხალხს და უფრო ხალხმრ-ავლობა გაეჩინა, უბანი სხვა გაქანებისა იყო და იყო მთავარი მოედანი ტფილისისა და იყო მეტად ფემენბელური და ბადრიჯ-ნისა და ჭარხლის ყიდვისთვის არ გამოდ-გებოდა.

გადგა იასონა ცინცაძემ ფეხი და მარ-ჯვენა ხელით მოისროლა ბომბი ეტლისკენ. ეს იყო თითქოს წმინდა გიორგის ლახ-ვარი, მოქნეული. თუმცა — არა, წმინდა

გიორგისა ესე ვერ იქნებოდა. თითქოს ზეე-სის ელვა, გეფესტოს გამოჭედლი, თვით-მპყრობელობის დასამხოზად, სავსე სისხ-ლითა და ცრემლით.

ბომბი იყო ხიმიური, რითაც იმპერა-ტორი მოკლეს.

ბახ!

გასკდა ის და ცხენები დაფრთხნენ, აყ-არეს ტლინკები და ესენი არ იყვნენ არც „მის-მაგი“, არც „მარგარიტა-დე-ბურბ-ონ“, რომ იმათი ბედით ვინმე აღელვებული-ყო.

ცხენები შიშისაგან თავქუდმოგლეჯი-ლი უკან გარბოდნენ, ეტლში მყოფნი კი გადმოყარეს და დაანარცხეს პლოშადის კიდეზე. კვილი მოყვა ამას და შუშების მსხვრევის ხმა და იქვე კინტოებს, ჩაცუც-ქული რომ თამაშობდნენ მალულად ფულ-ის მირტყმას, დაბნეულთ პირი დაელოთ. ადრე გაელოთ, იქნებ ყურებიც არ დაჰ-გუბებოდათ, ახლა კი აღარ ესმოდათ ყვი-რილი. თითქოს გამსკდარ ბომბს ტაპირი მოეკლა და სინემატოგრაფის სურათები ახლა აკომპანემენტის გარეშე და ოდენ მუ-ნჯ სურათებად მიდიოდა.

როგორც მერე ყარაულის უფროს პრა-პორშიკ გრენგოლმს რაპორტში დაენერა, როცა ეტლებმა შეუხვიეს ერივანსკი პლო-შადიდან სოლოლაკის ქუჩაზე, მარჯვნიდ-ან, მირიმიანოვის მალაზიის მხრიდან, გამო-ვარდა ბომბი და პირველ ფაეტონთან დაე-ცა. ამას მოყვა მეორე და მესამე. მეოთხე ბომბი მოხვდა მეორე ფაეტონს და ახლა იქ მყოფები გადმოყარა ქვაფენილზე. მე-ხუთე მოხვდა კაზაკებს.

მეორე ფაეტონიდან გადმოვარდნილი სამხედრო ჩინი ლუბიმიოვი წამოხტა უმალ და გაიქცა წინა ფაეტონისკენ, ფული სად-აც იდო და ის უკვე სომხის ბაზრისკენ და-მფრთხალ ცხენებს გაეჭენებინათ. ტროტ-უარზე მყოფმა ტერორისტებმა ახლა რე-ვოლვერის სროლა ატეხეს და ამ გამსკდა-რი ბომბების კვამლსა და ფინდინში ლუბი-მოვმაც გაისროლა ორჯერ ვარაუდით, სადღაც იქითკენ და ერთი ტერორისტი, მამათში წალღელით ჯანჯუხას რომ დარ-დობდა, დაეცა და გაუვარდა „მაუზერი“.

შტაბს-კაპიტანი გედემანიც წამოხტა და სცადა, ფაეტონს გაჰკიდებოდა, პუშ-კინის ქუჩიდან კი უკვე სროლა ისმოდა და დააყარეს ტერორისტებმა „სმიტ-ვესონის“ და „მარსის“ სისტემის რევოლვერის ორ-კაპიკიანი ტყვიები. მოედანზე აქა-იქ ხალ-ხი ეყარა. ატყდა პანიკა. იქვე ფაეტონების ბირჟის იზვოსჩიკები გარბოდნენ თავქუდ-მოგლეჯილი.

— ნიკო, ნიკო! — ყვიროდა ვიღაც სა-სონარკვეთილი.

— ვაიმე, ღმერთო! — ყვიროდა ქალი.

— ასტვან! — კიდევ ვიღაცა.

— სწრაფად, სწრაფად! — ექაჩებოდა

სახელოზე ვიღაცა დაჭრილს და სახელოს მაგიერ უცებ მოგლეჯილი ხელი შერჩა.

მერე, როგორც გაცხადდა პოდ-პოლო-კონიკი ზაპოლსკის მოხსენებლიდან, დაი-კარგა ორი ფუთა, შიგ ოთხმოცი და ას-სამოცდაათი ათასი მანეთით. გაუჩინარდა პირველი ფაეტონის იზვოსჩიკიც, მერე პოლიციამ რომ მიაგნო ლუთერანულ სა-საფლაოსთან და დაჭრილი აღმოჩნდა. სა-ერთოდ დაჭრილები ბლომად იყო. ოც-დაოთხი კაცი მიხილის საავადმყოფოში გადაეყვანათ. ერთი გარდავოი ადგილზე მომკვდარიყო, მერე საავადმყოფოში მა-ლევე.

ჩამტვრეული იყო ყველა შუშა ერივან-სკი პლოშადზე და სოლოლაკის ქუჩაზეც კი და ბათქაში იყო ჩამოყრილი ბლომად სახლებიდან. კიდევ კარგი, არ იყო მოედან-ზე ამ დროს არც ერთი ელექტრონის ვაგო-ნი, თორემ მსხვერპლი გაიზრდებოდა.

დარეტიანებული ხალხი და ვისაც გა-ქცევა არ შეეძლო, იქვე მოედანზე ეყარა და თამამშევის ქარვასლის ჩამსხვრეულ ფანჯრებში უკვე გამოეხედათ პრიკასნიკე-ბს, აქაოდა, რა მოხდაო. იმის შესასვლელ-ში აღმართული თუჯის გრიფონები კი თი-თქოსდა მოედანზე დაყრილთ დასცქერო-დნენ და დახოცილთა ჩანისკარტებასა და აკენკვას აპირებდნენ.

მძარცველებმა კი გაიტაცეს ამ არეუ-ლობაში ფული და იზვოსჩიკმა გარეკა ცხ-ენები, ეტლიდან თან რევოლვერებს ისრო-დნენ, თუ ვინმეს გაეხედა მათი გამოკიდე-ბა იმათ დასაფრთხოზად და ვერავინ დაინ-ახა, საით მიაჭენებდა ფაეტონი, სვიმონო-ვსკი პოსიოლოკისკენ თუ მალაჯნების სლა-ბოლკისკენ...

ნათესავი?

მეძისკა წარმტაცი სიმღერებით შეგვეგება. წყნარი ოკეანის ამ სანაპირო ქალაქის — ტამპიკოს — აეროპორტი მუსიკოსები გატაცებით მღერავენ. სიამოვნებით ვუსმენთ. რამდენიმე წუთის შემდეგ დამხედურმა ყმაწვილმა — მაურისიომ, საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა — გვანიშნა, წასვლის დროს და ჩვენც დავიძარით. მიმავალთ მუსიკოსები მიგვიძღვიან და ისე სულმოუთქმელად მღერავენ, თითქოს, რომ შეყოვნდნენ, ამოისუნთქონ, სასჯელის უმაღლესი ზომა არ ასცდებათ. მუსიკოსების წინამძღოლობით ისე მივდივართ, როგორც მაყრიონი. აქ წესად ჰქონიათ ფესტივალზე ჩამოსული ყოველი თეატრის მუსიკოსებით, მომღერლებით დახვედრა.

ცოტა მოგვიანებით სასტუმროში შევიტყვეთ: მოყვარულთა თეატრების საერთაშორისო ფესტივალი, რომელზეც ჩამოვედით და სილნალის თეატრმა ნოდარ დუმბაძის წარმოდგენის მიხედვით ჩემს მიერ შექმნილი პიესა „ცა რომ სარკე იყოს“ უნდა ითამაშოს, საბინა ბერმანის სახელს ატარებს. ვილაცამ იკითხა, საბინა ბერმანი ვინ არის? მიუგეს, დრამატურგია, რამდენიმე პიესის ავტორი, ამათგან ერთი — ტროცკის ტრაგედიას ასახავს და ძალიან გახმაურდაო. ეს, ალბათ, ამათი გიორგი ერისთავია ან პოლიკარპე კაკაბაძე, ყოჩაღ, მექსიკელები დრამატურგიის კლასიკოსის ხსოვნას ასე რომ ინახავენ-მეთქი — გავიფიქრე.

მესამე საღამოს სპექტაკლიც ვითამაშეთ — მურად ვაშაქიძის მიერ მშვენივრად დადგმული „ცა რომ სარკე იყოს“. ფესტივალის დირექტორი და მასწავლებელი ნოდარ დუმბაძის სამყაროთი, იუმორით აღფრთოვანებას ვერ ფარავდა — გვეხვეოდნენ, გვეაღერებოდნენ. 35-38 წლის ქალი მომიახლოვდა, მომხვია. რაღაცას მეუბნება. მითხრეს, ეს არისო საბინა ბერმანი. გავოცდი — ასეთი ფერმკრთალი, სანდომიანი, მავთვალეა ქალი ვერაფრით დავაკავშირებ მექსიკური დრამატურგიის იმ სახელოვან წარმომადგენელთან, რომლის სახელობისაც საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი უნდა ყოფილიყო. სწორედ ეს არისო, ბეჯითად მითხრეს. საბინა ბერმანი რაღაცას მელაპარაკება, მე კი ღიმილით ვუკრავ თავს. მანქანისაკენ გვიწვევენ — ბანკეტზე გვაგვიანდებაო. ჩავსხედით, საბინა ჩემს გვერდით მოთავსდა, მის გვერდით კი ჩვენი მოსკოველი „მეგობარი“. როგორც მახსოვს, ამ კაცმა გამოგვიცხადა, ალბერტ ნიკოლაევიჩი ვარო, თორემ სინამდვილეში რა ერქვა, ვინ იცის. სსრკ-ს კულტურის სამინისტროს წარმომადგენლო, არადა, ყველა ვხვდებოდით: მას ისეთივე ურთიერთობა ჰქონდა თეატრალურ კულტურასთან, როგორც ჩვენ წყლის რესურსების სამმართველოსთან: მისი მოვალეობა ჩვენზე თვალყურის დევნება იყო, რაიმე ანტისაბჭოური არ გვეთქვა, ან ისეთი რამ არ ჩაგვედინა, რაც საბჭოეთს შეარცხვენდა.

მექსიკელ დრამატურგს შევცქერე, მიღიმი. უცებ მისი ღიმილიც, გამოხედვაში ისეთი რამ შევიტყვი, ავფორიაქდი — აქ, ამგვარ სიტუაციაში ასეთ რამეს არ ველოდი. თუმცა, რატომ? აქამდე რატომ არ ვიფიქრე ამაზე?

— საბინა... საბინა... ბერმანი... ბერმანი... ხომ შეიძლება, საბინა იყოს მექსიკური სახელი, ბერმანი? ბერმანი რა მექსიკური გვარია! იქნებ, არის? არა, ბერმანი ებრაული გვარია, კი, ეს ქალი... — ისევ მივატყვერდი, მიღიმი, რაღაცას მეუბნება. არ მესმის. ალბერტ ნიკოლაევიჩი მონოდების სიმალეზეა. კითხულობს:


— რაო, რა თქვით? — არაფერიო, მიუგებს საბინა ბერმანი.

— კი, ნამდვილად ებრაელია... როგორ გავიგო? ინგლისური ან ესპანური კიდევ ვიცოდე, რა აზრი აქვს: აგერ, ალბერტ ნიკოლაევიჩმა იმნაირი ესპანური იცის, კუბის რევოლუციაში ემონანოვობდო, ამბობს, ფიდელ კასტროს გვერდით ვიდებო. — შენ იცი, რომ ეგ ქალი ჩემი ბიძაშვილი უნდა იყოს? — ვუბნები მურად ვაშაქიძეს. მურადი გაოცებული მომიტრიალდა. ხითხითით ამბობს:

— ბატონო გურამ, თქვენ თუ რაიმე გნადიათ, ეგეთი ბიძაშვილობა ვერაფერს დაგიშლით!

საბინას ეროვნების დაზუსტების სურვილმა შემიპყრო. როგორ მოვიქცე? იქნებ დღეს, როცა თბილისიდან თელ-ავივში დღეში ლამის ათი რეისი დაფრინავს, ასეთი მოუსვენრობა უცნაური გეგვენოთ, მაგრამ მეოცე საუკუნის 80-იან წლებში ყველაფერი ეს წარმოუდგენელი, ფანტასტიკურიც კი ჩანდა. ჩვენ ხომ ყოველ მეტ-ნაკლებად ცნობილ ადამიანში ებრაელს დავეძებდით (მცირერიცხოვანი ერების თვისება!) და

ალბერტ ნიკოლაევიჩმა ირონიულად გადმოგხედა: — ეეჰ, ჩემო კარგებო, არც სმენა გივარგათ, არც ხმა, — და ისე სუფთად, კარგად წაიმღერა ეს სტრიქონი, ელდა მეცა. — ორივე შენი ბიძაშვილი ყოფილა, ბატონო გურამ და რაღა გინდა მეტი! — ხითხითებს მურად ვაშაქიძე. ალბერტ ნიკოლაევიჩი კი ახლა იდუმზე — ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო



გურამ ბათიაშვილი
სახეები და
სიტუაციები

მათი შეცნობა ეროვნული სიამაყის გრძნობას ალვივებდა. თუმცა, კომუნისტურ საზოგადოებაში ამაზე ლაპარაკი არც შეიძლებოდა, ხოლო კაპიტალისტურ სამყაროში მცხოვრებ ადამიანებთან კონტაქტის დამყარება საბჭოთა მოქალაქის არამყარი პოზიციით კაპიტალისტური სამყაროსადმი თავმოდრეკად მიიჩნეოდა. არადა, ძლიერ მენადა, გამეგო, ეს ქალი, მექსიკური დრამატურგიის ეს თვალსაჩინო ფიგურა, მართლა ებრაელი იყო თუ არა, თუმცა, ისიც მინდოდა, მას სცოდნოდა, რომ მის გვერდით ქართველი ებრაელი იჯდა. მაგრამ ამის თქმა არ შეიძლებოდა — ალბერტ ნიკოლაევიჩი ყურებად ცქვეტილი იჯდა, თორემ რა გასაჭირია: ორიოდ სიტყვას ვეტყვი ივრითულად (მაშინ მეტი არც ვიცოდი) და ყველაფერი გასაგები გახდება.

მანქანა რესტორნისაკენ მიიჩქარის. რა ექნა? როგორ მოვიქცე? ჰოპლა, მივაგენი, არის! ღიღინს ვინყებ. ვლიღინებ პოპულარულ ებრაულ სიმღერას:

„აავინუ შალომ ალექემ...“
თუ ებრაელია, გამომეხმაურება, ამყვება, თუ არადა...

— რა თქვი? — მომიბრუნდა ალბერტ ნიკოლაევიჩი.

— არა, არაფერი!
საბინამ ვერ გაიგო? ისევ:
„აავინუ შალომ ალექემ...“

მექსიკური დრამატურგიის თვალსაჩინო წარმომადგენელმა საბინა ბერმანმა მკლავში ხელი ჩამავლო და სიხარულით შესძახა:

— ნო, ნო! — და თვითონ დაიწყო:
„აავინუ შალომ ალექემ...“

„აავინუ შალომ ალექემ...“ (ალმოსავლეთის — სეფარადი — ებრაელები და დასავლეთის — ასქენაზი — ებრაელები ზოგიერთ სიტყვას, ბერას სხვადასხვანაირად წარმოთქვამთ) და სიმღერა განაგრძო.

საბინას მკლავზე ხელი მოვუჭირე, გაჩუმდი-მეთქი.

ენაზე ეუბნება საბინას რაღაცას, საუბარი გააბეს, ტუბილად მასლაათობენ, იცინიან კიდევ. აღარც კი ვახსოვართ. მარტოობა ვიგრძენი.

ეეჰ, ჩემო მურად, რას შვრები, როგორა ხარ!..

არ გვინდა ტაში...

გომი ძაბითარაქი მაშინ დაინიშნა სოხუმის ქართული თეატრის მთავარ რეჟისორად, როცა ქართული და აფხაზური დასები გაიყო. ჩამოყალიბდა ორი — ქართული და აფხაზური თეატრი და ქართულ თეატრს სხვა — მოკრძალებულ შენობაში მიუჩინეს ბინა. გოგიმ ძალიან კარგად დაიწყო მუშაობა — ჩინებული სპექტაკლები ჰქონდა. მთავრობამ გადანიშნა, აღენიშნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი. გოგი ქავთარაძემ მოინდომა, ამ თარიღისთვის დაეგა ჩემი პიესა „1832“, რომელშიც ასახული გახლდათ 1832 წლის შეთქმულების პერიპეტეიები. პიესაში იყო კამათი იმაზე, თუ რა მოგვიტანა რუსეთთან დაახლოებამ, ამ თემაზე კამათობდნენ პიესის პერსონაჟები. სპექტაკლი ჩინებულად გამოვიდა. თამაშობდნენ: მიხეილ ჩუბინიძე, დიმა ჯაიანი, გიზო სირაძე; ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობები, რომელთაც გული ჩადეს სპექტაკლში. პრემიერამ ძალიან კარგად ჩაიარა, სპექტაკლი გახმაურდა. არაერთხელ ჩამოიტანეს ამბავი, ანტისაბჭოთა სპექტაკლია და ხსნიანო, მაგრამ მოგვიანებით თეატრი საგასტროლოდ დედაქალაქში ჩამოვიდა და „1832“ საგასტროლო რეპერტუარშიც გახლდათ. სოხუმელები თბილისში თამაშობდნენ კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებას“, პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერს“ (გიზო ჟორდანიამ დადგა და გოგი ქავთარაძე ასრულებდა ყვარყვარეს როლს), ჩემს „1832“-ს და მაქსიმ გორკის

„ფსკერზე“-ს. გასტროლები უნდა დახურულიყო სპექტაკლი „1832 წელი“, რომელიც მესამედ უნდა ეთამაშათ. სპექტაკლის დაწყების წინ ერთობ დავიზაფრე — ვხედავ, დარბაზში შემოვიდა ცეკას მდივანი იდეოლოგიის დარგში, რომელსაც შემოჰყვა მთელი ბიურო, შევარდნაზე არ იყო მხოლოდ. რატომ დავიზაფრე? ხომ ლაპარაკობდნენ, სპექტაკლის მოხსნას აპირებენო, რასაკვირველია, პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ბიუროს სპექტაკლისადმი უარყოფითი რეაქცია ექნებოდა. პიესაში იყო ასეთი ეპიზოდი: ელიზბარ ერისთავის როლის შემსრულებელი დიმა ჯაიანი დიდის გზებით წარმოთქვამდა მონოლოგს „(რუსები) ოლონდ თავისი ნებით გაგვეცალონ და დარიალამდე სულ ცეკვათამაშით მივაცილებ, დაფა-ზურნას და ცივ-ცივ კახურს არ მოვაკლებ არც აფიცრობას და არც — სალდათებსა!“ ამ მონოლოგზე დარბაზს ძალიან ცხოველი რეაქცია ჰქონდა — ტაში დიდხანს არ წყდებოდა. დიმა ერთობ ემოციურად წარმოთქვამდა მონოლოგს და დარბაზიც იმავე ემოციით პასუხობდა. ცეკას ბიუროს წევრების დანახვით აფორიაქებული, შეშინებულ-იც კი, კულისებში შევედი და გოგი ქავთარაძეს ვუთხარი, ვიკას ბიუროსა მოსული, დიმა მონოლოგი ან საერთოდ ამოვიღოთ (რაც თითქმის შეუძლებელი იყო), ან დიმა იმ მშვიდად და ხმადაბლა წარმოთქვას, რომ მაყურებელმა ვერც გაიგოს-მეთქი. გოგი დამეთანხმა: ახლა ასე აჯობებს, დიმაზეც თავი დაგვიკრა. დავსხედით დარბაზში. მოახლოვდა მონოლოგის წარმოთქმის დრო: და... დიმა ეს მონოლოგი ისეთი გზებით, ემოციურად არასოდეს წარმოუთქვამს, როგორც იმ საღამოს. დარბაზში ტაშის ქარიშხალი ამოვარდა. მე, როგორც ავტორს, ეს მიხარია, მაგრამ, ავტორს, რომლის პიესასაც ხვალ რეპერტუარიდან მოხსნიან? ამჯერად სიტუაციას ვაფასებ არა როგორც ავტორის, არამედ კომპარტიის ცეკას თვლით და ვფიქრობ, რომ არა მხოლოდ სპექტაკლს მოხსნიან, მძიმე დღეში ჩამაგდებენ. არადა, ტაში გრიალებს, ეს ტაში გულზე ლამის ლახვარივით მეცემა. ჩემს გვერდით რომ კაცი იჯდა და ტაშს გაცხარებული უკრავდა, ხელებში ჩავაფრინდი: რად გინდათ, ბატონო, ტაში, არ გინდათ ტაში! გაკვირვებულმა შემომხედა, დამიღვირა, ვგონებ, მკლაფიც კი გამკრა. ნამდვილად იმ კანონიერების დამცველი თუ რაღაც ოხრობა ორგანოა, იქიდან ვეგონე. ის მე არ მიცნობდა, მე კი ვიცოდი, რომ სამაჩაბლოდან გახლდათ. ეროვნული მოძრაობის წევრი — გვარად ცოტინაშვილი. ტაში კი ისე მქუხარებდა, უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ის დაუკრავდა ტაშს თუ არა.

რაღა მექნა, რას გავანყობდი — ბუსავეით ვიჯექი, უხმოდ.
სპექტაკლი რომ დამთავრდა, ცეკას ბიუროს წევრები, კულტურის მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი, მისი მოადგილეები დირექტორის კაბინეტში შევიდნენ. ჩვენ — გოგი და მე, კართან შეგვარჩერეს: შესვლაზე უარი გვითხრეს. რამდენიმე ხანში დირექტორის კაბინეტიდან ყველა მოღიბარი — კმაყოფილი სახით გამოვიდა. გამიკვირდა. ამ დროს აფხაზეთის კულტურის მინისტრი იყო ალექსი არგუნი, რომელმაც ამ სპექტაკლზე სოხუმში წარმოდგენილი პრემიერის შემდეგ გაზეთ „კომუნისტი“ დადებითი რეცენზია გამოაქვეყნა. დღეს კი იგრძნო რა დაძაბული სიტუაცია, შეფიქრანებულად გახლდათ: შესაძლებელი იყო თანამდებობა დაეკარგა. ვკითხე, რა იყო, რა იქნა-მეთქი იქ. ოთარ თაქთაქიშვილმა გვიხსნაო. თურმე, როგორც კი თეატრის დირექტორის ოთახში შევიდნენ და დასხდნენ, ცეკას მოქუფრულ მდივანს უკითხავს, ამ პიესას დადგმის უფლება ვინ მისცა, ეს როგორ შეიძლებაო. ბატონმა ოთარმა მშვიდად მიუგო: მე მივეცი დადგმის უფლებაო და რომ დაიწყო პიესაზე საუბარი, ისე საინტერესოდ ლაპარაკობდა, ისე განიხილავდა პიესაში ასახულ ეპოქას, 1832 წლის შეთქმულების არსს (რუსული დეკაბრიზმის გაგრძელებაა), არავის შეუჩერებია. როცა საუბარი დაასრულა, ცეკას მდივანმა მადლობა გადაუხადა და დაგვემშვიდობაო.

მოგვიანებით ამ სპექტაკლის დადგმისათვის სოხუმის თეატრს პრემიაც კი მიანიჭეს.



გაგა ნახუცრიშვილი

ერთ და იგივე

ერთ და იგივე,
ერთ და იგივე,
დღისით თუ ღამით,
შუქი ჩამქრალი,
გარეთ სიცხე
და შიგნით სიცივე,
გარეთ ზაფხული,
შიგნით ზამთარი,
ერთ და იგივე,
ერთ და იგივე.

მარტივი ცხოვრება

ცხოვრება მარტივია,
განა რთული,
ცხოვრება არეულად
გამართული,
ცხოვრება ჩაკეტილი
და თან ღია,
რასაც არაფერი
ალარ ჰქვია.

ბურუსი

როგორი მსუბუქია დარდი,
ისევე გადაივლის მებასევერ,
როგორი ბურუსია ბლანტი,
ფიქრები მისამართს ვერ აგნებენ.
ისევე დარიგდება კარტი,
მერე აირევა მებასევერ,
როგორი ბურუსია ბლანტი,
როგორი მსუბუქია დარდი,
ფიქრებში მისამართს ვერ ვაგნებ მე.

თანხმობა

განწყობა?
განწყობა სადა არის,
მომბეზრდა ლექსებით ლაყობა,
აბა, სიმსუბუქე სადღა არის,
აბა, სადღა არის ბავშვობა,
განწყობა?
ისევე სადა არის,
სად არის სიჩუმის თანხმობა.

დრო რომ გავა,
ყველაფერი
ხომ არ წავა,
ისტორია რას გაფილტრავს,
რა დარჩება?
რაღაცა ხომ გადარჩება.

ვცვლიდი და ვცვლიდი,
ვთვლიდი და ვთვლიდი,
ხიდი-უფსკრული,
უფსკრული-ხიდი,
ცხოვრება მიდის,
მერე რა მოხდა,
სიკვდილი მოვა,
ჰა, დიდი-დიდი.

მსუბუქად დანერვილი
სიმძიმე,
ინვიმებს,
განწყობაც ლოთობს,
არყის ფულს
მომთხოვს.

როცა დღეები სწრაფად
გადიან,
როცა გიქრება,
რაც გაბადია,

ხვდები, ცხოვრება
არა ჰგავს რომანს,
ის უცაბედი
ჩანახატია.

ისევე გავისროლეთ,
ისევე ავისრულეთ
სიცოცხლის წყურვილი,
სიკვდილის სურვილი,
ერთხელაც ღმერთი
დაიგვიანებს,
ვინღა მოგვხედავს
ადამიანებს.

პატარა გოგო
ტიროდა თაღთან,
იყო ივლისი,
ვერ შეამჩნია სიცხეში ხალხმა,
დულდა თბილისი,
პატარა გოგო
ტიროდა თაღთან.

კიდე

ვერ ვწერ ეტყობა,
სიცარიელე
ფურცელს ეტყობა,
ვიღაც ბნელეთში ნათურას
კიდებს,
ებლაუჭება ცხოვრების
კიდეს,
კიდევ და კიდევ.

ნამი წამნამებს,
ხან ჰქმნის ვერლიბრს,
ხან ჰქმნის მაჯამებს,
ხან უჩინრად და
უსიტყვოდ მიდის,
მხოლოდ გვიტოვებს
საათის ნიკნის.


რეალური სიზმრები

რეალური სიზმრებით
დამტვერილი წიგნები,
უნახავი ფილმებით
მიგნებულის დაკარგვით,
დაკარგულის მიგნებით
მალე ალარ ვიქნებით,
ანდა სხვაგან ვიქნებით
დასაწყისის დაკარგვით,
დასასრულის მიგნებით.

წუხელ მესიზმრა დედა,
მისაყვედურა: „სვამ და ენევი!..“
რად გაგაჩინე ნეტავ,
ასე ცხოვრებით რა ბედს
ენევი?!
და გამელვოდა უცბად და ცეტად,
ვერ მოვუხადე ბოდიში დედას,
ამ ლექსს ვუძღვნი და
ვსვამ და ვენევი,
ჩვენ რას გავუგებთ
დედების სევდას,
იმათ სიყვარულს
რას დავენევი.

დედაჩემს ლოცავდა
მათხოვარი ქალი,
ყოველთვის ფულს
რომ აძლევდა.
დედა წავიდა და
გადარჩა ქალი,
უფრო აღმოჩნდა გამძლე
და იცოცხლა,
თურმე თავის წლებს
აძლევდა დედა,
სწორედ ამიტომ ლოცავდა ქალი.

უკვე წავაგე ომი,
ომი გადახდა რო?!
პურად ვერ იქცა ცომი,
ხალხად ვერ იქცა ბრბო.
ბევრი დაეკარგე დრო,
მქონდა საერთოდ რო?!



ლელა

ონოკაპალარი

ხშირად მის რჩეულს,
შემოდგომის ხეების მსგავსად,
დასცვივა თმები.
დგას, აკვირდება ასე სულშიშველს,
ზოგს — მცირე დროით, ზოგს კი — წლობით.
უფოთლო ხე კი სამყაროს გულს შიგნიდან ხედავს.
სიბრძნით ივსება
და არტყია მდუმარება შარავანდედად.

უნესოვა

უნდა ინამო ისე,
როგორც მიღებულია.
დასაზღვრე ღმერთი
წმინდა მამების შეკრულ ჩარჩოთი.
ისე განჭვრიტე, როგორც ისინი მიგითითებენ...
დანარჩენზე თვალი დახუჭე, ყური დაიხშე.
ინამე ისე, როგორც წესია:
რომ ღმერთს ერთხელ შეეძლო მოსვლა,
მხოლოდ მას შემდეგ,
რაც არსებობის უმეტესი გზა მოვიტოვეთ;
მხოლოდ კონკრეტულ რიტუალს ხედავს;
რომ დანარჩენი დედამინა ცოდვის შვილია,
ვინც განსხვავებულ ლოცვას აღავლენს,
ვინც სხვა სახელით უხმობს უფალს,
ან, რელიგიებს უსასრულო ოკეანეში
ჩამდინარე ნაკადებად ვინც განიხილავს.
თუ გაბედავ და უფლისკენ გზაზე
ფორმალობებს უგულვებელყოფ,
შენ, უნესოს, დაგმოდვრავენ წესიერი მორწმუნეები,
გზაარეულს შეგიბრალებენ.
თითს დაგიქნევენ,
ქვის სროლას არ დაგზარდებიან.
ხოლო ფარსავი თუ შეგემთხვა,
ისინი შევებით იფიქრებენ,
„გმაღლობ, უფალო, მისნაირი რომ არა ვარ,
რომ არ დამსაჯე“.

ნეტარ არიან წესიერად მორწმუნეები,
ნეტარ არიან.

როგორც ქარისგან დევნილი ნისლი,
ქრება დღეები.
ხოლო ყველა გზა
გადატკეპნილი, მტვრადქცეული ოცნებებია.
ყველა მათგანი
ამაოების ამოუვსებელ სტომაქს მიელტვის.
ნეტავი თუ შობს დიდ სისავსეს
უდიდესი სიცარიელე ამ უფსკრულისა?

ჭეშმარიტების ბაემო

„ცნობიერება არის ერთი ეგ ზემკლარი.
იგი ჩვენ კი არ გვაქვს, ჩვენ ვართ ცნობიერებაში“.
მერაბ მამარდაშვილი

ყველაფერია ნათქვამი და
გადათელილი — ყველა ბილიკი.
დროს დაუტესტავს ყველა ანდაზა,
მოყოლილია ყველა არაკი.

იმითომ არ და ვერ გაატანს ვახშამდე თავსხმა,
ბრძენმა რომ ბრძანა
და არც იმითომ, მხოლოდ შიგთავსს
თუ დაღვრის კოკა,
პოეტმა რომ თქვა,
ჭეშმარიტება ოკეანეა, დროის მიღმა მყოფი.
ზოგს მიაქანებს მისკენ ღვარცოფი,
ზოგს კი, ობობას ქსელის
მსგავსად, სუსტად დართული
ძაფით ეწევა
წელი წელზე გადახლართული.
ერთი ჭურჭლიდან სხვადასხვა წყალს
ხომ ვერ დალევენ?!



მგელაძე

ყველა წვეთსა და სულ ყველა დოზას,
გამოჟონილა რაც კი სილაში,
ერთი გემო აქვს — მომწარო მლაშე.

საყვედური

შენ —
დიდი ყანის უდიდეს პატრონს —
ხელგენიფება მწიფობის მერე გაარჩიო
იფქლი ღვარძლისგან.
რა იქნებოდა დათესვამდე გადაგერჩია?
ჩვენ როგორ შევძლოთ, ჩვენსავე შიგნით,
ერთმანეთში ჩახლართული
კულტურის და სარეველის განცალკევება?
ან, ასე რატომ განგვანეს?
ცალი თვალი რომ საკლავისადმი
სიბრაღულით გვენამება,
მეორე თვალით კარგი ხორცის შერჩევას ვცდილობთ.
ანდა, რომელი უნდა ვიდარდოთ:
მგლის ლეკვების მშვირად დარჩენა,
თუ ის ირემი,
ახალშობილი შვილისაგან

მტაცებლების გასატყუებლად
კოჭლობა რომ სულ ამოდ მოიგონა?
როგორ შევძლოთ შენს ნატერფალში
ჩამდგარი წყლით დარწყულება?
იქნებ არ ღირდა ლეღვის დაწყველა
იმისთვის, რომ ჩვენთან მსგავსება გეჩვენებია?
იქნებ არ ღირდა ზურგნაქცევი
შენი შვილის დასაბრუნებელ
ხიდად ჩვენი გამოყენება.
მტკივნეულია ჩვენს გულზე მისი ტერფები.
მტკივნეულია.

დროში დაკარგვა

ბუმბულო ჩემი ბალიშისა,
რამ მოგაშორა იმ კარიბჭიდან,
იდეალურ სამყაროსთან რომ მაკავშირებს?
იმ სამყაროსთან, სადაც შეძლებ
და „გაასწორებ ნარსულს ლექსივით“,
ცარცივით ნაშლი ყველა შეცდომას,
მოქარგავ ყველა ვერნატეჟამ სიტყვას,
უმოქმედობის გამო სინანულს
მოქმედებით გააცამტვერებ.
რამ გაიძულა, გამოსცლოდი
სრულყოფილი სამყაროს საზღვარს,
სადაც ძალიან ადვილია არყოფნაში
გადანაცვლებულთ ესტუმრო და დაირწყულო
მონატრების გვალვისაგან დამსკდარი გული.
ჰეი, ბუმბულო,
ყოველი ჩემი ნუხილის და დარდის მხილველო,
იქნებ შენც გინდა, იმ ტკბილ დროზე
მიაშბო რამე,
სანამ შენს სხეულს ნაკლავდნენ ცხვარსა და ძროხას,
წინილებს რომ ეფოფრებოდი.

ასეც ხომ ხდება:
ხალხში დალანდავ ნაცნობ სილუეტს,
ძვირფასი ჭალარაც გაიღვებ
ოქტომბრის მზესავით საამოდ.
მონატრების და სიხარულის ტალღა
ჰაერში ასწევს დედამიწას.
მერე გახსენდება, რომ ის აღარ არის, დიდი ხანია...
და გეცხება თვალები ნაცრით.

მსგავსი რამაა,
როცა ბავშვობის ოცნება თავს წამოყოფს,
მომავლის ჰორიზონტს გახედავ თვალანთებული,
ჰორიზონტის ხაზი კი ცხვირზე მოგედება
წარუმატებლად გაბმულ აბლაბუდასავით.
რა მომავალი!
და ილუზიით ანთებული თვალები
წამში
ნახანძრალი ტყის მდგომარეობას უბრუნდება.

მდუმარება

დიახ, ცა მიყვარს,
ცეცხლისფერი და არეული,
მე ვკარგავ სიზმარს
ასტრალური სერიოზულობით,
სუნთქვა, როგორც შეშლილი მთვარეული,
მიედინება უკალაპოტო ბედის ურჩობით.
მე ვერ ვხვდები არშემდგარი გრძნობების თამაშს
და ვერც კოსმიურ რეალობას სიგიჟის წრეში,
მე ვერიდები სევდაგაფანტულ პოეტთა დარბაზს,
და სულში მიხუტებს
გულისფეთქვიდან დაბადებული უნაკლო ლექსი.
არაფერს ნიშნავს ნამსხვრევები სამოთხისფერთა,
სიტყვათა კვდომა უსისხლხორცო სტრიქონთა რითმად,
ჩემი ნუთია სრულ სიმშვიდეში
უსიცოცხლო ფოთოლთაცვენა
და პოეზია,
რომელსაც ჩემი მდუმარებაც ღმერთამდე მიჰყავს.

უშნო ფიქრები

ეშმაკმა წაიღოს უშნო ფიქრები,
ჩემი ფუნქცია ამ სივრცეს სცდება,
მინევს დაღევა, ლექსების წერა,
უკვე ფოთლებმაც შეწყვიტეს ფრენა.
მივეკუთვნები მე დაბალ ფენას,
ძნელია ჩემი სურვილის შეცვლა,
ქვეყანა, სადაც არ უყვართ გული,
სადაც სიმალღეს ანებს ფული,
მე მაინც მიყვარს, მე მაინც ვეტრფი
და პოეტური ცხოვრებით ვთვრები.
ახლა ჩემსავით გაგიჟდა წვიმა,
ახლა ჩემსავით ვარსკვლავებს სცივთა,
არავის უნდა მუზა და რითმა,
კალაპოტს ეძებს უბრალო სიტყვა.
ჩემკენ მოცურავს უმიზნო ტყვია,
მარტო მთვარეა, მე მგონი, მშვიდად,
ეშმაკმა წაიღოს უშნო ფიქრები,
ჩემი ფუნქცია ამ სივრცეს სცდება.

თბილისს

ახლა ფიქრებად ვწერე ზღაპარი,
რას ხატავს მთვარე, ნეტავ, ვინ იცის,
ოქტომბრის ქარით ჰყვება ჭადარი,
როგორ ძგერს გული ძველი თბილისის.
სადაც ანათებს ბედის ვარსკვლავი,
დამათენდება ბებერ ლოთებთან,
ასე უყვარდათ, ჰო, ეს ქალაქი
და ეს არასდროს აღარ მოკვდება.
მივდივარ მთვრალი, სულით მალალი,
მაცილებს მტკვარი და ცა თბილისის,
ახლა ფიქრებად ვწერე ზღაპარი,
რას ხატავს მთვარე, ნეტავ, ვინ იცის...



დათო ქაქუთია

პირ შემოყვარა

ვერ შემოყვარებ,
ვწერ ჩუქვით ეჭვით
და ღია ფანჯრებს ვაყოლებ მზერას,
ამდენ პოეტში
და ამდენ ლექსში
ასე მგონია, ჩემი არ გჯერა.
ჩემო ძვირფასო, მე და შენ თითქოს,
მე და შენ თითქოს
ახლოს ვართ ღმერთთან
და მოკრძალებით გთხოვ,
მოუსმინო
ზეციურ გულის
მინიერ ფეთქვას.

ეს დღეც

ეს დღეც ჩემგან უცნაურად მიდის,
ან მე შევცდი და ვერაფერს ვსაზღვრავ,
და დროც, როგორც დედოფალი სიძვის,
მაცდურ მზერით ღამის ჩრდილებს ფარავს.
რატომ უყვართ ვარსკვლავებსაც ცრემლი,
ან მე შევცდი და ვერაფერს ვსაზღვრავ,
ისე ჩუმად ჰყვება ლექსებს ბედი,
როგორც ბავშვი უსაყვარლეს ზღაპარს.

მამაჩემი

მამაჩემი დამესიზმრა ერთხელ,
მარტო იყო, მონყენილი
იმ საავადმყოფოს ფოიეში, სადაც გარდაიცვალა.
სიმპათიური იყო მამაჩემი,
ლურჯი თვალებით და ჭალარა...
ამეკვიტა-მეთქი და დავვიწყე ეგ სიზმარი.
არ მჯერა სიზმრის.
მეორედ დამესიზმრა იგივე ფოიეში,
ოღონდ ბედნიერი,
მადლობა, ჩემს დარგულ ხეს რომ ეფერებო.
ასეა, კი, სიმართლეა,
ისე მიხარია, იმ ხეს რომ ვხედავ, სულ ვეფერები.
არ მჯერა სიზმრის, მაგრამ მამაჩემის მჯერა...

დაგემშვიდობე

დაგემშვიდობე,
რომ მომეგონა შენი სიშორე,
დაგემშვიდობე ისე, როგორც
ემშვიდობება ღამე შიშველ ხეებს ზამთარში.
ვეძებ გზები არეული ფიქრების თქვესში,
ღუმული შემრჩა ისეთი,
როგორც ლოცვის დასასრულს...
აიძვრა მზერა, ნახვედი ჩემგან,
რომ დამენერა სიყვარულზე ძლიერი ლექსი,
მერე კი, სადაც უდაბნოსფერ სიზმრებში მეგრძნო,
როგორ მოდიხარ და როგორ გასურს
ჩემთან დარჩენა.
დაგემშვიდობე, რომ მომეგონა შენი სიშორე,
დაგემშვიდობე ისე, როგორც
ემშვიდობება შიშველ ხეებს ღამე ზამთარში.

გურამ ბათიაშვილი

სახეები და სიტუაციები

საბასტროლო ჩანაწერი

შპეიცარიანი არ ვიყავი ნამყოფი. ამიტომ სიღნაღის თეატრიდან რომ დამირეკეს, თქვენი პიესის — „მოგზაური დასი“ — მიხედვით დადგმული ჩვენი სპექტაკლი შვეიცარიაში მიიპატიჟეს და მიწვეული ხართო, გავიხარე. ადრე თეატრი ამ სპექტაკლით ესპანეთში და ევროპის კიდევ ორ სახელმწიფოში იყო მიპატიჟებული, მაშინ მიზნობა გამო ვერ წავიკე. ახლა ხელს არაფერი მიშლიდა.

მოკლედ მოვჭრი: „მოგზაური დასი“ ორ ქალაქში — ჟენევასა და ციურხში — ერთობ წარმატებით ითამაშეს. ასეთი მხურვალე ოვაციების განმავლობაში სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორის — მურად ვაშაკიძის — მიერ შეთხზული სცენური გარემო გახლავთ.

რაზეა პიესა? ბერიკების ყოფაზე. ეს ყოფა კი გვაცნობს ქართველი კაცის ცხოვრებას: მის გარჯილობას ძეობისას, როგორ ხვდება სიყვარულს, როგორ იბრძვის მამულისათვის, როგორ კვდება თავისუფლებისათვის ბრძოლაში — თავად იღუპება, მაგრამ შვილებს, მომავალ თაობებს, საკუთარი თავის პატრონ ქვეყანას უტოვებს.

ბერიკები ყველაფერ ამას გაითამაშებენ, წარმოადგენენ და ასე აღნიშნავენ დიდბატონის ვაჟის დაბადებას. მკითხველს არ გაუჭირდება იმის მიხედვით, რომ პიესაში ხდება ის, რაც უჩვეულო არ ყოფილა ქართული ყოფისათვის და არაერთ პიესაში ასახულია...

ასე რომ, არაფერი განსაკუთრებული. მაშ, რაღამ განაპირობა სპექტაკლის წარმატება? ქართულმა ფოლკლორმა, ქართულმა ხალხურმა სიმღერამ, ქორეოგრაფიამ, რომელიც სპექტაკლში დომინირებს. პიესა ქმნის საიმისო საშუალებას, რომ ქართული მუსიკალური ფოლკლორი წარმოჩინდეს და დამდგმელმა რეჟისორმა წარმოაჩინა კიდევ. მაყურებელი ტყებობდა არა მხოლოდ ქართული მუსიკალური ფოლკლორით, ხალხური პოეზიის მუსიკალობითაც კი, რადგან სიღნაღის თეატრის მსახიობებს: აკაკი ძაძაძიას, ნანა ბუკიას, ანი თვალაძეს, მანუჩარ სამუშიას, ზურაბ ანთელავას, თორნიკე ჩეკურიშვილს, დავით გოცირიძეს მომადლებული აქვთ ნიჭი, ლექსის წარმოთქმაც მუსიკალურ აქტად აქციონ.

სასტუმრო M3, რომელშიც ვცხოვრობდი, ჟენევიდან, სადაც ტრამვაი ისე დარონინებს, როგორც „სიმდის“ მოცეკვავე ქალები, ლამის ნახევარი საათის სავალზეა. დილას აღმოვაჩინე, რომ არა შევიცარიის, არამედ საფრანგეთის ტერიტორიაზე ვიმყოფებოდი — რახან ევროკავშირის წევრი ქვეყანა ვართ, საზღვარი რა საჭიროა და დღემო ორჯერ მაინც ავუვლიდით გვერდს უკვე მიწვეულ-მიღწეულ სასაზღვრო პუნქტს. ხან შევიცარიიდან საფრანგეთს მივეშურებოდით, ხანაც საფრანგეთიდან შევიცარიიში ვბრუნდებოდით. საფრანგეთის ამ პატარა ქალაქის ყოფა ერთობ უხმაურო გახლდათ. თუ შაბათს ცოტა მიდი-მოდი, ბაზრობა ჰქონდათ, კვირას ისეთი დღე-ღამე იდგა, იფიქრებდით, მთელი ქალაქი აიყარა და სადღაც გადასახლდა, ეს ქუჩა-შუქები ხეებზე შემომსხდარ ჩიტებს დაუტოვა და ჩიტებიც ამიტომ იქნევენ ფრთებს ასე, ამიტომაც ჟრიალულობენო. მოგვიანებით ერთი ქუჩა ვნახე — ყავახანები ღიაა. შენობაშიც ბლომად სხედან ადამიანები და ქუჩებში გამოტანილი მაგიდებიც დაუკავებიათ. ზოგი ყავას სვამს, ლუდს, ზოგი — წვესს, ზოგიც — ნაყინს შეეცეკვა. მუსიკაობდა. ამ ყავახანების პატრონები, უმეტესწილად, თურქები, ირანელები, ლიბანელები არიან. ამ რამდენიმე წლის წინანდელი შემთხვევა მაგონდება: პარიზში სასტუმროს პორტიეს ვკითხე, სინაგოგამდე როგორ მივიდეთ-მეთქი (აქედნენ და მენადა, მენახა ეს ცნობილი სინაგოგა). თანხლებმა კაცმა შენიშვნა მომიცა: სინაგოგას ხმაამაღლა ნუ კითხულობ, ხომ შეიძლება, ვინმემ გაიგონოს, სახიფათოაო. ისიც მაგონდება, შალვა მარდი (ეს ის ქუთაისელი შალვა მარდახიაშვილია, ნოე ჟორდანიას რომ ენდობოდა და საქართველოს ლტოლვილ ხელისუფლებას ლევილის მამული აყიდინა) ჯეშალ აჯიაშვილს და მე გვეუბნებოდა: „სალამოს ლოცვას ნაშუადღევს ვლოცულობთ, შედამებულზე სინაგოგაში ყოფნა არც თუ უხიფათოა“.

დღეს ჟენევაში პირველი სპექტაკლია. გასული საუკუნის 80-იან წლებში შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის დიდი გასტროლის შემდეგ აქაურ სცენაზე პირველად აუღერდება ქართული სიტყვა. ცხადია, განზომილებები ერთობ განსხვავებულია — სიღნაღის თეატრი რუსთაველისას ვერ შეედრება, მაგრამ ქართული სიტყვა, განსაკუთრებით კი მუსიკალური ფოლკლორი, ერთია. ისეთი ადგილი მოვნახე — გვერდითა მხარეს — მაყურებელს მეტად ვხედავდეთ, ვიდრე სცენას: მაინტერესებს, მაყურებლის მხერამო, სახეზე რომაგორ აისახება ის, რაც სცენაზე ხდება. ერთობ მშვიდად სხედან. მათს სახეებზე ვერაფერს ვკითხულობ. არა-რა ემოციას არ ამჟღავნებენ, მაგრამ... აი, ახლოვდება ფინალური სცენები — ქართველნი მამულის, შვილების თავისუფლებისათვის მომხდურს ეკვეთებიან და მაყურებლის მხერაც იცვლება — დაძაბულობის მისჩერებთან სცენას. იბრძვიან, უთანასწორო ბრძოლაში ეცემიან ქართველნი, მაგრამ მაინც დგებიან, მაინც შემო-

სძახებენ — უდრეკელობის, მხნეობის შთამბერავი ხმები ედება დარბაზს. და მაყურებელიც თავისას მიაგებს ბერიკებს.

ციურხში სპექტაკლის შემდეგ ერთი საშუალო სიმაღლის ჯგუფი კაცი მომიხლოვდა, პიესის ავტორი ხომ თქვენ ხართო? დიან-მეთქი, თავი დავექნე. ისე მიყურებდა, ვგონებ, ბერნარდ შოუ ვეგონე. დაიწყო და დაიწყო ქება. ვუთხარი, ეგ ყველაფერი მე კი არა, აი, იმას ეხება-მეთქი და რეჟისორზე მივუთითე — სპექტაკლის ავტორი ის არის-მეთქი. მაინც ამოთქვა: სპექტაკლის ბევრი ვერაფერი გავიგე, აი, სიმღერები კი ფანტასტიკურია, მაგრამ მღერიათ. „ჰოო, მაგის ავტორი ქართველი ხალხია-მეთქი“. მაყურებელთან გამომშვიდობებისას მსახიობმა მიერ ნამღერი „მრავალჟამიერის“ ერთი ჰანგი წამიღერა და წავიდა.

ჟენევას ჩემი დასაწევი არაფერი სჭირს, მაგრამ ციურხის სილამაზეში ვერ გაეჯიბრება — დიდებულად დაგეგმარებული და ნაგები ქალაქია. მრავალ საუკუნეს ითვლის და მაოცებს ფართო ქუჩები. მაშინვე იცოდნენ, ვინორ ქუჩები ქალაქს ათას სირთულეს რომ უქმნის? ისეთ სიგანეს აძლევდნენ, საცობები ნაკლებად საგრძნობია, თუმცა-ღა, ჩვენს დროში დიდ ქალაქებში საცობით ვის გააკვირვებ!

ვერ იტყვი, რომ ჟენევაში, გინდაც ციურხში, ბევრი ქართველი ცხოვრობს. მის მეზობელ ქვეყნებში ათჯერ მეტია, მაგრამ ჟენევაში მაინც არის ქართული რესტორანი. სამცხე-ჯავახეთიდან წასული ცოლ-ქმარი ემსახურება. მეპატრონე კი ასევე ქართველი სიმპათიური ახალგაზრდა კაცია. აქ დიპლომატიურ სამუშაოზე ყოფილა, სახელმწიფო მოხელედაც უმსახურია. ვეკითხები, ამოღენა ტერიტორია რომ გიჭირავთ, ალბათ, გადასახადიც დიდი გაქვთ-მეთქი. კი, ეგრეა, მაგრამ ამ რესტორნით რამდენიმე ქართული ოჯახი ინახავსო თავსო. კლიენტურა? ქართველობა ცოტაა, აქაურები მოდიან — ქართული კერძები მოსწონთ, თუმცა, რუსი და უკრაინელიც ბევრიო... ამათ კარგად იციან ქართული სამზარეულო და ასეთ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებენ! იმ საღამოსაც, ამ რესტორანმა ჩვენ რომ მიგვიპატიჟეს, ბლომად იყვნენ. აქ არა მხოლოდ კარგ ხინკალსა და ჩაქაფულს დააგემოვნებ, „ნატახტრის“ ლიმონათსაც.

ჟენევიდან ციურხამდე მატარებლით რომ წახვიდე, ვაკონის ფანჯრიდან ორნახევარი საათი უნდა შესცქეროდე მოვილილ-დავარცხნილ სანახებს. ველები ისეა მოვლილი, ახლად პირდაპირი გეგონებათ. სადგურებს შორის ყველანაირი სახლი დგას: მრავალსართულიანიცა და შატკობიც. სათბურიც ბევრი ვინახე. ტრასებზე, ისევე, როგორც ქალაქებში, მომცბო, მანევრირებისათვის მოსახერხებელი მანქანები დადიან. ვერ შევამჩნიე, რომელიმე მძღოლს სიჩქარის დაშვებული ნორმა დაერღვიოს. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი სურათია — არაფერი განსაკუთრებული. სახლები გორაკებზე შეფენილან, თითქოს ერთმანეთთან დაუბრუნებულანო, შორი-შორს დგანან...

ამ დღეებმა — ჟენევასა და ციურხში შეხვედრებმა — მეტი სიცხადით დამანახა უკრაინელი ხალხის ტრაგიზმი — ლამის ფეხის ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდნენ ლტოლვილნი. ზოგნი ამბობენ, ომი დამთავრდება თუ არა, შინ დავბრუნდებითო, რაც ერთობ სააქვფია: ბევრი უკვე მსახურობს, ბავშვები სკოლაში დადიან, სახელმწიფო საცხოვრებლის ქირას უზრუნველყოფს. შერჩებათ ამ ადამიანებს უკრაინაში დაბრუნების სურვილი?

ჩვენი გამძღოლი ქალბატონი მარია ციურხში გვეუბნება: თუ ტრამვაით წავალთ, ათ წუთში მივალთ, თუ ფეხით ვივლით, ნახევარი საათი დაგვჭირდება. რომელს ირჩევთო. რასაკვირველია, ფეხით სიარული ვარჩიეთ. დიდებული იყო ღამის ციურხის, ეს დიდი გემოვნებით ნაგები მდუმარე, მაგრამ მეტყველი შენობები, ღამის ყოველი სახლი თავისებურია, მეზობლისას არა ჰგავს. მანქანები კანტი-კუნტად გაივლიან. არადა, ვერ იტყვი, რომ გვიანი ღამეა. მოსახლეობას უკვე სძინავს — დილას შვიდ საათზე სამსახურში უნდა იყვნენ. სადღაც ტრამვაიმ გაიშრიალა.

სამ საათზე მეტი მომინა ციურხის აეროპორტში — ამ პატარა ქალაქში შეყოვნება. პატარა ქალაქია თავისი რესტორნებით, ქუჩებით, ბაზრითაც კი. აეროპორტის ამ ბაზარში ყველაფერია, რაც ბაზარში უნდა იყოს. დავდივარ და ვფიქრობ: აეროპორტში ბაზარი რატომ უნდა იყოს — სანოვაგეს აქედან გაიყოლებენ? ფფიქრობდი, მაგრამ პასუხი ვერ ვიპოვე. თბილისისკენ მქონდა გულისყური. კარგია, მშვენიერია ჟენევა, ციურხიც, მაგრამ თბილისი მაინც სხვაა!

მთარგმნალი

დოდო ყვავილაშვილი

ესპანურენოვან მწერლობას გაუმართლა საქართველოში — ვარსკვლავებს ვარსკვლავები თარგმნიან.

დოდო ყვავილაშვილია დღეს ჩვენი სტუმარი.

ქალბატონმა დოდომ მსოფლიო ლიტერატურის შედეგები თარგმნა ისე, რომ სრულად შეუნახა და შეუნარჩუნა სული, ძალა, ხმა, ხასიათი, სტილი, ჟღერადობა, ზემოქმედების უნარი; დედნის თანასწორი თარგმანები შესთავაზა მკითხველს. მთარგმნელი უნდა იქცეს მწერლად, თქვა და იქცა კიდევ კლასიკოსების თანამოკალმედ.

— როგორ დაიწყეთ თარგმნა და რომელია თქვენი პირველი თარგმანი?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე სწავლისას ის ჯგუფი ავირჩიე, რომელიც თარგმანზე იქნებოდა ორიენტირებული. ასეთი მიმართულების სწავლება პირველი მცდელობა იყო მაშინ ჩვენს კათედრაზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაივიწყე არა-ჩვეულებრივ ორგანიზაციაში, რომელსაც ძალიან გრძელი სახელწოდება ჰქონდა: „მწერალთა კავშირთა არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგია“. სერიოზულად თარგმანს ხელი სწორედ მაშინ მოვკიდე. ვთარგმნიდი ჟურნალ „საუნჯისთვის“. პირველი თარგმანი, რაც წიგნად გამოიცა, იყო „უბიჭური ფოლკლორი“. როგორც ვიცით, ეს ხალხი ჩრდილო კავკასიიდან იძულებითი ლტოლვილი გახდა რუსეთის იმპერიის აგრესიული პოლიტიკის გამო და სხვადასხვა მხარეში გადასახლებულმა დაკარგა თავისი იდენტობა. რომ არა ფრანგი მეცნიერი, ჟორჟ დუმეზილი, მათი ფოლკლორიც დაიკარგებოდა. ვინაიდან ჩემი პირველადი ენა ფრანგულია, სწორედ ფრანგული ენიდან ვთარგმნე ამ ტრადიციული ხალხის ფოლკლორი, რომელიც შემდეგ „კავკასიურმა სახლმა“ გამოსცა. ამას მოჰყვა სხვა წიგნები, მათ შორის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ჟან-მარი გუსტავ ლე-კლეზიოს „მონღო და სხვა მოთხრობები“, რომელიც მანანა ცინცაძესთან ერთად ვთარგმნე. ამის შემდეგ გადავედი ესპანური ენიდან თარგმანზე.


— არაერთი წელი იმუშავეთ ლათინურ-ამერიკული მწერლობის შედეგებზე, გადმოქართულებული გაქვთ ხორც ლუის ბორხესის, მარიო ვარგას ლიოსას, ისაბელ ალიენდეს, რობერტო ბოლანიოს საუკეთესო ნაწარმოებები. სანამ თითოეულზე შეეჩერდებით, მინდა, ერთი შეკითხვა დაგისვათ, ალბათ ძალიან ზოგადი — როგორ დაახასიათებდით ლათინურ-ამერიკულ მწერლობას, როგორ ფიქრობთ, რამ ასაზრდოვანია ის, რანაირად ჩამოყალიბდა იმ სახით, ასე რომ მოქმედებს ჩვენზე?

— თქვენ მიერ მოხმობილ სიას დავამატებდი ხულიო კორტასარსაც, რომლის ქართულ ენაზე გამოცემულ ოთხტომეულზეც ვიმუშავე და რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ მწერალთაგან ყველაზე ახლოსაა ჩემთან, როგორც მკითხველთან. თანამედროვე ლათინურ-ამერიკული ლიტერატურის გამოჩენამ, კარგი გაგებით, მეხის გავარდნის ეფექტი მოახდინა და დამსახურებული ადგილი დაიკავა მსოფლიო ლიტერატურაში. რამ ასაზრდოვანია? თავისთავად, ლათინური ამერიკა ხომ ძალზე საინტერესო ფენომენია. იმ კონტინენტზე თავი მოიყარეს ინდიელთა უძველესი ცივილიზაციების, კულტურული და წარმადებული ევროპისა და აფრიკის ხალხების შთამომავლებმა. სწორედ მათ და მათმა ასე განსხვავებულმა კულტურებმა შექმნეს ის საოცარი სიმბიოზი, რომელიც გვაოცებს და გვხიბლავს. მათ ლიტერატურაში იგრძნობა ამ ხალხების ისტორია და ტრადიციები, ლიტერატურული თუ ფოლკლორული მემკვიდრეობა, რაც ასე მომაჯადოებლად შერწყმია ერთმანეთს.

— მაშ, სამხრეთამერიკულ მწერლებზე გავაგრძელოთ საუბარი. მოდი, ლიოსაი და ვინყოთ. თქვენს აუდიონანწერს მოვუსმინე, სადაც რამდენიმე სიტყვით დაახასიათეთ თქვენ მიერ თარგმნილი „ბოლო ჟამის ომი“ და მას ლიოსას ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები უწოდეთ. ჩვენც ვკითხებით ორივედ სიტყვა ამ რომანზე.

— „ბოლო ჟამის ომი“ მძიმე ნაწარმოებია, როგორც შინაარსობრივად, ასევე მხატვრული გამომსახველობის თვალსაზრისით. ქართველთა უმრავლესობა ბრაზილიას კარნავალებითა და ლამაზი სურიალებით უფრო იცნობდა და მათთვის ალბათ მოულოდნელი იქნებოდა ამ ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთ უმძიმეს ეპიზოდთან მათ წარმოსახვაში არსებული ბრაზილიის გაიგებება. თარგმნისას ზოგჯერ ჰაერი არ მყოფნიდა ემოციებისგან, თარგმნას თავს ვანებებდი და გარეთ გავდიოდი, რათა ოდნავ მაინც მომეთქვა სული, იმდენად დამთრგუნველი იყო ის, რასაც ვთარგმნიდი. მართლაც ძლიერი რომანია, რომელიც გვაოცებს თავისი შეუღამაზებელი რეალიზმითა და, მე ვიტყვი, ზოგჯერ, ნატურალიზმითაც კი. ასეთი შთამბეჭდავი, სისხლსავსე ნაწარმოების შექმნა ნამდვილად ოსტატის ხელს მოითხოვდა.

— „ბოლო ჟამის ომი“ ლიოსასთვის არ არის პირველი რომანი, რომელსაც ისტორიული მოვლენები უდევს საფუძვლად. ამჯერად მან მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ბრაზილია გააცოცხლა. თან როგორი სახეები შექმნა, რანაირად განავითარა ამაზვი, საუკეთესო მოხრობელია, ოსტატია მართლაც.



— დიახ. ლიოსას პირველი ნაწარმოები 1959 წელს გამოქვეყნდა, „ბოლო ჟამის ომი“ კი მკითხველმა 1981 წელს გაიცნო. იმ დროისათვის რომანის ავტორი უკვე სახელმწიფო პრემიისა და ჯილდოს მფლობელი, არაერთი რომანის ავტორი, მათ შორის, ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებისა, როგორცაა „ქალაქი და ძაღლები“, „მწვანე სახლი“, „საუბარი კათედრალში“. თუმცა, „ბოლო ჟამის ომი“ მის შემოქმედებაში პირველ ისტორიულ რომანად მიიჩნევენ. თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო ბრაზილიის ამ ისტორიულ თემაზე ფილმის გადაღება. ლიოსა თავდადებით შეუდგა სცენარზე მუშაობას. მოიძია ყველა ინფორმაცია, რაც კი შესაძლებელი იყო არა მხოლოდ ბრაზილიაში, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე ცნობილ ინსტიტუტებსა და ბიბლიოთეკებში. ფილმის გადაღების იდეა ჩაიშალა, თუმცა ლიოსას უკვე ისეთი მასალა ჰქონდა მოპოვებული და იმდენად ჰქონდა იგი შესისხლბორცებული, რომ ნამდვილად წარმოუდგენელი იქნებოდა, საქმე მიეტოვებინა. ამ რომანმა კიდევ ერთხელ გამოავლინა უზარმაზარი ნიჭი და ენერჯია მწერლისა, რომელმაც ისე დაგვიხატა ყველა, პირველ თუ მეორეხარისხოვანი, თუნდაც ერთმანეთის საპირისპირო პერსონაჟი, მათ შორის ისეთებიც, რომ მათ მიმართ მკითხველს თანაგრძნობის განცდა უჩნდება. აქვე უნდა აღვნიშნო ლიოსას სტილის ერთი თავისებურება: ავტორი პერსონაჟისა თუ მოვლენის აღწერისას თითო-ორჯოა მტრისებრი კი არ კმაყოფილდება, არამედ მას ყოველსა-მომცველად გვიხატავს უხვი ეპითეტების მოშველიებით და ერთგვარად მისი რომანი რენესანსის დიდებულ მხატვრულ ტილოს ემსგავსება, სადაც ერთი დეტალიც კი არ არის გამოტოვებული.

— ზოგადად, ლათინური ამერიკის მწერლებს უყვართ წარსულის ასახვა მხატვრულ ნაწარმოებებში, ისტორიული ამბების გამოყენება ლიტერატურაში. მათ ტექსტებში მუდამ იგრძნობა წარსულის სუნთქვა...

— ამაზე ზემოთ ნაწილობრივ გიპასუხეთ. ლათინურ-ამერიკელი მწერლების შემოქმედება გაჯერებულია იმ კულტურების მონაპოვრით, რაც კონტინენტის მცხოვრებთა წარსულს შეეხება. კონკრეტულად, მაგალითად, ისაბელ ალიენდეს „სულელების სახლი“ მოთხრობილი პუტჩის ამბავი მისი ოჯახის ამბავია, რადგან ის სოციალისტი პრეზიდენტი მამამისის ბიძაშვილი იყო. თავად რომანი კი, როგორც შესავალში უნერია, დედას, ბებიას და დიდებს, ანუ მისი ოჯახის ქალების სამ თაობას მიუძღვნა.

— როგორ ფიქრობთ, ქართველ ავტორებს ეს რამდენად გამოსდით? ჩვენი წარსულიც, მათ შორის, ახალი ისტორია მდიდარია თემებით, საკითხებით, რაც არაჩვეულებრივად შეიძლება, გაშლილიყო მხატვრულ ტექსტებში. რამდენად ათვისებულია განვლილი წლები ლიტერატურაში?


— ჩემი აზრით, ამ მხრივ საქართველოშიც იწერებოდა და დღესაც იწერება კარგი ნივთები. თუნდაც ბოლოდროინდელი ორი ცნობილი ნივთი ავიღოთ: ზაირა არსენიშვილის „ვა, სოფელი“ და ნინო ხარატიშვილის „მეორვე სიცოცხლე (ბრილკას)“ — ორი ხედვა საქართველოს მე-20 საუკუნის დასაწყისის და დასასრულისა, სხვა მწერლებსა და მათ ნაწარმოებებზე რომ არაფერი ვთქვათ. ისტორიული რომანების ტრადიცია ჩვენთანაცაა. მართალია, საბჭოთა ოკუპაციამ თავისი დალი დაამჩნია ამ ჟანრსაც, მაგრამ იმედი მაქვს, იგი ახლა

უფრო გაფართოვდება. მწერლობა, გარკვეულწილად, მთლიანად ისტორიულ ჟანრში შეიძლება, განვიხილოთ, რადგან ყველა ნაწარმოებში ჩანს ის ეპოქა, როდესაც ესა თუ ის ნაწარმოები იწერებოდა.

— ისაბელ ალიენდე და მისი „სულელების სახლი“ — პირველივე რომანი რომ გაგიტყვამს სახელს და ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მწერლად გაქცევს, ეს რაღას ნიშნავს, ბევრ რამეზე მეტყველებს, არა?

— რა თქმა უნდა! ისაბელ ალიენდეს რომანზე მუშაობა განსაკუთრებით სასიამოვნო იყო. შესანიშნავი მწერალია, ჰაერით გაიჭვივრება და რომანტიკული სტილი აქვს. ამას მაგიური რეალიზმიც დავამატოთ, რომლის ნათელი მაგალითიცაა „სულელების სახლი“; როგორც იცით, ალიენდეს კაბიან მარკესს ეძახიან. თუ ღმერთმა, გამომცემელმა იხება, კიდევ ვიხილავთ მის სხვა რომანებსაც.

— თუმცა მანამდე ალიენდემ გრძელი გზა გაიარა. მის პროფესიულ საქმიანობასაც ვგულისხმობ და პოლიტიკასთან გადახლართულ ოჯახურ ამბებს, დენილობასაც — იმის თქმა მინდა, რომ 1982 წლისთვის საკმაოდ დაუგროვდა სათქმელი და გამორჩეული მოხრობებიც გა-



მოდგა. ეს რომანი ალბათ კიდევ ერთი მაგალითია ავტობიოგრაფიული და ისტორიული ამბების ოსტატური გადაამუშავებით შექმნილი დიდებული მხატვრული ტექსტისა.

— დიახ, როგორც გითხარით, დიდი სიამოვნება იყო, მართლაც, ამ რომანის თარგმნა. ავტორს ისე ბუნებრივად შემოაქვს ფანტასმაგორიული თემები და ისე ბუნებრივად ისინი გადახლართული რეალობასთან, რომ იჯერებ — ნამდვილად ასე იყო, ნამდვილად არსებობდნენ ის ზებუნებრივი ძალები დაჯილდოებული ქალები. მის რომანში აღწერილი ისტორიული მოვლენები კი ნამდვილად მისი ოჯახის დიდი ტკივილია. როგორც ჩანს, სწორედ ეს ტკივილი გახდა მისთვის სტიმული მწერლობაში მოსვლისა. ბედნიერია ადამიანი, რომელსაც შეუძლია, ასე გამოამხატვლად გამოიტანოს პირადი ტკივილი და მას მხატვრული ღირებულება მიანიჭოს.

— რობერტო ბოლანიოს „ველური დეტექტივები“ ძალიან მნიშვნელოვან ტექსტად მიმაჩნია და ვფიქრობ, თვითონაც იყო ძალზე მნიშვნელოვანი ავტორი. საინტერესო ბიოგრაფია აქვს და ისეთი მწერალია, ბევრი რამის სწავლა რომ შეიძლება მისგან. თქვენი შთაბეჭდილება როგორი იყო, როცა მას კითხულობდით ან თარგმნიდით?

— რობერტო ბოლანიოს თარგმნა, ალიენდესგან განსხვავებით, ძალიან გამიჭირდა. ჯერ ერთი, ტექსტი გაჯერებულია არანორმატიული ლექსითა და ჟარგონებით. თანაც ნაწარმოების გმირები ზოგი მექსიკელია, ზოგი ჩილელი, ზოგიც არგენტინელი და ყველა თავისი ჟარგონით ლაპარაკობს, რაც იმას ნიშნავდა, რომ უამრავი დრო დამჭირდა მათ მოსაძიებლად — ჩვეულებრივ ლექსიკონებში არ იყო, ამიტომ ათას ესპანურეზოვან საიტზე შევხედი, კითხვების გაგზავნა მიწევდა. მეორე: რომანი პირველ პირშია დაწერილი, ასე ვთქვათ, ჩვენების მიცემის ფორმით. 52 პერსონაჟი პირველ პირში ჰყვება ამა თუ იმ ამბის მისულ ვერსიას. ამათგან ზოგი ამბავი მისული სტილის ხელოვანია, ზოგი ქუჩის ქალი, ზოგი ვინ და ზოგი — ვინ. ანუ,

52 განსხვავებული ხმა უნდა გამეყვდინებინა. არ ვიცი, როგორ მოვახერხე. ერთია — ცდა არ დამიკლია. ისე ვიყავი გაფაციცებული ამ სხვადასხვაობით, რომ ერთიანად რომანის ღირსება მხოლოდ მისი გამოცემიდან ერთი წლის შემდეგ დავაფასე. ესაა ხელოვანის სასწაულებრივი კვილი, ამბავი ახალგაზრდა ხელოვანების იმედების და ამ იმედების მსხვერვისა, ესაა რომანი იმის შესახებ, ვის გატეხს ცხოვრება, ვის დაუმსხვრევს ილუზიებს. ძალიან მნიშვნელოვანი, გულწრფელი და ნაღვლიანი ნაწარმოებია, რომლის ნაკითხვას მართლაც ვურჩევ ყველა ახალგაზრდას. იგი ერთგვარად ავტობიოგრაფიულიცაა, რადგან მთავარი გმირების პროტოტიპები თავად რომანის ავტორი და მისი გარდაცვლილი მეგობარი არიან.

— შარშან ბორხესზე იმუშავებთ. ბორხესი, როგორც ასეთი, ალბათ ცალკე დგას, არა? რატომღაც ასე აღვიქვამ მას, როგორც მკითხველი...

— დიახ, ბორხესს განსაკუთრებული ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურაში. ბუენოს-აირესში დაიბადა, თხუთმეტი წლისა იყო, როდესაც მისი ოჯახი შვეიცარიაში გადავიდა საცხოვრებლად და არგენტინაში მხოლოდ 22 წლისა დაბრუნდა.



მის ძარღვებში ერთდროულად ჩქეფდა ბასკური, ანდალუსიური, ინგლისური, პორტუგალიური, ბერძნული და ებრაული სისხლი. ოჯახში ესპანურად და ინგლისურად საუბრობდნენ. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ ლათინურ-ამერიკული მაგიური რეალიზმისა და ავანგარდიზმის მამად წოდებული უსაზღვროდ განათლებული, ინგლისური და ესპანური ენების გარდა ფრანგულიცაა გერმანული საუკეთესო მცოდნე ბორხესის შემოქმედება არსებითად ევროპული ფილოსოფიით, მხატვრული ლიტერატურითა და მითოლოგიითაა ნასაზრდოები. რა უნდა ვთქვა, მართლაც გამორჩეული ავტორია, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მის შემდგომ მწერლებსა და, ზოგადად, ლიტერატურაზე. მისი უსაზღვრო ფანტაზიით აღსავსე ფილოსოფიური ტექსტები სრულიად ახალ თვალსაზრისს გვიხსნის და სრულიად ახლებურად დავანახებთ როგორც მწერლობას, ასევე სამყაროსაც. თუმცა აქვე უნდა ვთქვა, რომ პოსტ-მოდერნიზმი მაინცდამაინც არ მხიბლავს.

— მინდა, გთხოვოთ, დაახასიათოთ ის ორი კრებული, 2022-ში რომ გამოიცა. მგონი, თავად ბორხესი „ქვიშის ნიღს“ თავის საუკეთესო კრებულად მიიჩნევდა. თქვენი ალბათ ყველაზე უკეთ იცით, რატომ ფიქრობდა ასე.


— „სულაკაურის გამომცემლობამ“ შარშან ბორხესის ორი კრებული შესთავაზა მკითხველს, „ფიქციები“ და „ქვიშის ნიღსი“. ეს უკანასკნელი ბორხესმა 1975 წელს, 76 წლის ასაკში, უკვე სრულიად დაბრმავებულმა გამოსცა. როგორც ჩანს, ესეც გახდა მიზეზი, რომ მას, როგორც ნაბოლარას, განსაკუთრებით გამოარჩევდა. კრიტიკოსთა აზრი კი ორადაა გაყოფილი. ზოგი მის საუკეთესო კრებულად „ქვიშის ნიღსს“ მიიჩნევს, ზოგიც — „ფიქციებს“. „ფიქციები“ რაც შეეხება, მასში შედის ბორხესის შედეგებად აღიარებული მოთხრობები — ფანტასმაგორიის ნამდვილი საგანძური. ამით არც „ქვიშის ნიღსი“ ჩამორჩება, თუმცა ამ კრებულში ასევე ვხვდებით უფრო გასაგებ და ახლობელ თემებსაც. ბორხესს ჩემი ქება არ სჭირდება, თუმცა მე ამ ორივე შესანიშნავ კრებულს დავამატებდი მესა-



მე კრებულსაც — „ალეფს“, რომელიც სიამოვნებით ვთარგმნე და სულ ცოტა ხნის წინათ გამოიცა.

— მიაბნეო უშუალოდ თარგმნის პროცესზე, მის სირთულეებსა და სასიამოვნო მხარეებზე, ვგულისხმობ თქვენი ავტორების ნაწარმოებებზე მუშაობის გამოცდილებას. მართალია, ზემოთ რამდენიმე სიტყვით გაიხსენეთ ზოგიერთ ტექსტზე მუშაობის პროცესი, მაგრამ მაინც მინდა, გკითხოთ, რა საქმეა, რა სამუშაოა ეს, თანაც ზოგჯერ ყველაზე საინტერესო სწორედ კულისების ამბებია ხოლმე.

— თარგმანი, საერთოდ, მძიმე შრომაა და ამაში ყველა დამეთანხმება, ვინც ამ რთულ პროფესიასა შეჭიდებული. როგორ გითხარათ, ეს თითქოს მსახიობის პროფესიას ჰგავს და არც ჰგავს, რომელმაც ესა თუ ის პერსონაჟი უნდა განასახიეროს, ან რეჟისორისას, ან თუნდაც დირიჟორისას, თუმცა, მათგან მაინც განსხვავდება იმით, რომ მსახიობს, რეჟისორსა თუ მუსიკოსს უფლება აქვს, თავისი ინტერპრეტაცია ჩადოს შესრულებაში, რისი ფუნქციონაც მთარგმნელს არ გააჩნია. მთარგმნელი როგორღაც მწერლის ტყავში უნდა შეძვრეს, ბოლომდე უნდა შეიგრძნოს ის ენა, სტილი, უღერადობა და იმპულსი, რამაც ავტორს ესა თუ ის ნაწარმოები დააწერინა, ბოლომდე უერთგულოს მას, მის ლექსიკას არაფერი დააკლოს და არც დაუმატოს, თუკი ამას სათარგმნი ენის აუცილებლობა არ მოითხოვს. ცოტა ხნით თავად უნდა იქცე მწერლად. არის შემთხვევები, როდესაც თარგმნი, თარგმნი, მერე გადაიკითხავ და მიხვდები, რომ ცუდია, აკლია ის მთავარი, რაც აუცილებელია მხატვრული თარგმანისთვის, ეგრეთ წოდებული დუნდე. შლი და თავიდან წერ. არ ვიცი, რა როგორ გამოიმივიდა, მაგრამ ერთი რამ შემიძლია, დანამდვილებით ვთქვა: ყოველთვის ვცდილობ, უკიდურესად ერთგული დავრჩე სათარგმნი ტექსტისადმი, ადრე ნაკითხული როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მუშაობის პროცესი ყოველ ავტორთან სრულიად განსხვავებულია. აქვე ვიტყვი, რომ ნაწარმოების ნაკითხვა ერთია, თარგმნა კი სულ სხვა, სულ სხვაგვარად აღიქვამ ტექსტს. კორტასარით დავიწყებ. მიუხედავად იმისა, რომ რაც ვთარგმნე, ადრე ნაკითხული მქონდა, ადვილი არ ყოფილა. ეს ის მწერალია, რომლის არცერთი სიტყვის შეცვლა არ შეიძლება, თითქოს ბენჯის ხიდზე გადიოდე, დაწერ რომელიმე სინონიმს და სათქმელს აზრი ეკარგება. არაჩვეულებრივი მწერალია, სულის მოძრაობის ისეთ ლაბირინთებში შეჭყვინტავს, რომელსაც საკუთარ თავსაც კი ვერ უმხელ, ან იმდენად მოუხელთებელი ფიქრისა, ნამზე უმცირეს დროში რომ ქრება. ლიოსაზე უკვე მოგახსენეთ: სისხლსავსე, ენერგიული მწერალია, არ იშურებს არც მეტაფორებს, არც ეპითეტებს, არც ფერებს, ქვიშასავით მოგაყრის და ბიჭი ხარ და ნუ გაუმკლავდები მის ვნებათაღელვას. ისაბელ ალიენდეს უფრო ქალური, დახვეწილი თხრობა აქვს, თუკი, პირობითად, ლიოსას რომანს ბეთშოვენს შევადარებ თავისი ენერგეტიკით, ალიენდე უფრო მოპოვის ნოქტიურნებს მიაგავს, რომანტიკული და ნაღვლიანია. ბორხესის ალბათ ბახთან შედარება უფრო გამოდგება, ფიქრებში მიჭყვინტავს, სადაც შორს, უცნობ ლაბირინთებში. ბოლანიოზე უკვე მოგახსენეთ, თუმცა, არ ვიცი, რომელ კომპოზიტორს შევადარებ, ალბათ მაინც უფრო ალვარედ შნიტკეს Declaration of Love — სიყვარულის ახსნას, რადგან ეს რომანი მართლაც სიყვარულის ახსნა ავტორის ახალგაზრდობისა და წარსულის მეგობრებისათვის.



ვანო ჩხიკვაძე

საახალწლო ზღაპარი

მოდის ვერცხლის მარხილით დედოფალი ზამთარი, თეთრი ფუტკრის ნაყარი — მოსდევს ფიფქის ამქარი.

მოდის, მოანკრიალებს ლოლოების საყურეს, ჩქარა, ლუმელს შეუნთეთ, დარაბები დახურეთ.

ხოდაბუნებს, ახოებს, შემოდგომის ნათესებს, სულშებერილ ტყისპირებს უცებ გადაათეთრებს.

ბეჭდის თვალში ციმციმებს აღმასი და კამეა, შევეგებოთ დედოფალს — ახალი წლის ღამეა.

გაიშლება ათასი თეთრი ცხენის ფაფარი. მოხუცი მუხლმგარი — თოვლის პაპაც აქ არი.

სიყვარულიც აქ არი და, სიხარულიც აქ არი, აბა, ფხიზლად, იწყება საახალწლო ზღაპარი!

ჭოტები

ულრან ტყეში ავი თვალის ცხოვრობს ორი ჯადოქარი.

ორი ბუნა, ორი ჭოტი, ამტეხები ირგვლივ შფოთის.

ერთი ზომა, ერთი წონა, სოპრანო და პრიმადონა, ორი ანჩხლი დაიკონა — აინონა-დაინონა.

აღამებენ წიკით და აბნელებენ გამთენიას, ლამის უღრანეთს შეჰყარეს ჭორიკნობის პანდემია.

ჩხუბი, ჩხუბი, დავა, დავა, არ ინყევლონ — დღე არ გავა.

აღარავინ არ დაინდეს, ვისი ბოღმა-შურიც ჰქონდათ, გააძევეს მეზობელი ციყვი ციყვის ფულუროდან.

ყვავებიც კი აფრთხილებენ შვილია თუ ბადიშია: — მოერიდეთ, ბაიყუშებს, აქეთ ფრენა საშიშია!..

თვალო, თვალო, ვინ დათვალის — ასეთები რამდენია! მაშინ უფრო ავადებიან, ცოცხს რომ შემოასხდებიან...

მოგონილი არ გეგონოთ რაც მიაბო მოკლე — კატომ, აქეთ — ფქვილი, იქით — ქატი, ტყეში ბუდობს ორი ჯადო.

ორი, ტყუპი დაიკონა — აინონა-დაინონა!..

მეფაფე

არ დასცდება უარი, ქვაბში ფაფა თუ არი.

მანის ფაფის, შვრიის ფაფის, ბრინჯის ფაფის მაფია, ერთგულად ემსახურება თოკო-ფაფიყლაპიას.

სხვა კერძებთან აზიზია, არც დახედავს პურის ყუას, თვალი ფაფისკენ გაურბის, აბა, ფაფა კიდევ თუა.

ამ პატარა პირცმაცუნამ ჯამი, როგორც თავგმა წუნამ, გამოტვლივა, ვერ გავიგეთ, კაცია თუ კაცმაცუნა.

არ დასცდება უარი, ქვაბში ფაფა თუ არი.

არავინ ჰყავს ბადალი, დიდი კოვზით მზად არის.

რა ვქნათ, მუდამ ფაფიანს გასალოკი ფაცი აქვს.

მე ვაჭუკაცი მეგონა თურმე... ფაფის კაცია.

თოკოკინა

ყველამ იცის, თავის ბინა სულ თან დააქვს ლოკოკინას. თუ არ სწყურია და შია, რა თქმა უნდა, ბინაშია.

ნიჟარიდან ადრიანად მოცანცარე თავს გამოყოფს, ნანვიმარზე, სველ და ლორთქო, ცმუცნის ბალახსა და ფოთოლს...

თოკოც ლოკოკინას ბაძავს, აღარ დარბის აცა-ბაცა.

სამალავი გაიკეთა, იქა ჭამს და იქა სძინავს, ვერ გავიგეთ, ბოლო-ბოლო, თოკოა თუ თოკოკინა!

რატომ?

ცოცხიანი მეეზოვე რატომ ჯავრობს, ნეტავ, ქუჩა-ქუჩა, როცა ფოთლის უხვ მოსავალს ხვეტავს?

მხიარული შხაპუნა რომ დიდ-პატარას გვეძებს, თავს გვევლება — სიყვარულით წვეთებს მოგვაშხეფებს.

უნდა გულით მოგვეფეროს, არ დაგეტოვოს მარტო, ჩვენ კი ყველა ქოლგის ჭერქვეშ ვემალებით, რატომ?

ვარსკვლავებს რომ დასტრიალებს მთვარე, როგორც ძიძა, დღისით რატომ იძინებენ, ღამით რატომ ღვიძავთ?

აღარ ახსოვს ჩემგან წყენა, არც — ჩართული უთო, უსათუოდ მკერდში მაინც უნდა ჩამიხუტოს.

ნეტავ მაინც ეყვარება, ბუდეში რომ ანცობს, ბარტყმა თავის დედიკოც რომ მაგრად გააბრაზოს?

ზოგი რატომ დააქროლებს უძვირფასეს ავტოს, ზოგი კიდევ ლუკმა-პურს და თავშესაფარს ნატრობს!

რათ შეჰქმუის თვითმფრინავი მშვიდობიან ზეცას,

ან მფრინავი რასა ფიქრობს, როცა ბომბებს თესავს?

რატომ ვდარდობთ, წლების ფიფქი თმას რომ გადაათოვს?.. — ეჰ, რა ცოტა პასუხია და რამდენი — „რატომ?!“

აბაზანა

ჩამოჰყვივის პირსაბანს მამალივით ონკანი: — ასე როგორ იქნება, წყურვილით რომ მომკალით?

ვინ ყოფილა ეს ლიზი, ზარმაცი და თავნება, ერთხელაც არ მომიშვა, ახლოს არ მეკარება!

აიჯავრა ჯავრისიც: — დამასკუპეს აქ რისთვის, „პასტის“ გემო არ ვიცი, დღემდე თხილიტეხია ლიზის, კბილი, აქამდე ჯერ არ გაუხეხია!

— არ ვარ სადღაც ნაპოვნი! — აბუზღუნდა საპონიც, — თენდება თუ ღამდება, არც მე არ მეკარება!

წუნუნებს პირსახოცი: — ნეტავ ბოლო მომეღოს — სარეცხი მანქანიდან თავი არ გამომიყოს!

უთომ რისთვის დამნამა, ვისთვის გამატკიცინა, სახე როგორ შევწმინდო ამ პატარა ტიტინას, ხელები და პირი თუ ჯერ არ გაიღვრიჭინა?!

მოკლედ, აბაზანაში გნიასი და ომია, ლიზის საყვედურები სულ არ გაუგონია.

საქმე არც ისე არის, მორჩეს კაკაფონია, როგორც სააბაზანოს ჭორიკანებს ჰგონიათ.

ნახეთ, ამ პირცმაცუნას მუთაქაში ტენიან — ონკანს როგორ შესწვდება, მინას არ ასცდენია.

ჯერ ისეთი ჩვილია, ითვლის პირველ ნაბიჯებს, სანოვარა აძინებს და ცელქი სხივი აღვიძებს.

— დაუფიქრდით, სირცხვილით როგორ არ დაინვებით, რანაირად გატეხავს თხილს სარძევე კიჭებით? გაზრდას რომ არ აცდიან, დავიფიცებ დედილოს. თუ ამ ენაჭარტალებს ხმა არ ჩააკმენდინოს! უკვირს რიკის: — რა ხდება, ღმერთო, ეს რა დონეა! — ახლაც აბაზანაში გნიასი და ომია!

ნაუნუნა

ნეტავ, ამოვარდესო სათაგვეთის ქოქი — ცოცხით, აქანდაზით და იატაკის ჯოხით.

დასდევს მთელი ოჯახი, ერთ გრძელკუდა ციდას, ყელი ვინც მოარღვია თოკოს მატყლის წინდას.

ამ ნაცრისფერ ონავარს დიდი გული უცემს — წიგნის ყუას გამოლრდის ან კბილს გაჰკრავს ფურცლებს.

კარადაში შემძვრალი, არ უშლიან თითქოს, სუყველაფერს მოუღებენ, შაქრით პირს დაიტკობს.

სახლში როცა იძინებს მოზრდილიც და ბავშვიც, დროს იხელთებს, გამოდის, საშოვარზე მაშინ.

ხომ გაიგეთ, ვინც არის, ვინც აწვალბთ ამდენს, ძილდამფრთხალი ოჯახი ვისაც უკან დასდევს.

ჯავრობს რიკი: — რას სჩადით, არ გაგიწყრეთ ღმერთი, ფრთხილად, არ დააბიჯოთ ვინმემ კუდზე ფეხი.

სდიეს, დიდს და პატარას თუმც გაუწყდათ ქანცი, მაინც ვერ მოიხელთეს მოწრუნუნე ანცი.

ახლაც უზით სოროში და თვალების ნაბვით, ხაფანგიდან ანაპნეს, ნიგოზს ცმუცნის თავი.

ზარმაცები

დამთავრდა თვალის სეირი — ტყეში ახალ წლის ზეიმი.

დაგვიანებულ ყვანჩალას აღარც ბზე შეხვდა, არც — ჩალა.

ელამ თვალებს რომ აცეცებს, დაეძებს ნამცხვრის ნამცეცებს.

ბუ ბებერ კვერნას არიგებს — ხველებს შეველის „აცე-ცე“.

ვერვინ გაიგო, ნასვამმა კაჭკაჭმა გვრიტს რომ უჩქმიტა. მგელს — ძვალი, მელას — ბუმბული, სტაფილო ერგო ყურცქვიტას.

ტურას და ტურას მოძახილს წყველის ოფოფი, ცანცარა: „ამოუვარდეს ჯილაგი — სიმღერა აღარ გვაცალა!“

ძლივს გაელვიდა, ბურდღუნა მობობდა შქმერის ბოლოდან — რა ექნა, საგოზინაყე ტაშტის ძირილა მოლოკა.

დამთავრდა თვალის სეირი, საკარნავალო ზეიმი.

წელს ველარ დაავარიალებს თოფს მონადირე — ბერდება, ამიერიდან უღრანეთს მშვიდობა დაებედება!

ერთგული რიკი

არ გეგონოთ გაგიჟდა, არ გეგონოთ შეშლილი — დაუყენონ მსახურად ასი ნაზირ-ვეზირი,

არ მოაკლონ ჩიტის რძე, სასახლეც რომ აჩუქონ, საახალწლო ნაძვის ხის წვერზე წამოასკუპონ,

ხელისგულზე დაუსვან ერთგულ პირისფარეშებს, რიკი მაინც ვერ გაძლებს ჩვენი სახლის გარეშე.

აქ სხვაგვარად ხალისობს, გაშლის ფრთების მარაოს, როცა საქანელაზე წინ და უკან ქანაობს.

— რიკი, დამდევს გილოცავთ, სხვა რა უნდა ვინატროთ, ფრჩხილიც არ წამოგტკივდეს, ისე გამოიზამთრო!



ამბარი

ბელელში ამბარი, ამბარქვეშ — სორო, სოროში თავგების ოჯახი ცხოვრობს.

დღედაღამ, დალეულ გორგალის ხელა, რომ არ გააცვიოს ოჯახში კერა, ფუსფუსებს, ალაგებს, რეცხავს და კერავს, ყოჩალი თავუნა, სახელად ჭრელა.

ნაცრისფერს, გამხდარს და პანტა მსხლის ხელას, აბა, მე რა ვიცი, რად ჰქვია ჭრელა.

ჭრელას როგორ დასცდეს იღბალზე ძვირი, დაპურებული ჰყავს ქმარი და შვილი, როდესაც სავესეა ამბარი ფეველით და გახვრეტილია ამბარის ძირი.

ანო და პანო და ბუნო და კუნო, აჩო და ბაჩო და ვაჩო და უჩო — ვიდრე ამბარია, აქ იყვნენ, უჯობთ — მაძლარი იქნები ოჯახის კუჭო!

თუმც ეზიდებიან პარკით და აბგით, რა უნდა დააკლონ ტომრობით დაფვილს?!

ამბარის ძირზე რომ ხვრელია, აბა, არხეინ პატრონს ვინ მიუტანს ამბავს. მაინც იფრთხილეთო, ერიდეთ ხაფანგს — არიგებს შვილებს და რეცხავს და ლამბავს.

როგორც ყველა დედა, ის მაინც ღელავს, ვიდრე მოგროვდება ოჯახში ყველა.

სოროში ბოლთას სცემს მამიკო კოტე, უმცროსებს ასწავლის წრუნუნის ნოტებს. თუ წაიზარმაცებს, უქნარას, ბოთეს, ხანდახან კისერში ნაადებს ქოთებს.

ბელელთან კნავილა, და ისიც ჭრელა, ირგვლივ დასუსულებს — მიდამოს ზვერავს. ამ დროს ისუსება ამბარქვეშ სორო, სადაც თავუნების ოჯახი ცხოვრობს.

ანოს და, პანოს და, ბუნოს და კუნოს, აჩოს და, ბაჩოს და, ვინცა ჰყავს ირგვლივ — ხელსაქმით დაღლილი დაწვება ვიდრე, მძინარე პატარებს კუდებით ითვლის.

მუდამ სათვალეს რომ დაეძებს კოტე, შვილებს რომ ასწავლის წრუნუნის ნოტებს, საბნად რომ ახურავს ზაფხულის თივა, სორო რომ ზანზარებს, როცა ის ხვრინავს.

გვერდი იცვალეო, აღვიძებს ნელა, ხელსაქმით დაღლილი, პანტა მსხლის ხელა, ჭრაქს ვიდრე ჩააქრობს, ერთხელაც ყველას მზრუნველ თვალს მოაველებს დედილო ჭრელა.

ბელელში ამბარი, ამბარქვეშ სორო, სოროში თავგების ოჯახი ცხოვრობს!..

კიჭას იუპილი

წყაროსთან, იფნების კორომის ბოლოს, იქ, სადაც ყურცქვიტა კურდღელი ცხოვრობს,

გახურდა თონე და ხაბაზობს ტურა, ტყის ყველა კუთხიდან ელიან სტუმარს.

სუფრაზე რა უნდა ჭინჭარს და ლოლოს, ნამგალს ატრიალებს ბურდღუნა სოლო.

„რად მიყვარს სტაფილო“ — სცენიდან კიჭას უმღერებს ანსამბლი — „შაშვების ქორო“.

დილაადრიანად, გაუხმეს ენა, ქვეყანა შეყარა კაჭკაჭმა ლენამ.

მოხუც ფოსტალიონს გაუწყდა ქანცი, რა მნიშვნელობა აქვს, ათოვს თუ აწვიმს?

მცხოვრებნი ზემოთის, მცხოვრებნი ქვემოთის — კურდღელს დააფასებს დღეს ქუდზე კაცი.

ყველა მიანყდება მოციციქულ სოროს, სადაც მარტოხელა კურდღელი ცხოვრობს? სადაც ყალიონი დილამდე ხრჩოლავს და ატკბობთ დილამდე ჭრიჭინას „სოლო“.

მელამაც გაიგო, ცბიერმა ლადომ, საჩუქრად კონვერტში ქათმის ფრთა ჩადო.

ქუცუნა, ზანტი და ჭამამი მარდი, ქაქანით მოათრევს მუხის რკოს პარკით.

თხუნელამ — ახალი მოთხრილი მინა, ველურმა ფუტკარმა — თაფლუჭას ფიჭა, ბუს კვერცხი მოართვა თრითინამ კიჭას, ნუკრმა ნეკერი და ბალახი-ლიჭა.

ჩიბუხს რომ ახრჩოლებს დათუჩა სოლო, იქ იუბილარი კურდღელი ცხოვრობს.

გავაპლაკუნოთო ნაფაზი თითოც, კალთაში ჩაისვამს პატარა ცქვიტოს.

ზამთარშიც თუთუნს არ გაუდის ყავლი — ბუხრიდან ამოდის ჩიბუხის კვამლი.

ბუზღუნებს მეუღლე — დაშტერდი, დაბერდი, ძილშიც არ გეთმობა კვესი და აბედი. ენევი, ნეგხარ თუ კამათელს აგორებ — ბუნავი გაბოლე, უბანიც გაბოლე!

ჰოდა, დათვს ყურცქვიტას გვერდით რომ ცხოვრობს, ჩიბუხისწვეია სოლომონს, სოლოს, ჭკუაში დაუჯდა, ბოლოს და ბოლოს, მეზობელს მიართმევს თუთუნის კოლოფს.

ანი და, ბანი და, განი და, დონი, კარზე კაკუნია, სარკმელზეც — მგონი,

თავბრუ დაახვიეს, არა აქვს მოცლა, ვინ „გულებს“ უგზავნის, ვინ — მხოლოდ კოცნას.

ისევ იძახიან, გაუღეს კარი, ფოსტალიონია, ფეხმარდი ქარი.

არც შინდის კერკი ან კომპოტი მოცვის, მგელმა მოგართვაო, ეს მოსალოცი.

კითხულობს ნეკერჩხლის ფოთოლზე ნანერს: „სიზმარშიც ვნახულობ შენს ფაფუკ „ფაცებს“, გილოცავ, გასუქდი, პირობას გაძღვე, არ შეგახრამუნებ, კიჭუნა, ამ ნელს!“

კიდე ვინ მობრძანდა, გარეთ ვინ დადის — „პანუნას“ მიერთვას ეს ამანათი.

აბა, მოგვასვენეთ, ხუმრობას მორჩით — სად არის სტაფილო ან ჭარხლის ფოჩი?

ციყვმა ამ მოსალოცს რა მოაყოლა? — საზამთრო თხილი და კაკალი, კროლა!

კაკუნი! — ვინ არის? — გაუღეთ კარი! — შემოაფრიალებს დეპეშას ქარი:

„იფრთხილეთ, ბაჭიას რამე არ ავნოს, არც დიდი ანდოთ და არც ბავშვი ანდოთ — ცოცხზე გადამჯდარი, ამა და ამ დროს, სუფრას გადაუფრენს ტყის ქაჯი, ლამრო!..“

შორიდან დაგტკბები კერძების სურნელით, სახელს ვერ გაგიმხვლეთ!.. „კეთილისმსურველი.“

კოდალამ მატლი და, იჩქარეთ, დროა, ბელურას ნისკარტით თავთავი მოაქვს.

რომ მოაცუნცულა წრუნუნამ ფრთხილად, თვითონ გამოტლიკა კარაქის ქილა...

ჭამეს და დალიეს, სიმღერით, ხმაურით, შეძრეს უღრანეთის ამერ-იმიერი.

თავის მოტანილი თავადვე შესანსლეს, იუბილარი კი... დატოვეს მშვიერი!

ტაშ-ფანდურისა და ზეიმის ბოლოს, სოროს, სადაც ჩვენი კურდღელი ცხოვრობს,

ცაზე მეოცნებე მთვარემ რომ ინათა, „შაშვების ქორო“ და ქარიც რომ ჩაჩუმდა, წინ დაუსკუპდა და ყელმოღერებულმა ბუზღუნმა კურდღელს გალობა აჩუქა...

ვიდრე ერთგულებით ერთმანეთს ვნამლობთ, ვერ გადეფარები ნაკვერჩხალს, ნავლო, თავის ცოცხიანად, მოთქვამს და წვალობს, ძეძვებში გაბმული, ალქაჯი ლამრო!..

ანი და, ბანი და, განი და, დონი, ეს ჩვენი ამბავიც დასრულდა, მგონი!





საადი შირაზელი
ბუსტანიდან

მსმენია, რაჟამს აღსასრულმა სასო წაჰგვარა, ანუშირვანმა¹ დაუბარა ჰორმოზს ამგვარად: იყავ გლახაკთა განმკითხველი მჭრელი გონებით, განცხრომის ვნებას ნურასოდეს დაემონები. შენი სამეფო კაცთაგანს არ ემყუდროება, თუ მუდამ ლხენის და გართობის გიდგას დროება. განა ბრძენკაცი მოიწონებს, სიმართლის მთქმელი, მწყემსი თვლემდეს და

ცხვარს ფარაში მუსრავდეს მგელი. ლატაკთ მფარველად დაუდექი, მადლის მმოსავი, ხალხის წყალობით არის შაჰი გვირგვინოსანი. ასე უწყოდე: ხე მეფეა, ხალხი ფესვია, ფესვი ამარებს ხეს, თუ მუმილი შემოესია. ქვეშევრდომთა გულს

ნუ განგმირავ რისხვა-გლისპობით, თორემ საკუთარ ფესვს ამოთხრი და მოისპობი. პირდაპირ გასწი, გაინალდე შენი სავალი, ამ გზას თან ახლავს სასოცა და ძრწოლაც მრავალი. ჩვევად გექცევა, თუ ოდითგან ბრძენკაცად იშვი, სიკეთისადმი სასოება, სიავის შიში. თუკი ამ ორის შეთვისება მეფემ იწება, მაშინ მშვიდობა დაივანებს წარუდინებლად. ყველას შეუნდობს, მონანულთაც გულით ენდობა, და თავად ელის უფლისაგან იგი შენდობას. არ მოიწონებს სხვათა ჩაგვრას ენამზიანი, რომ არ მიადგეს მის სამეფოს რამე ზიანი. თუკი ამ ჩვევებს ისაკლისებს მეფე სრულიად, მისი სამეფო შფოთისათვის განწირულია. იქ თუ გაკავებს რამე, დარჩი! იყოს, რაც არი, და თუ არადა, თოხარკით გამოასწარი. იმ ქვეყანაში ნუ ეძიებ ნიშატის მისხალს, სადაც ქვეშევრდომს თავზე შაჰის ატყდება რისხვა. უფრთხოდე მტარვალს და უღვთოთა ბინძურ მარაქას, ძრწოდე იმისგან, ვისაც უფლის შიში არა აქვს. ძილში თუ ნახავს დამშვენებულს თავის ქვეყანას ის, ვისგან მის ხალხს გულზე დარდი შემოეყარა. ბევრი დაამხო, ბევრსაც სისხლის ცრემლი ადინა, გულით ფხიზელი მიუხვდება ამას ადვილად. არ შეიძლება ქვეშევრდომი სატანჯველს მისცე, რადგან ის არის სახელმწიფოს საყრდენი მტკიცე. გლეხს გაუფრთხილდი,

ვით გვირგვინის დიდებულ მარჯანს, რომ არასოდეს გაუცუოდდეს ხალასი გარჯა. დასაძრახია, სხვას სიავე მიაგო ცხადად, ვისგანაც სხვა რამ არ გინახავს, სიკეთის გარდა.



აბდ ორ-რაჰმან ჯამი
ბაჰარესთანადან

მავენი დერვიში ერთ სვიან და მორჭმულ ფადიშაჰს ხშირად სტუმრობდა, დროს ტკბილად მუსაიფსა და მხარულეებაში ატარებდნენ. ერთ დღეს დერვიშმა მბრძანებელს გულცივობა შენიშნა. ხანგრძლივი ფიქრის და

განსჯის შემდეგ მიხვდა, რომ ამის ერთადერთი მიზეზი მისი ხშირი სტუმრიანობა უნდა ყოფილიყო. ლხენის არდაგი გაზიდა და სიამტკბილობის ფარდაგი აზიდა.

ერთ დღესაც ფადიშაჰი შემთხვევით გადაეყარა, ბაგე განახვინა და ჰკითხა: დერვიშო, გვიყავ სიკეთე და გვითხარ, ჩვენგან ფეხი რატომ ამოიკვეთე?

დერვიშმა მიუგო: — მივხვდი, რომ უმჯობესია გკითხონ: სად დაიკარგე, ჩვენთან მოსვლა რატომ აღარ გეწება, ვიდრე ხშირი სტუმრობით გულგანვრილებულთ აღარც კი სურდეთ შენი ხსენება.

ყითა:

ერთ დერვიშს უთხრა ფადიშაჰმა: რატომ არ სტუმრობ ჩემს სრა-სასახლეს და ნალკოტის ტურფა სანახებს, მან კი მიუგო: მიჯობს მკითხონ „რატომ არ მოხველ“, ვიდრე — „ამ სახლის კარი რატომ ამიტალახე“?

მეფეთა სიბრძნე წარმოჩინდება მართლმსაჯულების და სამართლიანობის თვისებით, და არა — ზიზილ-პიპილით და სამშვენიესებით. თუმცა, ანუშირვანი არ იცნობდა ჭეშმარიტ რწმენას, სამართალს თესდა და დიდებით ამკობდა ზენა. ამიტომაც ყველა სულდგმულის მეთაური² (საუკეთესო ლოცვები მასზემც) სიამაყით ამბობდა: სამართლიანი მეფის დროს დავიბადე.

მესწვევ:

თავად აღაჰის მოციქული, ღვთისგან ქებული, ანუშირვანის ზეობისას დაბადებული,

ამბობდა: „ჩემთვის უცხო არის ჩაგვრა და ქიშპი, ანუშირვანის მეფობისას რადგანაც ვიშვი“.

ერთმა მრჩეველმა გულკეთილმა (იხაროს აგრემც!) საგულისყუროდ ჩააგონა ხელმწიფეს მჩაგვრელს:

„მტარვალობასთან ნუ გექნება გზა საზიარო, მართლისმქმნელობის გზასავალზე უნდა იარო.

და თუ სიქველე ვერ მოგიტანს სანუკვარ შედეგს, მაშინ კვლავ ჩაგვრის და სიმრუდის გზა-კვალზე შედექ“.

მატიანე ამგვარად გადმოგვცემს, რომ ხუთი ათასი წლის მანძილზე ქვეყანას ზოროასტრელნი და მოგვნი განაგებდნენ. მათი მოდგმა კურთხეული იყო, რადგან ქვეშევრდომებს სამართლიანად ეპყრობოდნენ და ძალ-მომრეობა არ სჩვეოდათ.

გადმოგვცემენ: დავედ³ (მშვიდობა მის თანა) უზენაესი უფალი გამოეცხადა და არქვა: შენს თანატომელთ განუცხადე, რომ სპარსთა მეფეებზე ძვირი არ დასცდეთ და მათ ნუ აძაგებენ, რამეთუ ქვეყანა სამართლიანობით აალორძინეს, რათა იქ ჩემმა მონებმა ლაღად იცხოვრონ.

ყითა:

არა რწმენა და ურწმუნობა, სცან სამართალი! რათა დამშვიდდეს ეს ქვეყანა შემდგომ ომების, სჯობს ფადიშაჰი უღვთო, მაგრამ სამართლიანი, ვიდრე მორწმუნე და მჩაგვრელი ქვეშევრდომების.

ჰორმოზ⁴ შაფურის ძეს ვეზირმა წერილი მისწერა: საზღვაო ვაჭრებმა აურაცხელი თვალ-მარგალიტი მოიტანეს და ყველა მათგანი ასი ათას დინარად ხელმწიფისთვის შევიძინეთ. ახლახან კი შევიტყვეთ, რომ მეფეს ეს მარგალიტები არ ნებავს. თუკი ეს სიმართლეა, შეგვიძლია რომელიმე სოვდაგარს მივყიდოთ და ასი ათასი დინარი მოვიგოთ.

ჰორმოზმა პასუხად მისწერა: ათას თუ ასი ათას დინარს ჩვენთვის დიდი ფასი არცა აქვს. ჩვენ თუ ვაჭრობას შევუდექით, ვიღამ იმეფოს და სოვდაგარებმა რაღა აკეთონ?

ყითა:

მეფეებს ალებ-მიცემობა როდი შეჰფერით, როგორ უნდა თქვან: მუქთად ვყიდით, მოდით აქეთო, თუკი ხელმწიფემ ვაჭრის საქმე გადაიბარა, თავად ვაჭრებმა, მითხარ, რაღა უნდა აკეთონ!

მართლმორწმუნეთა ხალიფა⁵ ომარ⁶ (ალაჰიმც იქნება მისით კმაყოფილი) ხალიფობის ჟამს მედინაში ერთი თიხის კედელს ლესავდა. ამ დროს ვიღაც ებრაელი ეახლა და შესჩივლა: ბასრის გამგებელს ჩემგან ასი ათასი დირემის საქონელი შეუძენია, ხოლო თანხის გადახდას აჭიანურებდეს.

— ქალაღდის ნაგლეჯი თუ გაქვს? — ჰკითხა ხალიფამ.

— არა — მიუგო ებრაელმა. ხალიფამ თიხის ნატეხი აიღო და მასზე დაწერა: „შენზე მომჩივანი ბევრია, შენით მადლიერი კი — ცოტა. ან დრტივების და ახის საფუძველი აღარ მისცე, ან დიდმოხელის მაღალი ტახტი დატოვე. ბოლოს კი დაურთო:

დანერა ომარ იბნ ალ-ხატაბმა“.

არც ბეჭედი დაუსვამს და არც — თულრა⁷, მაგრამ სიტყვებიდან მართლმსაჯულების ძალმოსილება და მმართველობის სიდიადე იმდენად გამოსჭვივოდა, როცა ებრაელმა თიხის ის ნატეხი ცხენზე ამხედრებულ ბასრის გამგებელს გადასცა, იგი ჩამოქვეითდა, ცხენზე მჯდარი ებრაელის წინ მიწას ემთხვია და რაც ემართა, დაუყოვნებლივ დაუბრუნა.

თუ მეფეს არ აქვს ქვეყნის მართვის შნო და უნარი, დაიბრიყვებენ, მოირღვევა სამეფოს საჭე, როცა გასძვრება ლომს კბილი და ბასრი ბრჭყალები, კოჭლი მელიაც სულ ადვილად ალიყურს აჭმევს.

ერთი ჭაბუკი ქურდობისთვის შეიპყრეს. ხალიფამ მისთვის ხელის მოჭრის ბრძანება გასცა⁸, რათა მუსლიმთა ქონებისკენ აღარ გაენდინა. ჭაბუკი მოთქმა-გოდებას მოჰყვია და შეჰლაღადა: ჰოი, ხალიფაგ!

ბეთი:

ღმერთმა უბოძა ორივე ხელი თავის მონას და საყმოს, ნებას ნუ მისცემ მარცხენა ხელი მარჯვენისაგან გაჰყონ.

ხალიფამ ბრძანა: ხელი მოჰკვეთეთ, რამეთუ ეს უზენაესი უფლის ერთ-ერთი მცნებაა, ხოლო მუსლიმთ ღვთიურ მცნებათა მიმართ დაუდევრობა არ შეჰფერით.

ჭაბუკის დედაც იქვე იყო, წამოდგა და შესძახა: ხალიფავ, ეს ჩემი ვაჟია, სული მისი ხელმწიფისათა და ხელგარჯილობით მიდგას.

ყითა:

შვილი უტკებსია, სულზედაც უტკებსი, სულს, ურვით დაგვალულს, კლავს უიმედობა, ხელთა აქვს მას ჩემი ცხოვრების სადავე, და იქნებ ინებო, ღვთის ნებით, შენდობა.

ხალიფამ ბრძანა:

— ხელი მოჰკვეთეთ, რადგან დანაშაულს არ ვპატიობ და არც ღვთის მცნების დარღვევის ცოდვას ავიღებ საკუთარ თავზე.

ჭაბუკის დედაც შესძახა:

— ხალიფავ, დაე, ეს ცოდვაც იმ შეცოდებებს მიათვალე, რომელთა შენდობას უფალს დღენიდადა ევედრები.

ხალიფას ეს პასუხი მოეწონა და ჭაბუკის გათავისუფლება ბრძანა.

ყითა:

ნეტარ არს ბრძენი, ხელმწიფესთან ტკბილმოუბარი, რომელსაც სიტყვა არ დასცდება ავი და მქისე, და წყლის მსგავსია მისი ბრძნული სიტყვა, რომელიც ხელმწიფის რისხვის

მწველ ნაღვერდალს ჩააქრობს მყისვე.

ხალიფას ერთი დამნაშავე მიჰგვარეს. ბრძანა, სათანადო სასჯელი მიეზღოთ.

დამნაშავემ უთხრა: მართლმორწმუნეთა მბრძანებელი, სამართლიანობაა ცოდვის მუქაფა, სულდიდობა კი მიტყვევებს გზა-კვალს უკაფავს. მართლმორწმუნეთა მბრძანებლის კეთილმოხილება იმით უფრო ამალღებდა, რომ დიდსულოვნების უარყოფა და სამართლიანობამდე დაშვება ვერ შეძლოს.

ყითა:

ცოდვის შენდობა სულდიდობაა, სამართალი კი — მსჯავრი, ცა და მიწა მათში სხვაობა, ვით აღუნიშნავთ უწინ, განა უარყოფს სულდიდობას და ოდენ სამართალს ირჩევს ბრძენი, რომელმაც ამ ორთა შუა სხვაობა კარგად უწყის?!

იბრაჰიმ იბნ სულაიმან იბნ აბდ ალ-მალიქი⁹ მოგვითხრობს: როცა ხალიფობამ ომაიანთა¹⁰ საგვარეულოდან აბასიანთა¹¹ საგვარეულოში გადაინაცვლა, აბასიანები ომაიანებს იჭერდნენ და ხოცავდნენ. ქუფის შემოგარენში, სასახლის აივანზე ვიჯექი, რომელიც მთელ უდაბნოს გადაჰყურებდა. უცებ თვალის მოგვარი, რომ ქუფიდან შავი ალმები დაიძრა. მაშინვე გავიფიქრე: ეს ბრბო უთუოდ ჩემს შესაპყრობად მოდის-მეთქი. აივნიდან დავეშვი და გადაცმული ქუფისკენ გავემართე, თუმცა იქ არავის ვიცნობდი, ვისთანაც თავის შეფარებას შევძლებდი. ამასობაში დიდი სრა-სასახლის ალაყაფს მივადექი. ვნახე, იქ ვიღაც კარგი შესახედაობის კაცი დგას და მონა-ხადუმთა ამაღლა გარს შემოხვევია. მივესალმე. მკითხა: ვინა ხარ და რა გაგჭირვებიაო? მიუგე: ლტოლვილი კაცი ვარ, მტრების ხელით სიკვდილის მემინია და შენს სახლში თავშესაფარის საძიებლად მოვსულვარ-მეთქი. სასახლეში შემეყვანა და ჰარამხანის მომიჯნავე ოთახში დამაბინავა. რამდენიმე დღე იქ დავყავი, სასმელ-საჭ-

მელი და ჩაცმა-დახურვა არ დამკლავია. არაფერს მეკითხებოდა. ყოველდღე ცხენზე ამხედრდებოდა, სადღაც მიდოდა და მერე უკანვე ბრუნდებოდა.

ერთხელაც ვკითხე: — ხედავ, ყოველდღე სადღაც მიეშურები და მალევე ბრუნდები. რამე საქმეზე მიდიხარ? — იბრაჰიმ იბნ სულაიმანმა — მომიგო მან — მამა მომიკლა. გავიგე, თურმე ამ ქალაქში იმალება. ყოველდღე მივდივარ იმ იმედით, რომ იქნებ სადმე წავაწყდე და მამის გამო შური ვიძიო.

ამის გაგონებაზე საკუთარი ბედშავობის გამო სახტად დავრჩი. ბედისწერას შემთხვევით იმ კაცის სახლში მოვუყვანივარ, რომელიც მოსაკლავად დამეძებს.

სიცოცხლე მომბეზრდა. იმ კაცს საკუთარი და მამამისის სახელები ვკითხე. შევიტყვე, რომ სიმათლე უთქვამს. ვუთხარი:

— დიდსულოვანო! ჩემზე დიდი ამაგი გაქვს, ამიტომაც მმართველს, მტერი გამოგიაშკარავო და მის საძიებლად ამდენი ძალისხმევა შეგიმსუბუქო. იბრაჰიმ იბნ სულაიმანი მე ვარ. მამის დაღვრილი სისხლის გამო შური ჩემზე უნდა იძიო.

არ დაიჯერა და მითხრა: — როგორც ჩანს, სიცოცხლე მოგძულეობა და გინდა სიკვდილით შეებას ენო.

— არა! ვფიცავ უზენაესს, მე მოვკალი. ნიშნებიც ვუთხარი და ირწმუნა, რომ მართალს ვეუბნებოდა. სახეზე ცეცხლი მოედო და თვალეში სისხლი მოაწვა. რამდენიმე წუთით თავდახრილი იდგა, მერე კი მითხრა:

— შენთვის ადრეა მამაჩემის კვალს გაჰყევი და თავად მოგკითხოს თავისი დაღვრილი სისხლის გამო. რადგან სახლში შეგიფარე, ხელს არ გახლებ. ახლა კი წადი, რადგან შეიძლება თავი ვერ შევიკავო და, ღმერთმა დაიფაროს, რამე მოგნო.

მერე კი ათასი ღინარი მაჩუქა და სახლიდან გამომისტუმრა. მეც გამოვართვი და გარეთ გამოვედი.

მესწავი:

დიდსულოვნება ისწავლე და იხმარე ფარად! ქვეყნის კაცთაგან შეისწავლე კაცობა მარად!

ნუ გააკარებ გულს სიძულვილს, მსობელს და მდაგველს, და ნურც საქიქელ-საბასრობლად განაპობ ბაგეს.

სიკეთე უყავ მას, ვინც ერთ დროს გტანჯა სიავით, მხოლოდ საკუთარ თავს არგუნა ამით ზიანი.

რადგან სიქველის აღსრულება მარად გენება, მოგელის ოდენ სიკეთე და ბედნიერება.

ასმა¹² მოგვიტხრობს: ერთ გულუხვ კაცს ვიცნობდი, რომლის სახლსაც ხელგაშლილობის და სიქველის მოლოდინით, დღენიადაგ ვსტუმრობდი. ერთხელაც, იქ მისულს, მეკარემ შესვლის ნება არ დამართო და მითხრა:

— ასმა! შიგნით იმიტომ არ გიშვებ, რომ ახლა თვითონ მას აღარაფერია აბადია და სრულიად უპოვარია. ეს ბეითი დაწვერე და მეკარეს მივანოდე, რომ მისთვის მიეტანა:

თუკი ხელგაშლილს საბურველი ფარავს სრულებით, მაშინ არაფრით განსხვავდება იგი ძუნისგან.

ცოტა ხანში მეკარე დაბრუნდა და ქალაღი მომანოდა, ზედ ეწერა:

თუ გულუხვს სარჩო დაელია, მოისხამს რიდეს და მახვენართა თვალებს აღარ დაენახვება.

ხოლო ამ ნაწერთან ერთად ქისაც მომცა. შიგ ხუთასი ღინარი იდო.

„ასეთი საოცარი ამბავი არასდროს გადამხდომია — გავიფიქრე — ამ ამბავს მამუნის¹³ სამეფო კარზე არმალანად მივიტან“.

ჰოდა, მამუნისკენ გვიმართე. — საიდან მოეშურები, ასმა? — მკითხა ხალიფამ. — არაბეთში ყველაზე გულუხვი კაცისგან მოვდივარ — მივუგე. — ვინ არის ის კაცი? — ის კაცია, ვინც ქონებაც მიბოძა და ცოდნაც გამიზიარა — ამის თქმაზე ის ნაწერი და ქისა ხალიფას წინაშე დავდე. — ქისას რომ შეხედა, ფერი შეეცვალა და მითხრა: — ქისა ჩემი სახაზინო ბეჭდითაა დატვიფრული. მინდა, ის კაცი აქ მოვიხმო. — მართლმორწმუნეთა მბრძანებლო! ვფიცავ უზენაესს, სირცხვილის ცეცხლი წამეკიდება, თუკი შენი რომელიმე მოხელე მის სულს ძრწოლას მოჰგვრის.

მამუნმა თავის ერთ-ერთ კარისკაცს უბრძანა: — ასმა! ის გაყევი. როცა იმ კაცს ნახავ, გადაეცი მართლმორწმუნეთა მბრძანებელი გიხმობს-თქო, ისე, რომ უკადრისად არ მოექცე. — როცა ის გულუხვი მამუნს ეახლა, მან უთხრა: — შენ ის კაცი არა ხარ, გუშინ რომ მოხვედი და ხელმოკლეობასა და სიღარიბეზე შემომჩიოდი? ეს ერთი ქისა

გობოძეთ, რათა საკუთარი საჭიროებისათვის დაგეხარჯა, შენ კი ერთი ბეითის გამო ასმა¹⁴ისთვის გიჩუქებია. — ვფიცავ უზენაესს, გუშინ საკუთარ ხელმოკლეობასა და სიღარიბეზე ტყუილი არ მითქვამს, მაგრამ არ მინდოდა სტუმრად მოსული კაცი ხელცარიელი გამებრუნებინა უკან, განა მართლმორწმუნეთა მბრძანებელი ასე მომექცა?

ხალიფა მამუნმა ბრძანა, მისთვის ათასი ღინარი ეფექტაშათ. ასმა¹⁵მე შეჰკადრა: მეც მიწყალობე საბოძვარი. ხალიფამ ასმა¹⁶ც ათასი ღინარით დაასაჩუქრა, ხოლო იმ კაცს ვეზირობა უბოძა.

ყითა:

თუკი გულუხვს სარჩო გამოელია, კარს ჩაიხშობს, გულში დარდის მჩინარი, ხოლო ძუნნი კარებს კეტავს იმიტომ, ღინარს კარგად მიათვალოს ღინარი.

ჰათიმს¹⁴ ჰკითხეს: ოდესმე შენზე უფრო გულუხვი თუ შეგხვედრია?

მიუგო: დიახ, შემხვედრია! ერთხელ, სახლში ვილაც ობოლ ყმანვილს ვენვიე. იმ ყმანვილს ათი სულის ცხვრის გარდა არაფერი ებადა. თვალისდახამხამებაში ერთი მათგანი დაკლა, შებრანა და სუფრაზე მომართვა. ცხვრის ხორცი ძალიან მეამა, კარგად შევექეცი და ვუთხარი: ღმერთმანი, ეს მართლაც გემრიელი იყო.

ყმანვილი გარეთ გავიდა. თურმე, ცხვრებს საითათოდ კლავდა, ბრანავდა და ჩემთვის მოჰქონდა, მე კი ბაიბურში არ ვიყავი. ცხენზე ასამხედრებლად გარეთ რომ გამოვედი, ვნახე ბლომად სისხლი დაღვრილიყო. ყმანვილს ვკითხე: ეს რისი სისხლია-მეთქი.

მიპასუხეს: ყველა ცხვარი დაკლაო. ყმანვილს ვუსაყვედურე და ვკითხე: — ასე რატომ მოიქეცი?

— დიდება ალაჰს — მიპასუხა — ჩემი კუთვნილი ქონებიდან რაღაც მოგეწონა და ამას დავინანებ? არაბთა შორის სიძუნე სამარცხვინოდ ითვლება.

ჰათიმს ჰკითხეს: — ამის სანაცვლოდ შენ რაღა აჩუქე?

— სამასი სული წითელბუნვიანი აქლემი და ხუთასი სული ცხვარი — მიუგო მან. — მაშ, შენ უფრო გულუხვი ყოფილხარ. — ვაგლახ, რომ არა! მან ყველაფერი გაიღო, რაც კი გააჩნდა, მე კი მხოლოდ მცირე ნაწილი გავეცი იმ ქონებიდან, რასაც ვფლობ.

ყითა:

თუ გლახაკი ნახევარ პურს სხვას დაუთმობს მთლიანად, ანდა თავის ხარახურას სხვის ქონებაში გაზიდავს, მეტ წყალობად ჩაითვლება მისი გაბოძებული, ვიდრე მეფის გაცემული ნახევარი ხაზინა.

მედინაში ერთი ბრძენკაცი ცხოვრობდა, სწორუპოვარი სწავლული და სჯულის საქმეთა ზედმინევენი განმჩხრეკელი. ერთ დღესაც მონათა ბაზარში ჩაიარა და თვალის მოჰკრა მომღერალ მხეველს, რომლის გალობით თავად ასპიროზს ესობოდა შურის ეკლები, მზეს ანცვიფრებდა სახის შუქურ-ანარეკლებით. იმ ბრძენს წამისწამად მოედო ტრფობის ალები და მოინუსხა ხალითა და ზიღფთა კავებით. მისი გალობით შეძრულმა არყოფნის უდაბნოში ჩამოჰხადა ყოფის ბარგი და ფარაჯა, მისი ჰანგებთი გულდაბანგულმა გონიერების ვინროებიდან უგუნურების თემშარაზე გადმოალაჯა.

ყითა:

მწყაზარ სახეს და ნარნარ გალობას ძალუძს, გულს მყისვე მოჰგვაროს გზნება, რაჟამს ეს ორი ერთის ერთმანეთს, მათთან თვით ბრძენიც ვერაფერს ხდება.

მერე კი სიბრძნის ხალათი განიძარცვა სავეებით და შეიმოსა მოყვინების ჯვალ-ფლასებით, მედინას ქუჩა-ბანდებსა და ბაზარში ასე შერცხვენილი დაეხეტებოდა. მეგობრებმა გაკიცხეს, მაგრამ ამაოდ. მთელი არსებით ამ სიტყვებს იმეორებდა და ამ თარანეს ლიღინებდა:

რობაი:

სატრფოს სახეზე ვინც იხილა, ცხადად თუ ლანდად, ვითარ დამშვიდდეს, შეება როგორ მონახოს ანდა, მავანთა კიცხვა-საყვედური ქარის მსგავსია, რომელიც უფრო გააღვივებს ტრფიალის ლადარს.

ამ ამბავმა აბდალაჰ ჯა'ფარის (ალაჰიმც იქნება მისით კმაყოფილი) ყურამდე მიაღწია. იმ მხეველის ბატონი იხმო და ორმოცი ათას დირემად მხეველი გამოსყიდა. მერე მხეველს იმ სიმღერის წამოწყება უბრძანა, რომელსაც ის ბრძენი შლეგად ექცია, ბოლოს კი ჰკითხა: ეს სიმღერა ვისგან ისწავლეო? — ერთი მუტრიბისგან — მიუგო ასულმა. აბდალაჰმა ის მუტრიბიც მოიხმო, მერე კი ბრძენი ახმოხინა და ჰკითხა: — გინდა, ის სიმღერა, რომლის მოსმენამაც ესოდენ

მოგნუსხა, იმ მხეველის ოსტატისგან მოისმინო? — დიახ — მიუგო ბრძენმა. აბდალაჰმა მუტრიბს სიმღერის დაწყება უბრძანა. ჰანგის მოსმენაზე ბრძენი გულწასული დაეცა. ერთი პირობა ისიც კი იფიქრეს: ვაითუ, მოკვდაო. აბდალაჰ იბნ ჯა'ფარმა (ალაჰიმც იქნება მისით კმაყოფილი) განაცხადა: დახეთ, ამ კაცის მკვლელობით ფეხი ცოდვაში ჩავდგიო.

შემდეგ კი ბრძენმა გასცა, გულწასულისთვის სახეზე წყალი ესხურებინათ და ისიც გონზე მოვიდა. აბდალაჰმა უთხრა:

— ვერც კი წარმოგვედგინა, რომ ის მხეველი ამდენად გიყვარდა.

— ღმერთმანი — მიუგო ბრძენმა — დაფარული სჭარბობს აშკარას.

ისევე აბდალაჰმა ჰკითხა: — გინდა, ის სიმღერა მხეველისგან მოისმინო?

— აკი ნახეთ რა მომენია, როცა ის სიმღერა სხვისგან მოვისმინე. თუკი ამ ჰანგებს სატრფოს ბაგეთაგან მოვისმენ, თავად განსაჯე, რა დღეში ჩავვარდები.

— თვითონ ის რომ ნახო, იცნობ? — ჰკითხა აბდალაჰმა.

ბრძენი ატირდა და მიუგო:

ბეითი: ვიცნობ თუ არა, ვინც გული და რწმენა წამგვარა? მე მის თვინიერ არვის ვიცნობ ამ ცისქვეშეთში.

აბდალაჰმა ბრძანა, მხეველი მოეგვარათ და ბრძენისთვის გადაეცათ:

— ეს ასული შენია. ვფიცავ უზენაესს, მისთვის სხვა თვალთ არ შემიხედავს. ბრძენი აბდალაჰის ფერხითი განერთხა და შეჰლაღადა:

რობაი:

ხელგაშლილობით მიშველე და დარდს აღარ ვისევე, შენ განშორების ზვირთებისგან დამიხსენ მყისვე, გულს განაშორე მოლოდინი, ავი და მქისე, და ცრემლმონვიმარ თვალებს ძილი არგუნე ისევე.

შემდეგ მხეველს ხელი ჩასჭიდა და მასთან ერთად სახლში გაეშურა. აბდალაჰმა მონას უბრძანა, მათთვის ორმოცი ათასი დირემი გაეგზავნათ, რათა მათ სულში ყოფიერი საზრუნავის მტვერი არ დალექილიყო და ერთმანეთთან განცხრომით დამტკპარიყვენ.

ერთი მომღერალი მხეველი, ნატიფ ლამაზმანად ხმობილი და ხმის სინარნარით ცნობილი, უბადლოდ ლამაზი და სიტუფრით ხალასი, ერთ დღეს, თავისი ბატონის აივანზე საზს აჟღერებდა ტკილად და ნაზად, თანაც ლიღინებდა უამეს ყაზალს. აივნის ქვეშ ერთი ჭაბუკი იდგა, რომელსაც გული — მისი ტრფობით, ხოლო თავი კაემნით ალვსებოდა, სიმღერისთვის ყური მიეპყრო, ღრმად ჩანთქმულიყო სტრიქონებში იღუმალი განგებით, თავბრუ დასხმოდა უნახესი მხეველის ჰანგებით.

ბეითი:

კურთხეულ იყოს, ვინც სატრფოსთან არ არის, არა, თუმც, მას სიმორის კედლის მიღმა ყურს უგდებს მარად.

უცებ, ბატონმა აივნიდან გადაიხედა, ჭაბუკი დაინახა, თავისთან მოიხმო და სუფრასთან გვერდით მოისვა. მუსაიფობდა იმ ჭაბუკთან, განცხრომის ვანად, სიტყვათა მარგალიტს ნება-ნება კინძავდა თანაც. ჭაბუკი ბატონს უგულისყუროდ უსმენდა და თვალს მხეველისკენ აპარებდა. თვალის მინაბვით დასმულ შეკითხვას წარბით პასუხობდა და რამდენჯერაც სატრფო კულულს დაიგრეხდა, იმდენჯერ ბაგეს ღიმილით გააპობდა.

მესწავი:

სიხარულია იმ მიჯნურთა სიამით შეყრა, ვინც მტრების ჯიბრზე მაინც ერთად არიან ქვეყნად, თვალთ და წარბით მოუბარნი, ერთურთზე ლოცვით, დღემუდამ მიზეზს დაეძებენ ხვეენის და კოცნის.

როცა საუბარი გაჭიანურდა, ბატონი ზოგიერთი აუცილებელი ადამიანური მოთხოვნილების გამო წამოდგა და ის ორი ვენებით გულსავეს, მეოცნებე მიჯნური ერთად დატოვა. ბურთი და მოედანი მათ დარჩათ და შეერთება ორივეს სწყუროდა. მხეველმა ბაგე განახვინა და ჭაბუკს ასე უთხრა:

ყითა:

ღმერთია მოწმე, ვისაც მონებს ცხადად თუ სიზმრად კაცი და მხეცი და გრძნეული ჯადო-ფერია, რომ ამა ქვეყნად შენზე ტკიბილი არვინ მეგულვის და შენს ტრფობაზე საამური არაფერია.

რაჟამს ეს სიტყვები ესმა, ჭაბუკს აღმოხდა:



აბდ ორ-რაჰმან ჯამი

ბაჰარესთან დასასრული

დასასრული

რობაი:

შენი ბინა ჩემი თვალი, სხვისი როდია, სიტუაციას შენსა ბევრის გული დაუკოდი, თუ ჩემი გული შენკენ ილტვის, ნუ გაიოცებ, გული, რომელიც შენ არ გელტვის, სიბი ლოდია.

მხეველმა კიდევ ერთხელ უთხრა, ამ ქვეყნად იმაზე ვოცნებობ, რომ ერთხელ ჩავეკრათ, ავყვეთ გულის უტკბილეს ნადილს და ერთმანეთის ბაგეთაგან ვიგემოთ ყანდი. ჭაბუკმა უპასუხა: მეც ამაზე ვოცნებობ, მაგრამ რა ვქნა? უზენაესი უფალი ბრძანებს: „მტრად იქცევიან მიჯნურები განკითხვის ჟამად, თვინიერ წმინდა იმ მიჯნურთა, რომელთა ტრფობა გაღვივდება მარად და მარად“. არ მინდა, ჩვენი ტრფობის ლიბო გაიბზაროს და სიყვარული მტრობამ შეცვალოს. ესა თქვა, საუბრის კალთა აკეცა და გზას ამ თარანეს ლიღინით გაუდგა:

რობაი:

ამ ორდღიანი ტრფობით, გულო, ნულარ ხალისობ, მყიფე ტრფილით, აბა, როგორ უნდა აღივსო, ის სიყვარული აირჩიე, რომელთან ერთად, სიმშვიდეს ჰპოვებ განკითხვის დღეს სამარადისოდ.

ერთ ლამაზმანს, რომელსაც ათასი ბრძენის გული წარეტაცა და რომლის სახლთანაც ყოველ წუთას ათასი მეტრფე აღიაქოთს ტეხდა, პირნაზობის ჟამი წაუხდა და პირნაზობის სავალალო ნიშნები დაეტყო. მიჯნურებმა სიამტკბილობის ფარდაგი აზიდეს და მისგან ფეხი ამოიკვეთეს. ერთ მათგანს ვუთხარი:

— ეს ხომ იგივე სატრფოა, რომელსაც შარშან ეტრფოდით, ტრფილით მდაგველს, ნახეთ: იგივე თვალ-წარბი აქვს, პირი და ბაგე. სწორედ იგივე ბანოვანი, ტანი — მაღლა აზიდული, სხეული კი — უფრო ჯანოვანი. რას მივანეროთ თქვენი ეს ურცხვობა, უპირისწყობა, ორგულობა და ნამარდობა, რომ მასთან შეხვედრის კალთა აიკაპინეთ და კეთილგანზობა დაივიწყეთ?

მან კი მომიგო: — ვაგლახ, ამას როგორ ამბობ. ეგ სული იყო, გულს და გონებას რომ მტაცებდა, იგი სუნთქავდა სხეულის ნაკვთთა სისწორით, ტანის სიფაფუკით, კანის სინატიფითა და ხმის სინარნარით. რადგანაც სულმა საბუდარი უკვე დატოვა, უსულო სხეული რატომ უნდა მიყვარდეს, რატომ უნდა მოგვეყრა თბილად, ანდა დამტკნარ ვარდს რად გაფუბა გალობა ტკბილად?!

რობაი:

ვარდი დაქანა და ეკლის ხილვა არ მომინდება, შემოჭხვევია სულს ორკეცი სევდა ბინდებდა, მშვენიერება ჩიტია და სატრფო-გალია, როს ჩიტი ნავა, ეს გალია რაში მჭირდება?!

ერთი აშიკი გულით მახვრალი იყო, სატრფოსგან მოგვრილი ელდის გამო, ხოლო მსახვრალი რაყიფის წინაშე შიში დაუფლებოდა. ამას ოცნებობდა:

— ნეტავ, როდის დაიფარება გულისწორის სახე წვერებით, რომ სიტურფისგან მოგვრილი კადნიერებით არ იყოყნოს. მაშინ მის მსახურებას დაუბრკოლებლად შევძლებდი და მასთან ყოფნით გულმშვიდადაც განვისვენებდი.

მსმენია, რაჟამს ნასურვილარი აუხდა და იმ ჭაბუკს სილამაზე წაუხდა, მრავალთა მსგავსად, სატრფოსგან ისიც შორს წავიდა და ზედაც აღარ შეუხედავს ერთი წამითაც.


უთხრეს: — ეს ხომ იმას ეწინააღმდეგება, რასაც ამბობდი.

აშიკმა მიუგო: — მე რა ვიცოდი, რომ სიყვარული გამოხუნებას დაიწყებდა და იმ ხუნდებსაც, რითაც მასთან მიბმული ვიყავი, წვერის ამოზრდა შემუსრავდა.

ყითა:

ამოვიკითხე ჩაჭამებულ ფოლიანტებში: წვერი ფრთა არის (როგორც იტყვის ძველი მგოსანი), რითაც არყოფნის ბუდისაკენ მიფრინავს ნელა მშვენიერების ფრთამალი და ნაზი ფრთოსანი.

ყრმაო, მშვენიერების ელვარება წარმავალია, ვერ აყვავდება ნერგი, თუკი ყავლი გავიდა,



სიმწვანეს მოსდევს ჭკნობის ჟამი და უკუნეთი, ხამს, ამოიგდო სილამაზით კვეხნა თავიდან, მაგ ორმა ლერმა, ნიკაპზე რომ ამოგეზარდა, მოხუცთა რიგებს მიგათვალა იმავე წამიდან.

ერთ დერვიშს გულქვა ვინმე შეჰყვარებოდა, წინაუკმოდ დაეხეტებოდა, თვალთაგან ცრემლებს აწვიმებდა და მწარედ ოხრავდა, სოფელზე მწყრალი, სატრფოს კი მისთვის არადაროს შეუხედავს მონყალით თვალთ. უთხრეს:

— შენი სატრფო მემთვრალეთა თაბუნს მიეტმასნა და ღვინის მსმელთა რიგებში სალბუნს ეძიებს. დერვიშებს არ ემოყვრება, მართლმორწმუნეებს კი დღე და მოსწრება გმობს. მისი მოსურნე მისი სადარი უნდა იყოს, მისი არიფი კი — მისი ბადალი. სჯობს, მასთან შერთვის მწველი სურვილი განიშორო და, სატრფოსგან გულდაურვილი, კვლავ შენს საქმეებს მიუბრუნდე.

დერვიშმა ეს სიტყვები რომ მოისმინა, გაიცინა და მიუგო:

ყითა:

სატრფოსგან მერგო სიმძიმელი, არას ვინაღვლი, თუ მისი ტრფობა სხვის გულშია ც ზარივით რეკავს, ის სილამაზის ბაღნარია, ნუ გაიოცებ, თუ ზოგი მისგან ვარდას კრეფს და ზოგი კი — ეკალს.

¹ ხოსრო ანუშირვანი (531-579) — სასანიანთა ირანის ყველაზე გამორჩენილი მმართველი. კავად პირველის ძე. სპარსულ ლიტერატურაში ხშირად იხსენიება, როგორც სამართლიანი და გონიერი ხელისუფალი.

² იგულისხმება მოციქული მუჰამადი (570-632).

³ დაუღლი საკუთარი სახელი დავითის არაბიზებული ფორმაა. იგულისხმება ბიბლიური დავითი, დავით მეფის მფრთხე — ისრაელისა და იუდეის მეფე, რომელიც ისლამში მიიჩნევა ერთ-ერთ წინასწარმეტყველად.

⁴ ჰორმოზი — სასანიანთა ირანის მესამე შაჰინშაჰი (270-271). საშუალო სპარსული ფორმაა „ჰორმიზდ“.

⁵ ხალიფა (არაბ: ნაცვალი, მოადგილე) — მუსლიმური თემისა და სახელმწიფოს სასულიერო და საერო მმართველი. ხალიფა ითვლებოდა მოციქულ მუჰამადის მოადგილედ. მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ მუსლიმთა თემს ერთმანეთის მიყოლებით მართავდა ოთხი მართლმორწმუნე ხალიფა: აბუ ბაქრი (632-634), ომარი (634-644), ოსმანი (644-656) და ალი (656-661).

⁶ ომარი (არაბ: უმარ იბნ ალ-ხაბაბი) — მოციქულ მუჰამადის უახლოესი თანამებრძოლი და მეორე მართლმორწმუნე ხალიფა. მისი ხალიფობის ჟამს დაიწყო არაბთა დაპყრობითი ომები. მუსლიმურ ტრადიციამ მიწვეულია სამართლიან მმართველად.

⁷ თულრა — ოფიციალურ დოკუმენტებსა და მონეტებზე დასმული და კალიგრაფიით გაფორმებული უმაღლესი მმართველის (ხალიფის, სულთნის) სახელი.

⁸ ქურდობისთვის ხელის მოკვეთა განსაზღვრულია შარიათის ნორმებით.

⁹ ომანიანთა დინასტიის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი.

¹⁰ ომანიანები — ხალიფების პირველი დინასტია, რომელიც არაბთა სახალიფოს მართავდა 661-750 წლებში.

¹¹ აბასიანები — ხალიფების მეორე დინასტია, რომელიც არაბთა სახალიფოს მართავდა 749-1258 წლებში. აბასიანები იყვნენ მოციქულ მუჰამადის ბიძის ალ-აბასის პირდაპირი შთამომავლები.

¹² აბუ სა'იდ აბდ ალ-მალქ იბნ კარიბ ალ-ასმა'ი (გ.828) — ცნობილი არაბი ლექსიკოგრაფი და გრამატიკოსი.

¹³ ალ-მამუნი — აბასიანთა დინასტიის ხალიფა 813-833 წლებში. ჰარუნ არ-რაშიდის ძე. მფარველობდა მეცნიერებს და ხელოვანებს. დიდ ყურადღებას აქცევდა მთარგმნელობით საქმიანობას. მისი მმართველობისას ბაღდადში დაარსდა „სიბრძნის სახლი“.

¹⁴ ჰათიმ ტაიელი (სპარს: ჰათემ თაი) — სიუზიანი და ხელგაშლილობით ცნობილი ისლამადელი პერიოდის პოეტი ტაის არაბული ტომიდან. მისი სახელი ხშირად გვხვდება არაბულ და სპარსულ თქმულება-გადმოცემებში, ასევე სპარსულ პოეზიაში.

თარგმან ბიორბი ხსლორდავა

დოდო ყვავილაშვილი: „მწერლად უნდა იქცე“

დასასრული

— მაშ, ამათგან თქვენი რჩეული კორტასარია? — დიახ, ასეა. თუმცა ვაღიარებ, რომ ყველაფერი დიდი ლიტერატურაა, რაც ვთარგმნე. ამიტომ, მადლიერი ვარ „სულაკაურის გამომცემლობის“ და კონკრეტულად ლუკა გრიგოლიასი, ასეთი ავტორები რომ შემომთავაზა.

— ლიტერატურა, მწერლობასთან ურთიერთობა თქვენი პროფესიული საქმე არ არის მხოლოდ, ოჯახური გამოცდილებაცაა. დიდებულ ესპანურენოვან ავტორებზე ვილაპარაკებ და შეუძლებელია, არაფერი ვთქვათ ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ ავტორზე, თქვენს ძვირფას მეუღლეზე, ნუგზარ შატაიძეზე. ის ალბათ თქვენი მთარგმნელობითი საქმის და თქვენი ავტორების სწორუპოვარი შემფასებელი იყო.

— გმადლობთ ჩემი მეუღლის გახსენებისათვის. საუბედუროდ, ცხოვრების ქარტეხილები არ დაგკვლავია არც, ზოგადად, საქართველოს და არც ჩემს ოჯახს. მოხდა ისე, რომ ზოგი რამ თარგმნილი მქონდა უკვე, როდესაც ჩემი მეუღლე გავიცანი. შემდეგ ვთარგმნიდი ცოტას, მაგრამ რასაც ვთარგმნიდი, ცხადია, ვუჩვენებდი და მის აზრს ვითვალისწინებდი. 90-იან წლებში თბილისის ომის დროს ბინა დაგვეწვია, ჩემმა მეუღლემ ორი ინფარქტი და გულის ოპერაცია გადაიტანა, საგამომცემლო საქმეც მძიმედ დღე-ღამე იყო. დაშალეს ჩემი სამსახურიც „მხატვრული თარგმანის კოლეგია“. ამიტომ ის და მომდევნო წლები, ძირითადად, ოჯახსა და ესპანურენოვანი სერიალების თარგმნას მოვანდომე. ჩემდა სამწუხაროდ, ჩემი მეუღლე ვერ მოესწრო იმ წიგნების თარგმნას, რომლებზეც ვისაუბრეთ, რაც ძალიან მწყინს. 2009 წლის 9 თებერვალს გარდაიცვალა. გული ძალიან მწყდება, ვიცი, ძალიან გაიხარებდა. მის გვერდით ცხოვრება და მისი შემოქმედებითი პროცესის ყურება ჩემთვის დიდი გამოცდილება იყო და ამის გამოც მუდამ მადლიერი ვიქნები მისი.


— არის რომელიმე წიგნი, რომლის თარგმნაც დიდი ხანია, გინდათ?

— ყოველთვის მეგონა, რომ მარსელ პრუსტის რომანს თუ რომანების ციკლს „დაკარგული დროის ძიებაში“ ვთარგმნიდი. ძალიან მინდოდა. მაგრამ სხვამ თარგმნა. რას ვიზამთ, მთავარია, რომ ქართულად გვაქვს. მინდა ფრანგული „ახალი რომანის“ წარმომადგენლების თარგმნა. თავის დროზე ძალიან ცნობილი და პოპულარული მიმდინარეობა იყო ძალზე გახმაურებული სახელებით. თუმცა ქართულად არაფერი თარგმნილა. მხოლოდ ლიტერატურული ჟურნალი „ხომლი“ გამოეხმაურა ამ ლიტერატურულ მიმდინარეობას, როდესაც რამდენიმე ნომერში მზია ბაქრაძის მიმოხილვა დაბეჭდა „ახალი რომანზე“. სიამოვნებით ვთარგმნიდი ისევე კორტასარს, ალიენდეს... კიდევ რამდენიმე ფრანგ და ესპანურენოვან მწერალს, რომლებსაც ვერ არ იცნობს ქართველი მკითხველი. გარდა ამისა, თარგმნილი მაქვს ბლოკისა და აპოლინერის რამდენიმე ლექსი. სიამოვნებით განვაგრძობდი მათ და კიდევ რამდენიმე ფრანგი და რუსი პოეტის თარგმნას, მაგრამ, როგორღაც ვერ ვიცლი. ჩემდა სამწუხაროდ, ესპანურ პოეზიას ნაკლებად ვიცნობ.

— ახლა რას თარგმნით?

— ოთხი შეკვეთა მაქვს, რაც 2024 წლამდე ეტაპობრივად უნდა დაეასრულო. ჯერჯერობით გამომცემლობებთან შეუთანხმებლად ვერ გავამხელებ.

ესაუბრა თამარ ჟურნალი



ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის,
საორბისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მხარეალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურნალი
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004